საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (301)
27 მაისი - 2 ივნისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«ქართული ოცნება» მხარდამჭერებს კარგავს 9

თამარ კიკნაძე:
# «ამერიკელები ამზადებენ ძალას, რომელიც ამჟამინდელი ხელისუფლების ალტერნატივა იქნება»




„ვირთხები გარბიან“...
ახალ გაერთიანებაში მოხდება ყველა პროდასავლური ძალის კონსოლიდაცია, მათ შორის, რესპუბლიკელების და, შესაძლოა, პრეზიდენტისაც...“ 5

6 «მაგათაც ეგ უნდათ – რაც უკრაინას დამართეს, ის გაუკეთონ საქართველოსაც»

11 «ქვეყანა, რომელიც ხიდაშველებისა და წულუკიანების დონეზე დაეცემა, ევროკავშირში კი არა, საპირფარეშოშიც არ უნდა შეუშვა!»



გია ხუხაშვილი: 8
## ჩვენ ისევ გავდივართ აქტიური ანტირუსული კოალიციის წინა ხაზზე
«ყველაფერს ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი, ამერიკა-რუსეთის ვაჭრობაში დახლზე დადებული დასახურდავებელი საქონლის როლში რომ არ აღმოვჩნდეთ»

ჯუმბერ პატიაშვილი:
## თუ ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ევრაზიული კავშირი აღადგენს, მე მინდა ევრაზიულ კავშირში შესვლა! 4



## სტალინი და მენშევიკური მთავრობა




შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო ქვეყნის მეთაურისა და პირველ პრეზიდენტად წოდებული ნოე ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც რევაზ გაბაშვილს თავისი მოგონებების 127-ე გვერდზე აქვს გამოქვეყნებული: «თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი – «ვერა» – და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს» 16

## საპატრიარქომ 17 მაისს დაგეგმილი ღონისძიებები ამერიკის საელჩოს ზემოქმედებით გააუქმა! 7


„იდენტობის“ ხელმძღვანელი ირაკლი ვაჭარაძე

«მოლაპარაკებებში ჩართული იყო დიპლომატიური კორპუსიც, კერძოდ, ამერიკის საელჩო და უშუალოდ ელჩი რიჩარდ ნორლანდი, რომელიც ლგბტ თემის უფლებადამცველ «იდენტობას» ლობირებდა და ხელისუფლებას მისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვისკენ მოუწოდებდა»


აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი

# შედი, ფრიდრიხ, ბუტკაში 12

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აზერბაიჯანს ხელს არ აძლევს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება



**აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ ელმარ მამედიაროვის განცხადებით, აზერბაიჯანს ხელს არ აძლევს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, რადგან ქვეყანა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი არ არის.** „ასოცირების ხელშეკრულება აზერბაიჯანს ხელს არ აძლევს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, აქედან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის მოთხოვნის გავრცელება აზერბაიჯანზე შეუძლებელია“, — განაცხადა მამედიაროვმა. შეგახსენებთ, 22 მაისს აზერბაიჯანმა უარი განაცხადა, ხელი მოეწერა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტის შემაჯამებელ დეკლარაციაზე.



## წმინდა სინოდი განათლების სამინისტროს ახალი პროექტის განხილვაში რელიგიური ორგანიზაციებისა და საზოგადოების ჩართვას ითხოვს

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე გამოითქვა სურვილი, განათლების სამინისტროს ახალი პროექტის განხილვა მის დანერგვამდე მოხდეს. როგორც სხდომის მდივანმა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლ ბერბიჭაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ბოლო წლებში განათლების სფეროში არაერთი რეფორმა განხორციელდა, დიდი ყურადღება ეთმობა ცოდნის ამაღლებას, მაგრამ, ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია აღზრდის საკითხებიც.**

„არის საუბარი ახალ პროექტზე, რომლის დანერგვას განათლების სამინისტრო აპირებს. ეს არის ახალი სახელმძღვანელოები III-IV და V-VI კლასელებისთვის — „მე და საზოგადოება“; მეორე სახელმძღვანელოა „მე და სამშობლო“. გამოითქვა სურვილი, რომ ვიდრე განათლების სამინისტრო დანერგავს, ვიდრე სასწავლო პროგრამაში შეიტანს, მოხდეს ამ პროექტის განხილვა, როგორც ეკლესიის ასევე, საზოგადოდ, რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობით და ფართო საზოგადოების ჩართვით. რადგან არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც პასუხის გაცემას ითხოვს“, — განაცხადა მეუფე გრიგოლმა.



## ოლიმპიური ჩირაღდანი საქართველოში ჩამოიტანეს

**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ოლიმპიური ცეცხლი აინთო და საქართველოს გადმოეცა. მანამდე კი „პანათინაიკოსის“ სტადიონზე ცეცხლის ანთების ბერძნული რიტუალი გაიმართა.**

ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდანი გადაეცა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებულს ძიუდოში — ლაშა შავდათუაშვილს, მან კი ჩირაღდანი მეორე ქართველ მეჩირაღდნეს — მარიამ ბოლქვაძეს გადასცა.

ოლიმპიური ცეცხლი საქართველოში, კერძოდ კი, ბათუმში სპეციალური რეისით 26 მაისს ჩამოიტანეს. იგი საქართველოს 67 მუნიციპალიტეტს მოივლის, ჩამოიტანენ თბილისში და ოლიმპიადის დასრულებამდე იქნება ანთებული.

## ირაკლი ღარიბაშვილი: მჯერა, საქართველო გამთლიანდება და აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ვიცხოვრებთ ძლიერ ქართულ სახელმწიფოში

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.**



„ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ეს დიდი მონაპოვარია, რომელიც ჩვენს ხალხს სისხლის ფასად დაუჯდა. ჩვენ, ყველა ერთად, ვალდებული ვართ, გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, დავიცვათ ის, რისთვისაც საუკუნეების განმავლობაში ვიბრძოდით და ვიზრუნოთ ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის. დღეს საქართველო დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დგას... ვალდებულნი ვართ, ქართველ ხალხს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შევუქმნათ ცხოვრების ღირსეული პირობები, ვიზრუნოთ მათ კეთილდღეობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ავაშენებთ სახელმწიფოს, რომელიც ერთნაირად მიმზიდველი იქნება ქართველებისთვის, აფხაზებისთვის, ოსებისთვის, საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა თუ ეთნიკური ჯგუფისთვის. მჯერა, საქართველო გამთლიანდება და აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ ქართულ სახელმწიფოში, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



## ლევან ვასაძე: ერთმორწმუნე «რუსები ჩვენი მოკავშირეები არიან»

**ბიზნესმენი ლევან ვასაძე მიიჩნევს, რომ რუსების გინებას, სჯობს, საკუთარ თავს მივხედოთ, რადგან ორმხრივი შეცდომების შედეგად რუსეთი ქართული სახელმწიფოს მოწინააღმდეგედ ჩამოყალიბდა.**

„უკომპრომისოები უნდა ვიყოთ, როდესაც საქმე ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალს — სამაჩაბლოსა და აფხაზეთს ეხება, მაგრამ უაზროდ რუსების გინებას, ჯობია, თავს მივხედოთ. რუსეთის მხრიდან სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება სხვა არაფერია, თუ არა თვითონ რუსეთში არსებული საკუთარი ქვეყნის დაშლის შიშის რეფლექსი. რუსები ჩვენი მოკავშირეები არიან. მიუხედავად ყველაფრისა, გავბედავ და თანამედროვე საქართველოში უაღრესად არაპოპულარულ და სახიფათო აზრს ვიტყვი: ერთმორწმუნე რუსები კულტურულადაც და ზნეობრივადაც, მტრები კი არა, ჩვენი მოკავშირეები არიან და ორივე ერის უდიდესი შეცდომაა და ამ ერების მტრული ძალების დიდი „ჩალიჩის“ შედეგი ჩვენი ასეთ დაპირისპირებამდე მისვლა. საქართველო არასოდეს შეეგუება თავისი ძირძველი მიწების წართმევას და, სანამ რუსეთი არ მიხვდება, რომ მას, საქართველოს ნამსხვრევების ნაცვლად, საქართველოსთან სჭირდება მოკავშირეობა, მანამდე იქნება ორივე ქვეყანა გაჩხერილი ამ ორივესთვის უაღრესად მავნებელ ჩიხში!“ — განაცხადა ბიზნესმენმა გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: ამ მხეცობას ანალოგი არ მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში!



**„2011 წლის 26 მაისს ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მოქმედება არ ჯდება საერთაშორისო სამართლის ნორმებში და მსგავსი ტიპის დანაშაული შეიძლება აღწერილ იყოს ქრესტომათიაში, როგორც საომარი პირობების დროს ჩადენილი დანაშაული“, — განაცხადა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.**

„2011 წლის 26 მაისს ხელყოფილ იქნა ადამიანების სიცოცხლე, ხელყოფილ იქნა ასეულობით ადამიანის ჯანმრთელობა, უკანონოდ აღკვეთილ იქნა ადამიანთა თავისუფლება. დანაშაული, რომლისთვისაც ბრალი წარედგინა ბატონ მერაბიშვილს 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით, არის ყველაზე მსუბუქი კატეგორიის დანაშაული, რომელიც შეიძლებოდა წაეყენებინა გამოძიების მწარმოებელ ორგანოს იმ ორგანიზატორებისთვის, რომლებიც ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციას რუსთაველის გამზირზე. იმ მხეცობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსთაველის გამზირზე, ანალოგი არ მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში!“ — განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

## პოლონეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს



**პოლონეთის საარჩევნო კომისიამ 24 მაისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულმა კანდიდატმა ანჟეი დუდამ ხმების 51,55 % მიიღო; მოქმედ პრეზიდენტს, ბრონისლავ კომოროვსკის, კი მხარი ამომრჩეველთა 48,45 %-მა დაუჭირა.** არჩევნებზე თავისი პოზიცია ამომრჩეველთა 55,34 %-მა გამოხატა. ბრონისლავ კომოროვსკიმ დამარცხება უკვე აღიარა.

## ისრაელის ექსპრემიერს პატიმრობა გაუხანგრძლივეს



**ისრაელის ყოფილ პრემიერმინისტრ ეჰუდ ოლმერტს თაღლითობისა და ღალატისთვის 8-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.** ექსპრემიერის საქმის ხელახალი მოსმენა მარტში დაიწყო. მას ბრალი ამერიკელი ბიზნესმენისგან 150 ათასი დოლარის აღებაში ედებოდა. ახალი განაჩენი იმ 6-წლიან სასჯელს დაემატა, რომელიც ყოფილმა პრემიერმა გასულ წელს ქრთამის აღების საქმეზე მიიღო. ეჰუდ ოლმერტს პრემიერის პოსტი 2006-2009 წლებში ეკავა; შემდეგ კი, კორუფციული ბრალდებების ფონზე, იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო, რამაც მის პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაუსვა. 69 წლის ოლმერტი ყოველთვის ამბობდა, რომ უდანაშაულოა და მის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებს დაუნდობელ დევნად აფასებდა.

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნიუ იორკ თაიმსმა» პოროშენკო-იაცენიუკის რეჟიმის გამანადგურებელი სტატია გამოაქვეყნა

**მსოფლიოში ერთ-ერთმა გავლენიანმა გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ 17 მაისს გამანადგურებელი სტატია გამოაქვეყნა უკრაინის ხელისუფლებაზე. გამოცემა უკრაინას გაკოტრებულ სახელმწიფოს უწოდებს და პოლიტიკურ მკვლელობებზე მიუთითებს.**



In Ukraine, Corruption Concerns Linger

By DAVID M. HERSZENHORN MAY 17, 2015

The New York Times

President Petro O. Poroshenko at his inauguration in Kiev last year. He promised to end corruption, but his government faces misconduct charges.

გავლენიანი ამერიკული გამოცემა წერს: „ყოფილი მაღალჩინოსნების პოლიტიკურად მოტივირებულმა მკვლელობებმა და იდუმალმა თვითმკვლელობებმა შიში დათესა დედაქალაქში. საშინაო ბრძოლებმა განხეთქილება შეიტანა პროევროპულად განწყობილ საპარლამენტო უმრავლესობაში, რუსეთის საზღვართან კი შენარჩუნებულია ომის საფრთხე.

პეტრე პოროშენკოს არჩევიდან ერთი წლის თავზე და ახალი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ფიცის დადებიდან 6 თვის თავზე უკრაინა არის ქვეყანა, რომელიც ღრმად არის ჩაფლული პოლიტიკურ-ეკონომიკურ ქაოსსა და კორუფციაში. დანგრეული ეკონომიკა განაგრძობს დაქვეითებას. მშპ-ს დაცემამ 2015 წლის პირველ კვარტალში 17,6% შეადგინა. დეფოლტის თავიდან აცილების მიზნით მაღალი თანამდებობის პირებმა დაიწყეს ხანგრძლივი მოლაპარაკებები კრედიტორებთან. ახლა კი შეშფოთებას ვერ მალავენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მოკავშირეების, მათ შორის, აშშ-ის მიერ დაპირებული 40-მილიარდიანი კრედიტი, საკმარისი არ იქნება გაკოტრებისგან ქვეყნის გადასარჩენად.

დიდია იმედგაცრუება იმის გამო, რომ პოროშენკომ და იაცენიუკმა აქამდე ვერ შეასრულეს დაპირება კორუფციის აღმოფხვრის თაობაზე. პირიქით — იაცენიუკის მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 325 მლნ დოლარის დატაცებაში ადანაშაულებენ. ბევრი გულგატეხილია ცვლილებების ნელი ტემპის გამო.

ევროკავშირი ამბობს: „სად არის დეცენტრალიზაცია? სად არის დაპირებების შესრულება? სად არის რეფორმები?“

**«პეტრე პოროშენკოს არჩევიდან ერთი წლის თავზე და ახალი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ფიცის დადებიდან 6 თვის თავზე, უკრაინა არის ქვეყანა, რომელიც ღრმად არის ჩაფლული პოლიტიკურ-ეკონომიკურ ქაოსსა და კორუფციაში. დანგრეული ეკონომიკა განაგრძობს დაქვეითებას. მშპ-ს დაცემამ 2015 წლის პირველ კვარტალში 17,6% შეადგინა. დეფოლტის თავიდან აცილების მიზნით, მაღალი თანამდებობის პირებმა დაიწყეს ხანგრძლივი მოლაპარაკებები კრედიტორებთან. ახლა კი შეშფოთებას ვერ მალავენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მოკავშირეების, მათ შორის, აშშ-ის მიერ დაპირებული 40-მილიარდიანი კრედიტი, საკმარისი არ იქნება გაკოტრებისგან ქვეყნის გადასარჩენად»**



# პოროშენკო, იაცენიუკი და გროსმანი სახრჩობელაზე «ჩამოკიდეს»

**უკრაინის ქალაქ უჟგოროდის ცენტრში სახრჩობელაზე ჩამოკიდეს უკრაინის პრეზიდენტის პეტრე პოროშენკოს, პრემიერ არსენი იაცენიუკისა და პარლამენტის სპიკერ ვლადიმერ გროისმანის ფიტულები. უჟგოროდელებმა უკრაინის უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეების სამეულის „ჩამოხრჩობა“ ქვეყანაში ფასების მომატების გამო გადაწყვიტეს.**

ამას გარდა, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა კარპატების საოლქო საბჭოს შენობასთან მიიტანეს უზარმაზარი პლაკატი პოროშენკოს, იაცენიუკისა და გროსმანის გამოსახულებითა და წარწერით: „უკრაინის ინტერესების გამყიდველები“.

აღშფოთებული უკრაინელები მოითხოვდნენ ფასების შემცირებას და უკრაინელთა ხელფასების გათანაბრებას ევროპელთა ხელფასებთან.






# ევროპაში ყოველ 2 წუთში 1 ბავშვი იკარგება

**25 მაისს მსოფლიომ დაკარგული ბავშვების საერთაშორისო დღე აღნიშნა. სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართა ღონისძიებები, რომლებიც მოტაცებასა და ექსპლუატაციიდან ბავშვების დაცვის პრობლემებისკენ საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობას მიეძღვნა.**

ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად იკარგება 250 ათასი ბავშვი, ანუ ყოველ 2 წუთში 1 ბავშვი. ამ სტატისტიკურ მონაცემში შესულია ბავშვების მოტაცება მშობლის მიერ, გაქცევა, არასრულწლოვანი მიგრანტების გაუჩინარება, ბოროტმოქმედთა მიერ ბავშვების მოტაცება და სხვ.

დაკარგული ბავშვების თითქმის ნახევარი შინიდან გაიქცა სხვადასხვა მიზეზის გამო (116 ათასი შემთხვევა). ევროკომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ასეთ ბავშვებს შორის 9-ჯერ მეტია თვითმკვლელობის შემთხვევები.

## გერმანული გამოცემა:

DWN DEUTSCHE WIRTSCHAFTS NACHRICHTEN

# აშშ ხელს უწყობდა ისლამური ტერორის აღმოცენებას!

**2014 წლის ზაფხულში დასავლეთის საზოგადოება შოკირებული იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში უცებ არსაიდან აღმოცენდა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“, ვერავინ შეძლო, აეხსნა, სპეცსამსახურების 24-საათიანი თვალთვალის მიუხედავად, როგორ იქცა თანამედროვე მსოფლიოსთვის ყველაზე დიდ საფრთხედ ეს კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი დაჯგუფება, — წერს გერმანული გამოცემა Deutsche Wirtschafts Nachrichten-ი.**

„ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Jydicial Watch-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ აღმოცენების თავიდან აცილება შეიძლებოდა, — განაგრძობს გამოცემა, — მაგრამ არაკომპეტენტურობამ, ცინიზმმა და მერკანტილურმა გათვლებმა გამოიწვია ის, რომ ახლო აღმოსავლეთში ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარება. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამერიკის დაზვერვისთვის უკვე 2012 წლისთვის იყო ცნობილი „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის თაობაზე“.

დოკუმენტებში წერია, რომ სირიის ოპოზიციური ძალები გეგმავდნენ, ეს ორგანიზაცია გამოეყენებინათ ქვეყნის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის წინააღმდეგ, მაგრამ აშშ-ის სპეცსამსახურებმა მათ ხელი არ შეუშალეს, პირიქით — ამერიკელებმა სირიელი ოპოზიციონერების გეგმაში დაინახეს თავიანთი ინტერესების გატარების შანსი ახლო აღმოსავლეთში.

„პენტაგონი თავის ქმედებებში ეყრდნობოდა სტრატეგიული კვლევების ამერიკული ცენტრის (RAND) რეკომენდაციებს. ამ ორგანიზაციის სპეციალისტები სპეცსამსახურების თანამშრომლებს სთავაზობდნენ, ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ ისლამის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები. შიიტებისა და სუნიტების ომი კი აშშ-ს თავისი გავლენის გაძლიერების შესაძლებლობას მისცემდა რეგიონში და ამერიკულმა სპეცსამსახურებმაც დაიწყეს მოქმედება პრინციპით: „გათიშე და იბატონე“.

დასავლეთი, სპარსეთის ყურის ქვეყნები და თურქეთი მხარს უჭერდნენ ოპოზიციას სირიაში, ხოლო რუსეთი, ირანი და ჩინეთი კი — ბაშარ ასადის რეჟიმს. **დოკუმენტების მიხედვით, მათ, ვინც „ისლამური სახელმწიფოს“ სათავეებთან იდგნენ, დასავლეთი აფინანსებდა და ამარაგებდა იარაღით.**

„ისლამური სახელმწიფოს“ შექმნამ გამოიწვია ის, რომ დასავლელმა პოლიტიკოსებმა გააჩაღეს ტერორიზმთან ბრძოლის მასშტაბური კამპანია, რომელშიც შედის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ჯაშუშობა და მედიასაშუალებებში ცენზურის დაწესება. დაიწყეს ზემოქმედება აქტივისტებზე, ჟურნალისტებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე, პირველ რიგში — მუსლიმანებზე.

**„ისლამური სახელმწიფო“ აღმოცენდა დასავლეთის არასწორი პოლიტიკის შედეგად, დასავლეთი თავისი მერკანტილური მიზნების მისაღწევად მხარს უჭერდა და აქეზებდა ისლამურ ტერორს“,** — აღნიშნულია გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებულ წერილში.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ის, ვინც აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმას გაბედავს, ქვეყნის მტერი იქნება, მაგრამ ამ მიმართულებით რომ არაფერი კეთდება, უკვე ნიშნავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმას... ჩვენ, ქართველებს, მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა არ გვაქვს, უამრავი ტერიტორიაა ისეთი, რომლებსაც, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. ნახეთ, რა ხდება აჭარაში.“



ჯუმბერ პატიაშვილი:

# თუ ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ევრაზიული კავშირი აღადგენს, მე მინდა ევრაზიულ კავშირში შესვლა!

**საქართველოში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამო ბევრი პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი თუ რიგითი მოქალაქეა შეშფოთებული: დიდი სამამულო ომის გამარჯვებიდან 70-ე წლისთავზე 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მისული ვეტერანები შეურაცხყვეს; ენ-დი-აიმ კვლევა ჩაგვიტარა და 31% ევრაზიული კავშირის მომხრე აღმოჩნდა, რამაც ადამიანები ერთმანეთთან დააპირისპირა. იმის თქმაც კი გაბედეს, ეს 31% ქვეყნიდან წავიდესო... ამ დავა-კამათში რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტმაც მოგვისწრო და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები იქიდან „სვისტოკებით“ ხელში დაგვიბრუნდნენ... „ქართველი ერი ასეთი შეურაცხყოფის ღირსი არ არის“, — განაცხადა ძალიან გულნატკენმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა, რომელსაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ვესაუბრეთ:**

— **საქართველო უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ რატომღაც ამაზე არც ექსპერტები ლაპარაკობენ, არც პოლიტიკოსები და არც პარტიების ლიდერები... არ მინდა, იფიქროთ, თითქოს რომელიმე მათგანის ნათქვამი რამეს შეცვლის, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას და გამოსავალიც ერთად უნდა ვეძებოთ. წესია ასეთი — ჯერ უნდა აღიარო, თქვა, რაც გჭირს, და მერე გამოსავალი მოძებნო.**

— **რას გულისხმობთ, ბატონო ჯუმბერ, სად და რა სფეროში გვიჭირს?**

— ყველა სფეროში და ყველა დარგში გვიჭირს. გვინდა, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც დასავლეთშია. არადა, იქ ხალხი უამრავი პრობლემის წინაშე დგას, მე კი არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის მოსახლეობაც მსგავსი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. მე არც ევროპული თავისუფლება მინდა! **თავისუფლება არ ნიშნავს იმას, აკეთო ის, რაც მოგესურვება. ადამიანებს ყველაფრის კეთების უფლება არ აქვთ. არ შეიძლება, უარი თქვა ოჯახზე, ტრადიციაზე, წეს-ჩვეულებაზე. სახელმწიფო არ შენდება ოჯახის გარეშე. სახელმწიფო ოჯახია. თუ ქვეყანა ოჯახურ ტრადიციაზე უარს იტყვის და ერის გამრავლებაზე არ იზრუნებს, უფროს-უმცროსობას არ დაიცავს, სახელმწიფოდ ვერ შედგება.**

ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ დავინახოთ, რა მძიმეა ჩვენი მდგომარეობა. ვიღაცის უხილავი ხელი ზუსტად იქ გვირტყამს, სადაც ჩვენი წელში გადატეხა მარტივია.

**შეხედეთ იმ კვლევების შედეგებს, რომლებსაც საქართველოში ამერიკული ინსტიტუტები ატარებენ. შეიძლება, ჩემი ცხოვრება ავაგო იმაზე, რას გამომიცხადებს უცხოელი? და შემდეგ — მთელი დღე ყველა სატელევიზიო არხზე ვისმენდე ამ კვლევის არაფრისმომცემ ანალიზს?**

**რა იცის გადამთიელმა ქართველის ბუნება, რა შეკითხვებს უსვამენ ხალხს? ჩადიან საქართველოს ყველა კუთხეში და ეკითხებიან, რა უნდათ და რა არის უმთავრესი ქართველი კაცისთვის?**

საქართველოში ყველა კუთხეს თავისი ტრადიცია აქვს და ყველა ოჯახის სიწმინდეზეა დამყარებული.

**რამდენიმე წელიწადია, არც ერთ კვლევაში აღარ ჩანს, რას ფიქრობს ხალხი დაკარგული ტერიტორიების თაობაზე. აფხაზეთი და სამაჩაბლო დავიწყებას ეძლევა. ამ ყველაფერს კი აფხაზებიც და ოსებიც ხედავენ და, როგორ ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში ენდომებათ ჩვენთან ცხოვრება? არადა, აფხაზებთან ლაპარაკი დღესაც შეიძლება, ჩვენ ერთნი ვართ.**

ვის ენდომება ჩვენთან ურთიერთობა?! შეხედეთ, რა ხდება ქვეყანაში: სოფლის მეურნეობის დასახმარებლად ფული გამოიყო; გლეხმა გარკვეული თანხა კი აიღო, მაგრამ მანქანა იყიდა, თბილისში რომ ჩამოვიდეს და „იტაქსაოს“. სოფლის მეურნეობისადმი აგდებული დამოკიდებულება ქვეყანას მძიმედ დააწვა.

**კარგია, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები საზღვარგარეთ რომ დადიან, მაგრამ ვურჩევ, ქართული სოფლები შემოიარონ, მათ პრობლემებს გაეცნონ. ისე კი არა, აქტივს რომ შეყრიან და ელაპარაკებიან, არა, კარდაკარ იარონ.**

ფაბრიკა-ქარხნები გაიყიდა, სამაგიერო კი არაფერი გაკეთებულა. საწარმოებს ვაშენებთო,— ამბობენ. ას კაცს რომ დაასაქმებ, ის საწარმო არ არის. ჩვენს პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ კაპიტალიზმი ნგრევაა, კაპიტალიზმი შენებაც არის, ჩვენ კი მხოლოდ ვანგრევთ. **საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო კი დაინგრა.**

— **რას ფიქრობთ, რიგის სამიტის შედეგებზე? ვიზების ლიბერალიზაციაზე უარი გვითხრეს...**

— ამ თემაზე როდესაც ვსაუბრობ, აუცილებლად უნდა შევეხო ქართულ დიასპორას. **საბჭოთა პერიოდში მოსკოვში 20 ათასი ქართველი ცხოვრობდა. ძალიან მცირერიცხოვანი დიასპორა გვყავდა საფრანგეთში და სულ ეს იყო. ახლა ნახეთ, რამდენია და სად აღარ არიან ქართველები. ზოგიერთს ეს უხარია, არადა, სასიხარულო არაფერია — ის ქართველები აქ დამბრუნებლები აღარ არიან;** ქვეყანაში, სადაც ცხოვრების არანაირი პირობა არ არის, არავინ დაბრუნდება.

**ჩვენი პოლიტიკოსები ამ დღეებში რიგაში იდგნენ და ვიზების ლიბერალიზაციას ელოდნენ... მინდა, მათ ვუთხრა — ქართველი ერი ამის ღირსი არ არის, ერს ასეთი შეურაცხყოფა არ დაუმსახურებია. თავხედობასაც აქვს საზღვარი!** იქნებ იკითხონ, ხალხს რა სურს და პატივი სცენ მის აზრს.

გაიხსენეთ, რა მოხდა 9 მაისს, გამარჯვების დღეს, გამარჯვების, რომელსაც 300 ათასზე მეტი ქართველი შეეწირა. ჩვენმა მთავრობამ როგორ აღნიშნა ეს დღე. არადა, ამ დღის ავტორი ქართველი გახლდათ. **1945 წელს გამარჯვების აღლუმზე ქართველები უდიდეს პატივში იყვნენ, 70-ე წლისთავზე კი საქართველო ზეიმში არ მონაწილეობდა; შესაბამისად მოიქცნენ რუსებიც — არც სტალინი ახსენეს და არც ის ქართველები, რომლებიც სტალინს გვერდით ედგნენ.**

ჩვენ იმდენი ადამიანი შევწირეთ დიდ სამამულო ომს, სტალინის ფაქტორიც რომც არ იყოს, ისედაც უნდა ვამაყობდეთ ქართველობით, მაგრამ ასე არ ხდება. ჩვენ თუ არ დავაფასებთ ჩვენსას, სხვა არ დაგვაფასებს. რუსეთში არიან ძალები, რომლებსაც ქართველების კარგად ყოფნა სულაც არ უხარიათ. ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. თუ პროცესები იმავე მიმართულებით წავიდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვერ მოვახერხებთ. დამისახელონ, რომელი ქვეყანა გვპირდება ტერიტორიის აღდგენას.

— **ამერიკული ინსტიტუტების მიერ ჩატარებულ კვლევებში დაკარგული ტერიტორიების პრობლემა რატომ აღარ ჩანს? მიზანმიმართულად ცდილობენ, დაგვავიწყონ?**

— რასაკვირველია, სწორედ ეს მიზანი აქვთ. თაობები იზრდებიან, რომლებსაც აფხაზეთი არ უნახავთ და ჩვენ არც ვასწავლით ამ კუთხის ფასსა და მნიშვნელობას.

**ტერიტორიული მთლიანობა რუსეთთან ურთიერთობის გარეშე არ აღდგება, მაგრამ პირდაპირი კონტაქტი აფხაზებსა და ოსებთან აუცილებელია. ამას სულ ვამბობ და გამეორება არასოდეს მომბეზრდება.**

დღეს ვინც იტყვის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა დაიწყო, მტრად მიიჩნევენ. ომი სააკაშვილმა დაიწყო, იმ სისტემამ დაიწყო, რომელსაც სააკაშვილი ემორჩილებოდა. მას ზურგი რომ არ ჰქონოდა, ომს ვერ დაიწყებდა. ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ამ საკითხზე საჯაროდ საუბრობდნენ, დაივიწყეს, იმიტომ, რომ არავის სურს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და რუსეთთან ურთიერთობები დათბეს.

— **ჩვენი პოლიტიკოსები გაბედავენ, აფხაზეთსა და ოსეთზე უარი თქვან ევროკავშირის წევრობის საფასურად?**

— ღმერთმა ნუ ქნას! **ის, ვინც აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმას გაბედავს, ქვეყნის მტერი იქნება, მაგრამ, ამ მიმართულებით რომ არაფერი კეთდება, უკვე ნიშნავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმას.** უცხოელები თავისი კვლევებით ნიადაგს სინჯავენ...

**ჩვენ, ქართველებს, მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა არ გვაქვს, უამრავი ტერიტორიაა ისეთი, რომლებსაც, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. ნახეთ, რა ხდება აჭარაში.**

**«ჩვენ, ქართველებს, მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა არ გვაქვს, უამრავი ტერიტორიაა ისეთი, რომლებსაც, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. ნახეთ, რა ხდება აჭარაში»**

— **ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობაზე რომ საუბრობენ, რა გვაქვს ევროპაში გასატანი და რით შეიძლება, უცხოელები მოვიზიდოთ?**

— პირველი მიზეზი იმისა, რომ გასატანი არაფერი გვაქვს, სიზარმაცეა. შრომა არ გვინდა, მაგრამ რომც ვიშრომოთ, ევროპა საქართველოსთვის ბაზარი ვერ გახდება. რა მოიგო ბალტიისპირეთმა? — არაფერი. ბალტიისპირეთი რძის პროდუქტებით იყო განთქმული, მაგრამ ევროპაში ვერ გააქვთ, ის ნიშა დაკავებული დახვდათ და აქამდე არაფერი იცვლება. არადა, ბალტიისპირეთი თავის დროზე რძის პროდუქტებით საბჭოთა კავშირს ამარაგებდა.

**საქართველოში მცხოვრებმა ადამიანმა ჯერ ის უნდა შექმნას, რაც თვითონ სჭირდება. ძალიან მწყდება გული, რომ საქართველომ ვერ გამონახა გზა, რომლითაც უნდა იაროს.**

— **თვლით თუ არა, ბატონო ჯუმბერ, რომ სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს ჩვენი პოლიტიკური კურსი?**

— აუცილებლად და თანაც — სასწრაფოდ. თუ ხალხის აზრის გაგება სურთ და კვლევებს ეყრდნობიან, ჩავიდნენ სამხრეთ საქართველოში, შიდა ქართლში, აჭარაში, სვანეთში და გაიგებენ, რეალურად რას ფიქრობს საქართველო. რატომღაც ეშინიათ ევრაზიული კავშირის ხსენება. **თუ ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ევრაზიული კავშირი აღადგენს, მე მინდა ევრაზიულ კავშირში შესვლა.**

უვიზო რეჟიმს ვითხოვთ, რად გვინდა ევროპაში უვიზო რეჟიმი? ქვეყნა სულ არ დაგვეცლება?

**რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია. დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღდგეს. ყველა ქვეყანა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დგამს ნაბიჯებს, ჩვენ კი ინტერესები არ გაგვაჩნია. ამერიკელებიც კი მიხვდნენ, რომ მათ მიერ ჩატარებულმა ოპერაციებმა კრახი განიცადა და რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვეს.**

რა ხდებოდა რამდენიმე დღის წინათ ჩვენს დედაქალაქში ლგბტ-ების გამოსვლასთან დაკავშირებით, ეს ხომ ევრაზიულ კავშირში არ მოხდება?! **ეროვნებას არავინ წაგვართმევს, ევროპა კი საკუთარ თავს უკვე აღარ ჰგავს.**

**რატომ არ აღიარებენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ იყენებს და სხვა ინტერესი არ აქვს.**

**ერთადერთი კაცი, რომელიც სიმართლეს ლაპარაკობს აქაც და რუსეთშიც, არის ალექსანდრე ჭაჭია.** მოსკოვში საუკეთესო გამოსვლა ჰქონდა, დაბეჭდეთ იმ გამოსვლის ტექსტი. ის უჭკვიანესი ადამიანია. ერთ-ერთ გადაცემაში რუსეთის წამყვანი პოლიტიკოსები გააჩუმა. დიდ სამამულო ომზე იყო საუბარი. მან პირდაპირ განაცხადა, თავი გაგვანებეთ, ბოდიშს ნუ გვახდევინებთო. მერე წერდნენ, ჭაჭია აფხაზეთიდან არისო და ამაში რაღაც ცუდის დანახვა უნდოდათ. **დიახ, ალექსანდრე ჭაჭია აფხაზეთიდან არის და უნიკალური წარსული აქვს, საუკეთესო, ნამდვილი, ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელია. გადახედეთ მის პოლიტიკურ პროგნოზებს, ყველა ახდა, ყველა გამართლდა.**

მსოფლიოში რამდენიმე მართლმადიდებელი ერია. უნდა ვეცადოთ, ერთმორწმუნე ერებთან ვიმეგობროთ. ისტორიკოსებს, მინდა, ვკითხო: როგორ ხსნიან თამარ მეფის რუსზე გათხოვებას? იმხანად რუსეთი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა, ჩვენ კი ოქროს ხანის ულამაზესი ქალბატონი რუსს მივათხოვეთ. არ ფიქრობენ, რომ ჩვენმა წინაპრებმა ამით პოლიტიკური ნაბიჯი გადადგეს?

**ევროპაში სიარული კარგია, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ თვითონ ევროპელები დიდი სიამოვნებით მიდიან ევრაზიულ კავშირში.**

**მინდა, ყველას ვთხოვო, ერთმანეთს ნუ შეურაცხყოფთ იმის გამო, რომ ვიღაცას ევრაზიულ კავშირში უნდა და ვიღაცას — ევროკავშირში. ჩვენმა ქვეყანამ იმდენი რამ გადაიტანა, ამაზე ჩხუბის და ამის გამო სიძულვილის დრო აღარ არის.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ამერიკელებმა იციან, რომ „ნაცებს“ დაბალი რეიტინგი აქვთ. ისიც კარგად იციან, ვისზე უნდა გააკეთონ აქცენტი, როგორც იტყვიან: „ვირთხები გარბიან“... ახალ გაერთიანებაში მოხდება ყველა პროდასავლური ძალების კონსოლიდაცია, მათ შორის, რესპუბლიკელების და, შესაძლოა, პრეზიდენტისაც“.**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თამარ კიკნაძე:

# ამერიკელები ამზადებენ ძალას, რომელიც ამჟამინდელი ხელისუფლების ალტერნატივა იქნება

**გასული კვირის აქტუალური თემა რიგის სამიტი და იქიდან მთავრობის წევრების სასტვენებით ხელში დაბრუნება იყო.**
**მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ნატოში შესვლაზე კიდევ ერთხელ გვითხრა უარი, „საქართველო და მსოფლიო“ (№9, 2015 წლის 11-17 მარტი) წერდა: „რუსულად გითხრეს, ვერ გაიგეთ; ინგლისურად გითხრეს, ვერ გაიგეთ; გერმანულად გითხრეს, ვერ გაიგეთ; ფრანგულად გეუბნებით, ვერ იგებთ... ეტყობა, არ იცით ეს ენები და მეგრულად გეტყვით: „ნატოშ მუშულა ვარია, წიე!“, მაგრამ, როგორც ჩანს, ლატვიის პრეზიდენტმა ანდრის ბერზინშმა მეგრული არ იცოდა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების წარმომადგენლებს სასტვენები დაჭერინა ხელში.**
**კვირის დასასრულს კი „ნაციონალური მოძრაობის“ „კაი ტიპებმა“ სააკაშვილისგან გამიჯვნა სცადეს, რაზეც სოციალურ ქსელში წერდნენ: „საინტერესოა, როდემდე უნდა ვიტრიალოთ ერთსა და იმავე წრეზე? როდემდე უნდა „ვჭამოთ“ ერთი და იგივე? როდემდე უნდა შემოგვასაღონ სიახლედ კარგად დავიწყებული ძველი მარაზმი? ვიღას სჯერა, რომ გოგა ხაჩიძის, პალიკო კუბლაშვილის, ჯაფარიძის, დამრიგებლური ტონი და შეფარული ზიზღი საკუთარი ერის მიმართ შეიცვალა და „სავლე პავლე გახდა?“**
**გასული კვირის მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**



**— რიგის სამიტიდან სასტვენებით ხელში დაბრუნებული ჩვენი ხელისუფლება გახარებულია, ხალხი — შეურაცხყოფილი... რა მოხდა რეალურად?**

— არ ვიცი, ხელისუფლების წარმომადგენლები რას ეძახიან წარმატებას... ყველამ წინასწარ ვიცოდით, რომ ვიზების ლიბერალიზაცია არ მოხდებოდა და არც მოხდა. **საქართველო და ქართველები, ეტყობა, ღმერთს მაინც უყვარს, რადგან ისედაც მძიმე დემოგრაფიულ სურათს ვიზების ლიბერალიზაცია არ დაემატა.** ამ პირობებში **ვიზების ლიბერალიზაციაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რათა ადამიანები ლუკმაპურისთვის ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში არ გარბოდნენ.** ჩვენ დივერსიფიცირებულ პოლიტიკაზე უნდა ვფიქრობდეთ, რომლის მთავარი მიზანი ხალხის კეთილდღეობა იქნება. **დღევანდელი გზა მხოლოდ პოლიტიკური ელიტის და მიკერძოებული არასამთავრობო ორგანიზაციების კეთილდღეობას უზრუნველყოფს. საქართველოს კეთილდღეობა გრანტებზე, მივლინებებსა და მატერიალურ დაინტერესებაზე იცვლება, ხალხი კი უკიდურეს გაჭირვებაშია.**

ევროპელები ათვითცნობიერებენ, რომ საქართველოში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარს მიღმაა და თავიანთ ქვეყნებში გაღატაკებული ხალხის ჩასვლა არ სურთ. ქართველების ნაწილი რეკეტითა და ქურდობით არის დაკავებული ევროპის ზოგიერთ ქალაქში ქართულად არის გამოკრული წარწერა: „არ მოიპაროთ!“, ამიტომ ქართველების იქ შესვლა მაინცდამაინც სასურველი არ არის. ევროპელები იმდენ პარამეტრს გვიყენებენ, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერ წუთს გვითხრან, თქვენ რომელიმე ამას და ამას ვერ აკმაყოფილებთო... ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ხრიკებია.

საგულისხმოა ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესებიც. მაგალითად, **ინგლისი კატეგორიული წინააღმდეგია თვით შიგა მიგრაციისა. იქ უკვე აკრძალეს ქვეყანაში ბულგარელი და რუმინელი მიგრანტების შესვლა. მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მთელი სოფლები დაიცალა და მოსახლეობა საშოვარზე ევროპის წარმატებულ ქვეყნებში გარბის.**

საინტერესო იყო სამიტზე ყირიმის ანექსიის თემა. ასეთ ფორმულირებაზე უარი განაცხადეს აზერბაიჯანმა და სომხეთმა. რაც შეეხება ოსეთსა და აფხაზეთს, მათზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

**ძალიან სასაცილოა, როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები ამბობენ, დეკლარაციაში უნდა ჩაეწერათ არა „საქართველომ პროგრესს მიაღწია“, არამედ „თვალსაჩინო პროგრესს“ ან „მნიშვნელოვან პროგრესს“ მიაღწიაო. თითქოს ასეთი ჩანაწერი რამეს ცვლის.**

**— სასტვენების გადაცემის შემდეგ, აქვს თუ არა ჩვენს მთავრობას უფლება, რომ კიდევ ტყუილი მოლოდინით გვაცხოვროს, არ არის ცვლილების დრო?**

— **იცით, რისი დროა: სასტვენები ჩვენ თვითონ ავიღოთ ხელში და სტვენა-სტვენით გავაგონოთ ჩვენი ხმა. სასწრაფოდ შველა უნდა ვითხოვოთ. რადიკალური ზომებია მისაღები.**

მსოფლიო გადანაწილებულია, კაპიტალისტურია. დღეს კაპიტალიზმის დემონტაჟი მიმდინარეობს, მიზანი გადანაწილებულის შენარჩუნებაა. ამ პროცესებში კი ქართველი ხალხის ადგილი არ არის. ვალუტის კურსის ასეთი რყევა არის გაფრთხილება. დღეს წარმატებულ საბანკო ბიზნესზე ლაპარაკობენ. იმ ბანკებზე, რომლებიც ასე მომრავლდნენ საქართველოში და რომლებსაც კარტბლანში ჰქონდათ მოსახლეობის გაღატაკებაზე. ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს **ქვეყანაში დღეს არსებული პრობლემის მოგვარება საზღვარგარეთ გამავალი ვალუტის რეგულირებით იყო შესაძლებელი. მალაიზიის ხელისუფლებამ, 1998 წელს კრიზისი რომ ჰქონდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომანდაციების შესრულების ნაცვლად, დააწესა ძალიან მკაცრი კონტროლი ქვეყნიდან ვალუტის გადინებაზე, რითაც თავი გადაირჩინა.**

ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა, ჩვენმა ეროვნულმა ბანკმა 400 მილიონი დოლარი წინასწარ გადაიხადა, დაფარა ვალი, რომელიც 2017 წელს უნდა გაესტუმრებინაო. ეს იმის დასტურია, რომ ხელოვნურად შექმნილი პროცესია. **ვალუტის ასეთი რყევა შეჯანჯღარებას ნიშნავს, ქვეყანას რაღაც პირობები წაუყენეს და მათ შესრულებას მოითხოვენ.**

**— მეტი რაღა დაგვრჩა შესასრულებელი, ხომ ყველაფერში ვემორჩილებით?**

— როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არის რაღაც დარჩენილი, რაც არ შეგვისრულებია, ამას მალე შევიტყობთ.

**— დაკარგულ ტერიტორიებზე გვათქმევინებენ უარს?**

— არა, **ხომ ხედავთ, ტერიტორიებზე აღარც საუბრობენ** — ეს თემა დახურულია...

**— სერგეი ლავროვმა თქვა, რომ აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატი უნდა გაფართოვდეს. როგორ ფიქრობთ, რა ფორმით მოხდება გაფართოება, შეძლებენ, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობის რეგულირებაზე ისაუბრონ?**

— ახლანდელი ფორმატი შეზღუდულია. მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს განიხილავენ, ფაქტია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, ამას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც მოითხოვს. **თუ საქართველო რუსეთისთვის მტრულ ქვეყნად დარჩება, ის ბაზარიც ჩაიკეტება, რომელიც დღეს ხელმისაწვდომია ჩვენთვის. სამხედრო წვრთნები, რომლებიც ქვეყანაში ტარდება ამერიკელებთან ერთად, კიდევ ერთი გამოწვევაა რუსეთისთვის. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმში ამერიკელი და ქართველი სამხედროების ერთობლივად გამოსვლა, არა მგონია, რუსეთის აღფრთოვანებას იწვევდეს...**

ქვეყნის პოლიტიკა, ფაქტობრივად, შეცვლილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ექსპერტი რუსული პროპაგანდის გააქტიურებაზე ლაპარაკობს, ეს ასე არ არის. დღეს საქართველოში ისევ მკვეთრად ანტირუსული რიტორიკაა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ახალგაზრდა თაობაში, რომლებსაც იდიოტებად ზრდიან არავის შეურაცხვყოფ. „იდიოტი“ ძველი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს, რომელიც გარემოს ვერ აღიქვამს. **ჩვენ ვზრდით ახალგაზრდა თაობას, რომელიც გარემოს ვერ აღიქვამს. დღეს განათლების სისტემის ძირითადი ამოცანა ახალგაზრდების გონების დერაციონალიზაცია და ისტორიული მეხსიერების შეცვლაა.**

მაგალითად, დღეს **ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან, რომ მეორე მსოფლიო ომი მოიგო არა საბჭოთა კავშირმა, არამედ ინგლისმა და ამერიკამ. ჩვენმა ახალგაზრდებმა არ იციან, რომ საქართველოდან სამამულო ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.**

სააკაშვილის წასვლასთან ერთად, გვეგონა, სისტემური ცვლილებები დაიწყებოდა და მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლებოდა, მაგრამ სისტემური ცვლილებები არ განხორციელებულა...

**ოპოზიციას რომ ჰკითხოთ, გეტყვიან — რიგის სამიტი იყო ხელისუფლების კრახი, ხოლო ხელისუფლება ამბობს, რომ იყო წარმატება. სინამდვილეში კი საქართველოს პოზიცია ძალიან დამამცირებელია, რიგის სამიტზე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გარკვევით თქვა, რომ ეს შეხვედრა არ არის ევროკავშირის გაფართოების მიზნით გამართული შეხვედრა, ეს არის დაახლოების მიზნით გადადგმული ნაბიჯი. ამაზე მეტს დიპლომატები არ ამბობენ, თუმცა სათქმელი გასაგები უნდა ყოფილიყო...**

მაინც **რამდენი წლის განმავლობაში შეიძლება, უკაკუნო ვიღაცას კარზე, რომელსაც არ გიღებს. როდის უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენს პრობლემებს თვითონვე უნდა მივხედოთ? ევროკავშირის წევრი არ არის არც დანია და არც ნორვეგია, რადგან მიაჩნიათ, რომ ევროკავშირი არ შეესაბამება მათ სუვერენულ ინტერესებს. რატომ არ შეიძლება, რომ მათ მივბაძოთ და შევეშვათ ამ ევროისტერიკას?**

ცოდოა ქართველი ხალხი, დაიღალა ამდენი ტყუილითა და სიდუხჭირით, ყველაფერს შეგვაჩვიეს... პატრიარქი ამბობს, ნუ შეეჩვევით სიღარიბესო, მაგრამ, ბევრი მათგანი სიღარიბეს რომ არ შეეჩვიოს, იძულებულია, ქვეყანა დატოვოს და ლუკმაპურის საძიებლად სხვა ქვეყნებს მიაშუროს. აი, ამისთვის სჭირდებათ ვიზების ლიბერალიზაცია.

**— „ნაციონალების“ რიგებში ცვლილება მოხდა. ზურაბ ჯაფარიძემ, პავლე კუბლაშვილმა, გიორგი მელაძე და გოგა ხაჩიძემ პარტია დატოვეს. არის თუ არა ეს იმის მცდელობა, რომ დასავლეთი ახალი ძალის ჩამოყალიბებას ცდილობს და ამ ძალით ხელისუფლების ჩანაცვლებას?**

— ფაქტია: „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალი არ აქვს — ხალხის განწყობა მათ მიმართ უარყოფითია. ეს ადამიანები, დიდი ალბათობით, ირაკლი ალასანიას შეუერთდებიან. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ამის შესახებ უკვე განაცხადა.

**ამერიკელები ამზადებენ ძალას, რომელიც ამჟამინდელი ხელისუფლების ალტერნატივა იქნება.** მათ იციან, რომ „ნაცებს“ დაბალი რეიტინგი აქვთ. ისიც კარგად იციან, ვისზე უნდა გააკეთონ აქცენტი, როგორც იტყვიან: „ვირთხები გარბიან“... ახალ გაერთიანებაში მოხდება ყველა პროდასავლური ძალის კონსოლიდაცია, მათ შორის, რესპუბლიკელების და, შესაძლოა, პრეზიდენტისაც.

**— ბევრი ამბობს, რომ ეს პროცესი დააჩქარა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის სწრაფვამ ევრაზიული კავშირისკენ...**

— პროდასავლური ძალების კონსოლიდაციაზე საუბარი, დიდი ხანია, დაიწყო, თუმცა უნდა ითქვას, რომ პრორუსული განწყობაც იზრდება და ამას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

**— როგორ მიიღებს ამას ხალხი? „ნაციონალებიც“, რესპუბლიკელებიცა და ალასანიას გუნდიც მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია...**

— ყველაფერი ტექნოლოგიებით იმართება, ვერავინ იფიქრებდა, რომ რესპუბლიკელები ამ დოზით მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ მოვიდნენ. **ახალი ტექნოლოგიები ქართულ პოლიტიკაში აუცილებლად იქნება გამოყენებული.** იმედი მაქვს, ხალხი გამოიბრძმედა და ეჭვის თვალით შეხედავს მიმდინარე პროცესებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არც ეკლესია და არც ერი არავის მისცემს უფლებას, უზნეობა დააკანონოს და უუნარობაა, როცა ხელისუფლება თავის პოზიციას ვერ იცავს. ნუთუ ხელისუფლებას შესაბამისი არგუმენტები ვერ უნდა წარედგინა ევროსასამართლოში? ასეთ საკითხზე პასუხის გაცემა თუ არ შეუძლია და უიარაღო მტრებს ვერ იგერიებს, იარაღიანს როგორღა დაამარცხებს?!“



მამა დავითი (ქვლივიძე):

# მაგათაც ეგ უნდათ — რაც უკრაინას დამართეს, ის გაუკეთონ საქართველოსაც

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე) ესაუბრება.**

**— მამაო, გავრცელდა ინფორმაცია, რომ განათლების სამინისტროს ინიციატივით, მომავალი სასწავლო წლიდან მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეები ახალ საგანს ისწავლიან, რომელსაც „მე და საზოგადოება“ ეწოდება. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე ამბობს, სახელწოდების მიღმა მზაკვრული ჩანაფიქრი იმალება. სინამდვილეში აპირებენ, ბავშვებს ასწავლონ გენდერული იდენტობა, პიროვნული იდენტობა და სხვ. ამ ინფორმაციამ საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია და საპროტესტო აქციაც კი დაიგეგმა. როგორი იქნება ეკლესიის პოზიცია და, საერთოდ, როგორ შეაფასებთ განათლების სამინისტროს ქმედებას?**

— ეს ყველაფერი ახლა არ დაწყებულა, მსგავსი მცდელობა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ჰქონდა.

ეკლესიამ ადრეც დიდი ბრძოლა გამოუცხადა ამ უზნეობის ქადაგებას და გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ ადრინდელი შემთხვევები მაღალ კლასებს ეხებოდა და, თუ ახლა დაწყებით კლასებში გადაწყვიტეს ასეთი საგნების სწავლება, ეს არც ქვეყანას და არც ხელისუფლებას კარგს არაფერს მოუტანს.

**სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები ამერიკის ზოგიერთ შტატშიც კი მხოლოდ მაღალ კლასებში, თანაც ორი კვირის განმავლობაში, ისწავლება და, თუ ბავშვი 18 წლის არ არის, მშობლის წერილობითი თანხმობის გარეშე მსგავს გაკვეთილებს არ უტარებენ. ჩვენთან კი რა ხდება? რა უნდა ასწავლონ ბავშვებს?** ეს არის წულთა ხრწნის, ბავშვების გარყვნის მცდელობა. **არ გვეგონა, რომ ეს ხელისუფლება, რომელიც სრულიად სხვა დაპირებებით მოდიოდა, ამას გააკეთებდა, რადგან, არც ერთი ნორმალური სახელმწიფო თავის ბავშვებს ასე არ მოექცევა.**

**— რელიგიის სწავლება თავის დროზე სკოლებში იმ მოტივით აიკრძალა, თითქოს სხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ბავშვები იჩაგრებოდნენ. მამაო, რას ეტყოდით ოპონენტებს, რატომ უნდა ისწავლებოდეს რელიგია სკოლებში?**

— ისრაელის მაგალითს მოვიყვან, რადგან **ისრაელზე მაინც ხომ ვერავინ იტყვის, რომ არადემოკრატიული სახელმწიფოა. იქ რელიგიის სწავლება საბავშვო ბაღიდან იწყება.** ბავშვებიც კი თავიანთი ტრადიციული ქუდით დადიან, რომელსაც კიპა ეწოდება. სკოლებში მოსწავლეები რელიგიის საგანში გამოცდასაც აბარებენ, მეტიც — ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამიცდების ნუსხაშიც კი შედის. ისრაელში ყოველწლიურად იმართება სატელევიზიო ვიქტორინები რელიგიურ საკითხებზე, სადაც გამარჯვებულს, თუ არ ვცდები, „წლის გოგოს“ და „წლის ბიჭის“ ტიტულს ანიჭებენ. ისრაელის პრემიერის — **ბენიამინ ნათანიაჰუს მშობლები ამ ვიქტორინის გამარჯვებულები იყვნენ. აი, სწორედ ასეთი ოჯახიდან გამოვიდა ეს კაცი, რომელიც დღეს ეროვნული სულისკვეთებით მართავს ქვეყანას.**

ისრაელში, გარდა ებრაელებისა, უამრავი მუსლიმანი და ქრისტიანი ცხოვრობს და ისრაელის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ მის ეროვნულ სარწმუნოებაშია. **ვინმე გაუბედავს და ეტყვის ისრაელის ხელისუფლებას ან მისცემს მითითებას, რომ შეარბილოს თავის სკოლებში ბავშვების რელიგიურ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა? მაშ, ჩვენ რატომღა გვიბედავენ ამდენს?**

მეტსაც გეტყვით, ისრაელში




არის მოსახლეობის საკმაოდ დიდი რელიგიური კატეგორია (დაახლოებით 15%), რომელსაც „ხასიდებსა“ და „დათიმებს“ უწოდებენ და მათ მხოლოდ ბევრი შვილის გაჩენა და ლოცვა ევალებათ. ეს ადამიანები არ მუშაობენ, მაგრამ ხელისუფლება მათ თითოეულ ბავშვზე ფულს უხდის, უამრავ კომუნალურ და ყოფით შეღავათს უწესებს და ხშირად მათი შვილები, რელიგიური მოტივით, ჯარშიც არ მსახურობენ. არადა, მოგეხსენებათ, ისრაელში ჯარში ქალებიც კი მიდიან. ჩვენთან კი რა ხდება? — ეკლესიას, ბერ-მონაზვნებსა და, საერთოდ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს არათუ შეღავათებს უწესებენ და ეხმარებიან, ხშირად აქილიკებენ და ირონიით უყურებენ.

**— ისრაელს საკმაოდ ძლიერი ჯარიც ჰყავს და, როგორც აღნიშნეთ, ჯარში ქალებიც მსახურობენ. უკვე საქართველოშიც გვყავს ქალი თავდაცვის მინისტრი. თინა ხიდაშელს მოადგილეც ქალბატონი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, ეს გააძლიერებს ჯარს?**

— ისრაელში ჯარის ძირითადი ნაწილი მამაკაცებისგან შედგება, თავდაცვის მინისტრიც მამაკაცია. ქალები იქ მხოლოდ რეზერვისტების ფუნქციას ასრულებენ და, ალბათ, ასეც უნდა იყოს. გაუგებარია, ქალმა თავდაცვის მინისტრმა რა უნდა გააკეთოს ისეთ ქვეყანაში, რომელიც, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაშია, ხოლო მისი ტერიტორიები მეზობელ სახელმწიფოს ოკუპირებული აქვს?! ჯერჯერობით ნაადრევია დასკვნის გამოტანა, მაგრამ ვფიქრობ, თუ სარდალი და მისი მოადგილეები ზნეობასა და სარწმუნოებაზე არ არიან ორიენტირებულნი, არაფერი გამოვა. **ისრაელში თავდაცვის მინისტრსაც კიპა ახურავს; წარმოგიდგენიათ, ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა ოფიციალურ შეხვედრებზე, ყველას დასანახავად ჯვარი გამოაჩინოს?**

**— როგორ ფიქრობთ, მიმდინარეობს დღეს ჩვენი ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა?**

— ფიქრი რად უნდა, როცა **ჩამოდიან და პირდაპირ გვეუბნებიან, თუ გინდათ ევროკავშირში შემოსვლა, მამათმავლები უნდა გახდეთო!** ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ეს პირდაპირ თქვა. მამათმავალმა ქართველმა როგორ უნდა იომოს და დაიცვას სამშობლო?! მაგრამ მაგათაც ეს უნდათ, რომ არ დაიცვას და, რაც უკრაინას დამართეს, ის გაუკეთონ საქართველოსაც და ბოლოს მხოლოდ შორიდან „შეწუხდებიან“ და „აღშფოთდებიან“. **ტელეკომპანია ბი-ბი-სი-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით — „მართლმადიდებლობა საკლასო ოთახში“, რომელშიც ავტორი მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირების თვალსაზრისი ვლადიმერ პუტინის რუსეთისას უფრო ემთხვევა, ვიდრე დასავლეთისას. ფაქტობრივად, ნათქვამია, რომ მართლმადიდებლობა ქვეყნის განვითარებას აფერხებს და ამ მიზნებს ყველაზე მეტად ეკლესია საშუალო სკოლების გამოყენებით ახორციელებს...**

— დასავლეთი თვითონ გვეუბნება უარს ნატოსა და ევროკავშირში მიღებაზე და ვერ გავიგე, ჩვენ რა უნდა ვქნათ?! ახლახან ვიზების ლიბერალიზაციაზეც უარი გვითხრეს, ეს იგივეა, სახლში კაცს რომ არ უშვებ და თან ეუბნები, — ჩემი მეგობარი ხარო. თანაც, ამის სანცვლოდ გვაიძულებენ, საკუთარ მეობასა და ტრადიციებზე უარი ვთქვათ?

რაც შეეხება რუსეთს, **საქართველო და რუსეთი ერთმორწმუნე სახელმწიფოები არიან და რამდენიც უნდა ილაპარაკონ, ფაქტია: რუსეთი რომ არა, საქართველო ვერ გაერთიანდებოდა და დღეს აჭარა ჩვენი არ იქნებოდა. ტაო-კლარჯეთიც 1877 წელს რუსეთმა შემოიერთა. მეტიც — 1862 წელს, მუჰაჯირობის პერიოდში, რუსებმა აფხაზეთი თურქებისგან გაწმინდეს. აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური თურქები შეადგენდნენ. მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ფოთიც კი თურქული ქალაქი იყო.** ეს ცნობილი ისტორიული ფაქტებია.

დღეს ქართველების უმეტესი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში ხედავს ზნეობისა და ტრადიციების დაცვის ელემენტებს: რუსეთში კანონით აკრძალულია და ისჯება მამათმავლობის საჯაროდ ქადაგება. სახელმწიფო დუმამ აკრძალა სკოლებში სექსის საკითხებზე გაკვეთილების ჩატარება, დღის საათებში აკრძალულია სატელევიზიო ეთერში ეროტიკული ფილმების ჩვენება და უხამსი სიტყვების თქმაზე ჯარიმებიც კია დაწესებული.

**ლიბერალური დასავლური გეზი თუ ის არის, რომ მამათმავლები გავხდეთ, რა თქმა უნდა, ერი და ბერი ამას შეეწინააღმდეგება. შრომის კულტურა, სწავლის კულტურა, თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიები კი, რა თქმა უნდა, მისაღებია.** მხოლოდ ის არ არის ევროპა, რაც სურთ, გვაჩვენონ. საფრანგეთში 800 ათასი კაცი გამოვიდა მამათმავლების წინააღმდეგ, ასეთ ევროპას ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით. ჩვენ არც **ვაცლავ ჰაველის** ევროპას ვეწინააღმდეგებით, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგია, მაგრამ, ბუნებრივია, გარყვნილება ჩვენთვის მიუღებელია.

**— წლევანდელმა 17 მაისმა მშვიდად ჩაიარა, მაგრამ 2013 წელს 17 მაისის აქციის ჩაშლის გამო ევროკომისიამ საქართველოს 14 განმცხადებლის სასარგებლოდ 32 ათასი ევროს გადახდა დააკისრა...**

— იცით, რა მოხდა 2013 წელს? ქალაქის ცენტრში, 51-ე სკოლის წინ ერთსქესიანები შეიკრიბნენ და ბავშვების თვალწინ ერთმანეთს ტუჩებში სახალხოდ აკოცეს. ამას რომელი ნორმალური ქვეყანა დაუშვებს? ამ აქციის ერთ-ერთ მონაწილეს ვკითხე (სხვათა შორის, ჩვენი დიალოგი ინტერნეტსივრცეშიც გავრცელდა), — ქალბატონო, თქვენი შვილები ასე რომ მოიქცნენ, რას იზამთ-მეთქი და, — მე გოგო და ბიჭი მყავს და, ერთმანეთთან ურთიერთობა რომც მოისურვონ, პრობლემა არ მექნებაო. წარმოგიდგენიათ, ამას დედა ამბობს შვილებზე — და-ძმაზე.

არც ეკლესია და არც ერი არავის მისცემს უფლებას, უზნეობა დააკანონოს და უუნარობაა, როცა ხელისუფლება თავის პოზიციას ვერ იცავს. ნუთუ ხელისუფლებას შესაბამისი არგუმენტები ვერ უნდა წარედგინა ევროსასამართლოში? **ასეთ საკითხზე პასუხის გაცემა თუ არ შეუძლია და უიარაღო მტრებს ვერ იგერიებს, იარაღიანს როგორღა დაამარცხებს?!**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## რიგის სამიტის დეკლარაცია: 2014 წლის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ტერიტორიული მთლიანობა არ არის გარანტირებული

**რიგის სამიტის დეკლარაციაში საუბარია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებზე. სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას.**

სამიტის საბოლოო დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2014 წლის შემდეგ უკრაინასა და საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის ფუნდამენტური პრინციპები არ არის გარანტირებული 21-ე საუკუნეში ევროპის კონტინენტზე.



**დღეს საქართველოში მართლმადიდებელი მრევლის, ანუ მოსახლეობის, სულ ცოტა, 90 პროცენტის ნებას ლგბტ თემის ვარიების კრიახზე მეტი ფასი არ აქვს. ეს ფაქტია და ამას უკვე ყველა ხედავს, ამის უკან კი ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ ამერიკა და ჩვენი სათაყვანებელი დასავლეთი დგას. როგორც ჩანს, ევროინტეგრაცია სხვანაირად არ გამოდის და „ბნელმა ღრუზინებმა“ ერთი ადგილი უნდა დავაყენოთ.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საპატრიარქომ 17 მაისს დაგეგმილი ღონისძიებები ამერიკის საელჩოს ზემოქმედებით გააუქმა!

**წელს, 17 მაისს, საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შარშან დაწესებული „ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის“ დღე ვერ აღინიშნა. წინა წლისგან განსხვავებით, რუსთაველზე მრევლის მსვლელობა არ ყოფილა და არც სხვა ღონისძიებები ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მიერ ორგანიზებულ პროცესიას, რომელსაც, მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა, პოლიციამ გზის გადაკეტვის საშუალებაც არ მისცა. მიზეზად ის დასახელდა, რომ წინა დღეს, 16 მაისს აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დედაქალაქში შემობრძანება აღინიშნა. ამის თაობაზე სპეციალური განცხადება საპატრიარქომ გაავრცელა. მასში ნათქვამი იყო, რომ ეკლესიამ უმჯობესად მიიჩნია, ეს დღეები (16-17 მაისი) ლოცვით მსვლელობებსა და მსახურებას დათმობოდა. დაგეგმილი ღონისძიებების გადადებაც ოფიციალურად ამ მიზეზით ახსნეს, მაგრამ ამ ყველაფერმა ეჭვები მაინც გააჩინა. იყო საუბარი იმაზე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკურმა კონიუქტურამ განაპირობა, რომ ხელისუფლებამ ეკლესია აიძულა, დათმობაზე წასულიყო.**


„იდენტობის“ ხელმძღვანელი ირაკლი ვაჭარაძე


აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი

რეალურად აი, რა მოხდა: როგორც მცირე ხნის წინათ **პატრიარქის გარემოცვასთან დაახლოებულმა სანდო წყარომ მაცნობა, 17 მაისს სასულიერო პირთა და მრევლის მსვლელობის ჩაშლა უშუალოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ძალისხმევით მოხდა. ამ ორგანიზაციის მესვეურებმა, თურმე, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აეძულებინათ, ზემოქმედება მოეხდინა ეკლესიაზე და მისთვის უარი ეთქმევინებინა ღია სივრცეში შეკრებაზე ან მსვლელობის მოწყობაზე.** ამისთვის თურმე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „იდენტობის“ წარმომადგენლებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, გაიმართა რამდენიმე შეხვედრაც და ამ პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ. მეტიც, **მოლაპარაკებებში ჩართული იყო დიპლომატიური კორპუსიც, კერძოდ, ამერიკის საელჩო და უშუალოდ ელჩი რიჩარდ ნორლანდი, რომელიც ლგბტ თემის უფლებადამცველ „იდენტობას“ ლობირებდა და ხელისუფლებას მისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვისკენ მოუწოდებდა.** პირველი საინფორმაციო შეხვედრაც **24 აპრილს** სწორედ ნორლანდის ინიციატივით მოხდა და „იდენტობასთან“ ერთად მას ესწრებოდნენ შემდეგი ორგანიზაციები: **ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, ევროკომისიის ადამიანის უფლებათა ოფიცერი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო, სახალხო დამცველის წარმომადგენელი და პრემიერმინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა საკითხებში.** იმავე დღეს, 24 აპრილს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ინიციატივით გაიმართა პირველი შეხვედრა დაგეგმილი ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე და როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან კონკრეტული მოსაზრებები გამოითქვა. მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ კანცელარიის წინ აქციის გამართვა არ იქნებოდა მართებული (ლგბტ-ები სწორედ ამას ითხოვდნენ), რადგან ხელისუფლება თვითონაც ეწინააღმდეგება ორიენტაციის ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციას. მან ღონისძიების გამართვის ალტერნატიულ ადგილად წერეთლის პროსპექტზე მდებარე საგამოფენო ცენტრი დაასახელა, თუმცა „იდენტობა“ ამას კატეგორიულად არ დაეთანხმა. ეს შეთავაზება მიუღებლად მიიჩნიეს შეხვედრაზე მყოფმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც, რადგან, მათი აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართული ღონისძიების ჩატარება ქალაქის ცენტრიდან შორს, კომიკური და დამამცირებელია. მოკლედ, პირველი მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

მომდევნო შეხვედრა 27 აპრილს გაიმართა და ამჯერად **„იდენტობას“ დედაქალაქის ცენტრში, საბურთალოზე, სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ პარკინგზე შესთავაზეს აქციის გამართვა.** შს მინისტრის მოადგილის თქმით, ძალოვნები უზრუნველყოფდნენ მათ სრულ უსაფრთხოებას და ინციდენტის შემთხვევაში, რადიკალურად განწყობილ ჯგუფებს აქციასთან მიახლოების საშუალება არ ექნებოდათ. მიუხედავად ამისა, ლგბტ თემისთვის შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა. მათი თქმით, სასტუმროს პარკინგზე აქციის გამართვა დამამცირებელი იყო. "იდენტობამ" სხვა ადგილი, კერძოდ, სასტუმრო „რადისონის“ მიმდებარე ტერიტორია ან ვარდების მოედანი (ყოფილი რესპუბლიკის მოედანი) მოითხოვა, თუმცა „მხარეებმა“ ვერც ამჯერად მიაღწიეს შეთანხმებას და მოლაპარაკება ისევ უშედეგოდ დასრულდა.

**მესამე შეხვედრა 1 მაისს** (ან შესაძლოა, 2-ში) გაიმართა — კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით. აქ უკვე გადაჭრით ითქვა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურა მხოლოდ სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ წინ იძლეოდა აქციის უსაფრთხოების გარანტიას. იმავე შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, თუ "იდენტობა" ვარდების მოედანზე ან სასტუმრო „რადისონთან“ მოაწყობდა შეკრებას, მოსალოდნელ გართულებებზე პასუხისმგებლობა თვითონ ამ ორგანიზაციას უნდა დაეკისრებინა. ეს იყო ძალოვანი უწყების მკაფიო და მყარი პოზიცია, რამაც "იდენტობის" წარმომადგენელთა გაღიზიანება და პროტესტი გამოიწვია.

ბოლო შეხვედრა 6 მაისს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ინიციატივით შედგა და „იდენტობის“ წარმომადგენელს პირდაპირ განუცხადეს, რომ, თუ ისინი აქციას დედაქალაქის ცენტრში ჩაატარებდნენ, უმჯობესი იქნებოდა, ეს არ ყოფილიყო წინასწარ დაანონსებული. ლგბტ-თა დამცველებისთვის ეს მოწოდებაც „დამამცირებელი“ აღმოჩნდა. მოკლედ, შეხვედრამ ცხარე კამათის ფონზე ჩაიარა და შეთანხმებას ვერც ამჯერად მიაღწიეს.

ამის შემდეგ "იდენტობას" მოლაპარაკებები არ უცდია, მათ არ ჰქონიათ არანაირი კონტაქტი არც შსს-თან და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო უწყებასთან, რომელსაც რამე კავშირი აქვს ძალოვან სტრუქტურებთან. ეს საკითხი თითქოს დავიწყებას მიეცა — არც განხილვები და არც სატელეფონო კონტაქტი. ორივე მხარე გაჩერდა, ამ თემაზე ყველანაირი დისკუსია და მსჯელობა შეწყდა.

**საბოლოო ჯამში, „იდენტობა“ ვერ შეიკრიბა დედაქალაქის ცენტრში და ვერ მოაწყო ლგბტ-თა აქცია, მაგრამ 17 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე საპატრიარქომაც სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — გააუქმა ყველა ღონისძიება, რომლებიც პატრიარქის მიერ დაწესებული ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად უნდა გამართულიყო; გააუქმა დაგეგმილი მსვლელობა და მრევლს მოუწოდა, ამ დღეს ტაძრებში ან თუნდაც სახლებში ელოცა.** ცხადია, ამ ყველაფერმა უამრავი ეჭვი გააჩინა და ეს ეჭვები არცთუ უსაფუძვლო აღმოჩნდა. გაირკვა, რომ **„იდენტობასთან“ მოლაპარაკების პარალელურად ხელისუფლება ეკლესიაზე ზემოქმედებდა.** მეტიც, სანდო წყარომ მაცნობა, რომ ამ ზემოქმედების პირველწყარო არა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, არამედ ამერიკის საელჩო და მისი ლობისტური უცხოური თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. სწორედ ისინი აიძულებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამღვდელოებისთვის ხელის შეშლას და პირობების წაყენებას, რომ "იდენტობის" აქციის გაუქმების სანაცვლოდ თვითონაც უარი ეთქვათ ყველა დაგეგმილ ღონისძიებაზე. საბოლოოდ, ზემოქმედებამ გაჭრა და საპატრიაქომ დათმო. მას არა მხოლოდ კონცერტები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიება გააუქმებინეს, აწყურის ღვთისმშობლის ხატის მსვლელობაც კი წინა დღეს, 16 მაისს გადმოატანინეს. ამით, ფაქტობრივად, იმის დემონსტრირება მოხდა, რომ, თუკი არ იქნება ლგბტ-ების უფლებები გარანტირებული, არც უმრავლესობის ნება იქნება დაცული და, თუკი ე.წ. უმცირესობა ვერ შეძლებს თავისი ნების თავისუფლად გამოხატვას (თუნდაც ეს ნება სცილდებოდეს ყოველგვარ ნორმას), მაშინ ვერც უმრავლესობა დაიცავს საკუთარ ტრადიციებსა და ღირებულებებს.

მოკლედ, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ **დღეს საქართველოში მართლმადიდებელი მრევლის, ანუ მოსახლეობის, უმრავლესობის ნებას ლგბტ თემის ვარიების კრიახზე მეტი ფასი არ აქვს. ეს ფაქტია და ამას უკვე ყველა ხედავს, ამის უკან კი ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ ამერიკა და ჩვენი სათაყვანებელი დასავლეთი დგას.** როგორც ჩანს, ევროინტეგრაცია სხვანაირად არ გამოდის და „ბნელმა ღრუზინებმა“ ერთი ადგილი უნდა დავაყენოთ. „ისტორიული არჩევანი“ მსხვერპლს მოითხოვს — ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია...

**ჯაბა ჟვანია**



## სანდრა რულოვსის შიშით, უკრაინაში ტყვედ აყვანილი რუსი ჯარისკაცები ოპერაციას არ იკეთებენ

**უკრაინული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში ტყვედ ჩავარდნილი რუსი „ბოევიკები“ ანესთეზიის საშუალებით ოპერაციის ჩატარებაზე უარს ამბობენ, რადგან შიშობენ რომ, ორგანოებს ამოაჭრიან და გაყიდიან.**

შეგახსენებთ, რომ უკრაინული გამოცემა slovo.net.ua სააკაშვილისა და მისი ცოლის — სანდრა რულოვსის საოჯახო ბიზნესზე წერდა. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ სანდრა რულოვსის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალურად აღჭურვილი ექიმი-ტრანსპლანტოლოგები დაჭრილ უკრაინელ ჯარისკაცებს კლავდნენ და ორგანოებს აჭრიდნენ, რის შემდეგაც ევროპაში გაჰქონდათ გასაყიდად.

უკრაინულმა მედიამ გაფატრული და გამოშიგნული ჯარისკაცების ფოტოებიც გაავრცელა.



## «ევროვიზიის» გამარჯვებული გეია

**ინტერნეტში გავრცელდა ფოტოები, რომლებიც ამტკიცებს, რომ „ევროვიზიის“ 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული შვედი მომღერალი მონს სელმერლევი უარს არ ამბობს თავისი სქესი წარმომადგენლებთან ინტიმურ ურთიერთობებზე.**

ფოტოებზე ასახულია, როგორ კოცნის სელმერლევი ახალგაზრდა მამაკაცს, აგრეთვე, პროვოკაციულ კოსტუმში გამოწყობილი მომღერალი ლგბტ დროშის ფონზეა.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინათ სელმერლევმა ე.წ. ჰომოფობიური განცხადებები გააკეთა შვედეთის ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში, რომლისთვისაც მას ბოდიშის მოხდა მოუწია.

შარშან — ქალის კაბაში გამოწყობილი ტრანსვესტიტი კონჩიტა ვურსტი; წელს — გეი მონს სელმერლევი...

როგორც ჩანს, დაკანონდა ასეთი ტენდენცია: „ევროვიზიის“ კონკურსში რომ გაიმარჯვო, აუცილებლად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი უნდა იყო.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კითხვასაც კი — რატომ ნატო? ხელისუფლება შეურაცხყოფად აღიქვამს და აგრესიულად გიპირისპირდება. ეს უნდა გააცნობიერონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ეს რწმენის საკითხია და ყველა ქართული პრობლემის პანაცეა არის ნატო“.**



გია ხუხაშვილი:

# ჩვენ ისევ გავდივართ აქტიური ანტირუსული კოალიციის წინა ხაზზე

**2012 წლის არჩევნების წინ ქართველი ამომრჩევლის შეკვეთა პოლიტიკური ასპარეზიდან „ნაცმოძრაობის“ გაქრობა იყო. ეს მშვენივრად ესმოდათ ამერიკელებს და ამიტომაც არ დაუშვეს არჩევნების გაყალბების გზით „ნაცების“ მესამედ მოსვლა ხელისუფლებაში, მაგრამ მოიყვანეს ისეთი ძალა, რომელმაც თვალი დახუჭა „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებზე. რა იყო ეს — ქართველი ამომრჩევლის წინასწარ ჩაფიქრებული გაცუცურაკება თუ „ქართული ოცნების“ უგუნურება? „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

— ვფიქრობ, ამომრჩევლის წინასწარ ჩაფიქრებული გაცუცურაკების არანაირი გეგმა არ არსებობდა. ის, რომ „ნაცმოძრაობა“ კიდევ სულდგმულობს, „ქართული ოცნების“ უგუნურებისა და არასწორი პოლიტიკის შედეგია. „ქართული ოცნება“ ისე რომ მოქცეულიყო, როგორც ეკადრება ხელისუფლებას, „ნაცმოძრაობა“ დღეს გაცილებით უარეს მდგომარეობაში იქნებოდა.

**— ფაქტობრივად, პოლიტიკურ სასაფლაოზე მყოფი, 3-პროცენტიანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტიის გაცოცხლება და „ოცნებასთან“ ჩაბმა არ იყო საკამათო საკითხი? ქართველი საზოგადოების ოცნება ნამდვილად არ ყოფილა რესპუბლიკელების წამყვან ძალად გადაქცევა და თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა...**

— გეთანხმებით, რესპუბლიკური პარტია ხალხს გულზე არ ეხატება. რაც შეეხება თინას გამინისტრებას, ეს არ იყო მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური დაზღვევისკენ გადადგმული ტაქტიკური ნაბიჯი, ამას ჰქონდა საშინაო პოლიტიკური დატვირთვაც, მაგალითად, ნეიტრალიზება ალასანიასი, როგორც მზარდი პოლიტიკური ერთეულის. ალასანიას გზავნილი იყო შემდეგი: ხელისუფლება ღალატობს საგარეო-პოლიტიკურ კურსს! თინას დანიშვნით კი ალასანიას ეს საგარეო პლატფორმა გამოეცალა, სხვა პლატფორმა კი არ აქვს, ანუ მოხდა ალასანიას ჯგუფის განეიტრალება. თინას დანიშვნით, აგრეთვე, მოხდა რესპუბლიკელების მიერ კოალიციის დატოვების პრევენცია. არადა, ეს რისკი მაღალი იყო. რადგან პასუხიმგებლობა „ოცნებასთან“ ერთად გაინაწილა, რესპუბლიკური პარტიაც ძალაუფლების ორგანული ნაწილი გახდა. ერთი სიტყვით, **„ოცნებამ“ რამდენიმე ტაქტიკური ამოცანა გადაწყვიტა, თუმცა გრძელვადიანი პოლიტიკის თვალსაზრისით ძალიან სახიფათო ნაბიჯი გადადგა რესპუბლიკური პარტიის სტატუსიდან გამომდინარე.** ამ პარტიის სახალხო ლეგიტიმაცია არის ნულოვანი და მისი წინა პლანზე წამოწევა კოალიციას პრობლემას შეუქმნის საარჩევნოდ.

**— ხიდაშელის გამინისტრებამდე ამერიკის ელჩი „ყავაზე“ ესტუმრა ივანიშვილს... კი, მაგრამ ასეთი რა თაფლი სცხია ხიდაშელს, რომ ამერიკამ მასზე გააკეთა არჩევანი?**

— ის, რომ ხიდაშელის დანიშვნა უკავშირდება ამერიკელების გავლენას ქართულ პოლიტიკაზე, ძალიან ცუდია და, სხვათა შორის, პირველ რიგში, იმავე აშშ-ისთვის, რადგან ქართველებს არ უყვართ ვილაცის მარიონეტად ყოფნა. აშშ-ის მიმართ ასეთი პროტესტი აქვს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას — **იგი არსად უყვართ, რადგან დამპყრობელი ქვეყანაა.** ასეთი აღქმა არსებობს, მაგრამ არ ვთვლი, რომ ვასალი ქვეყანა ვართ, ხელისუფლებაშიც კი სხვადასხვა მოსაზრებებია ამ თემაზე. ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი დღის წესრიგი, ისე არ უნდა მოვიქცეთ, როგორც იქცევა ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომლებისთვისაც შინაარსი კი არ არის მთავარი და აშშ-თან ურთიერთობების რაციონალური მხარე, არამედ სიმბოლოები. სიმბოლოებით კი ქვეყანა ვერ იცხოვრებს. თუ ჩვენ არ გვექნა ზუსტი პლატფორმა და გეგმა, არაფერი გამოვა.

**— და გვაქვს კი, რეალურად, ზუსტი პლატფორმა და გეგმა? ევროკავშირის რიგის სამიტიდან რა მიიღო საქართველომ, მოლოდინი, რომელიც არსებობდა გამართლდა?**




**«ის, რომ ხიდაშელის დანიშვნა უკავშირდება ამერიკელების გავლენას ქართულ პოლიტიკაზე, ძალიან ცუდია და, სხვათა შორის, პირველ რიგში, იმავე აშშ-ისთვის, რადგან ქართველებს არ უყვართ ვილაცის მარიონეტად ყოფნა»**

— სიმართლე გითხრათ, არსებული გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ამაზე მეტის მოლოდინი გადაჭარბებული იქნებოდა. და რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ნეგატიურ ფონს ქმნის ის მცდარი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ჩვენ განვიხილებით უკრაინასთან ტანდემში. გლობალური რისკებიდან გამომდინარე, უკრაინის სტატუსი შეიცვალა. **დღეს უკრაინა პრობლემაა დასავლური სამყაროსთვის. ასე რომ, შეცდომა იყო ჩვენი ჩაბმა უკრაინის მატარებელზე, რომელიც ჯერჯერობით უფსკრულისკენ მიექანება.** ჩვენ გვჭირდება დისტანცირება უკრაინისგან და ეს აუცილებელია. ჩვენ ავცდით იმ საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას, რომელსაც რბილი წინსვლა გულისხმობდა. **თინა ხიდაშელის დანიშვნა თუ სხვა გადაადგილებები ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ისევ გავდივართ აქტიური ანტირუსული კოალიციის წინა ხაზზე, რაც სახიფათოა იმიტომ, რომ იცვლება ვითარება მსოფლიოში. ვნახეთ ჯონ კერის ვიზიტი სოჭში, ნულანდის ვიზიტი და რევერანსები მოსკოვში, ანუ ამ ყველაფერს ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი, ამერიკა-რუსეთის ვაჭრობაში დახლზე დადებული დასახურდავებელი საქონლის როლში რომ არ აღმოვჩნდეთ.** პოლიტიკოსებსაც სჭირდებათ ყოველდღიური გააზრება იმ რისკებისა, რომლები გლობალურ პოლიტიკაში არსებობს.

**— ენ-დი-აის მონაცემებითაც კი, საზოგადოების მოთხოვნა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა და არა ხისტი საგარეო პოლიტიკის წარმოება...**

— ჩვენ უნდა შევძლოთ სიტუაციის საღად შეფასება გლობალური პოლიტიკის კონტექსტში — რა არის რეალური და რა — არა, რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ და რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ. ადამიანები სვამენ კითხვებს და პასუხს ვერ იღებენ, **კითხვასაც კი — რატომ ნატო? ხელისუფლება შეურაცხყოფად აღიქვამს და აგრესიულად გიპირისპირდება. ეს უნდა გააცნობიერონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ეს რწმენის საკითხია და ყველა ქართული პრობლემის პანაცეა არის ნატო.** ახლა უკვე აღიარეს, რომ მაპზე უკეთესი არ მიგვიღია, ესეც საქმეა *(იღიმის)*. რუსეთთან კეთილმეზობლურ და აქტიურ ურთიერთობაზე, სამწუხაროდ, ოკუპირებული ტერიტორიების გამო ვერ ვიფიქრებთ, მაგრამ ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები და კულტურული ექსპანსია, რომელიც ქართველებისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო, უნდა განვავითაროთ და, საბოლოო ჯამში, ამ ყველაფრით შეიძლება იმის მიღწევა, რომ რუსეთმა ხელი არ შეგვიშალოს ჩვენი ქვეყნის გამთლიანების პროცესში. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ ვიძახოთ, მოსკოვშია გასაღები ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, არა, შემუშავებული უნდა გვქონდეს ურთიერთობის პოლიტიკა ჩვენს მოქალაქეებთან ცხინვალსა თუ სოხუმში, მათთან საერთო ენის გამონახვის გეგმა უნდა გვქონდეს და პარალელურად ვიმუშაოთ იმაზე, რომ რუსეთმა ცუდ შემთხვევაში ხელი არ შეგვიშალოს და კარგ შემთხვევაში — ხელი შეუწყოს გამთლიანების პროცესს. სხვათა შორის, ეს დღეს გადაუჭრელი ამოცანა არ არის. არ მგონია, რუსეთს სურდეს მეორე ფრონტის გახსნა უკრაინის შემდეგ და, თუ ზომიერებას შევინარჩუნებთ, შეიძლება გარკვეული კონსტრუქციულობაც კი გამოამჟღავნოს. დიახ, ამას მივაღწევთ, თუ თავს დავანებებთ პოლიტიკას, ვინ უფრო ხმამაღლა შეაგინებს პუტინს. ამ საკითხზე ხელისუფლებაში აზრი გაყოფილია. სხვადასხვა დაჯგუფება სხვადასხვანაირად ხედავს ამ ყველაფერს. ერთიანი პლატფორმა არ არის, მეტსაც გეტყვით, ბოლო თვეების განმავლობაში ვითარება მეტად გაუარესდა. ჩვენ, ერთი მხრივ, დავნიშნეთ თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად, რითაც დავუბრუნდით მიშას ტონს რუსეთის მიმართ; მეორე მხრივ, „ოცნებაში“ არიან ძალები, რომლებიც კრიტიკულად არიან ამ პოლიტიკისადმი განწყობილნი და რუსეთთან დაბალანსებულ პოლიტიკას უჭერენ მხარს. მერწმუნეთ, **მხოლოდ ბატონი გოგი თოფაძე არ ფიქრობს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. ის, უბრალოდ, ხმამაღლა ამბობს სათქმელს.**

**— რამდენიმე თვის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადეთ, გაზაფხულზე მთავრობის ნდობის დაყენების საკითხი გარდაუვალი გახდებაო, ასეც მოხდა, ახლა როგორ განვითარდება მოვლენები?**

— არ ვფიქრობ, რომ რესპუბლიკელებს ძალაუფლების კიდევ უფრო დიდი წილი დაუთმონ, რადგან, როდესაც დისონანსი რეალურ პოლიტიკურ წონასა და ძალაუფლების წილს შორის კრიტიკულ ზღვარს სცდება, შეიძლება, სერიოზული რყევები მივიღოთ. დავით უსუფაშვილი საკმაოდ ჭკვიანია იმისთვის, რომ არ გადაამლაშოს. შეიძლება კიდევ ერთი რომელიმე უმნიშვნელო პორტფელი მოითხოვონ, მაგრამ არა — სტრატეგიული. აქვე თინას მოადგილეებზეც ვიტყვი ერთ-ორ ფრაზას, მათი შერჩევა ჩემთვის ცოტა უცნაური იყო. მე არ ვარ მაღალი აზრის თინას მენეჯერულ შესაძლებლობებზე, მას, უბრალოდ, სჭირდებოდა ერთგული ადამიანები... **ერთი მოადგილე მაინც ხომ უნდა დაენიშნა ისეთი, რომ გვეთქვა, აი, დარგის პროფესიონალი მოიყვანაო. მაგრამ, პროფესიონალის ნაცვლად, მიიყვანა ანა დოლიძე, რომელიც პაციფისტური წრიდან არის — იარაღთან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.** მოკლედ, თუ ხელისუფლებამ შემოდგომამდე მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია არ დაასრულა, მთავრობის რეორგანიზება აღარ იქნება საკმარისი და უფრო მაღალი დონის რისკები გაჩნდება, რომელთა გადალახვაც გაუჭირდება, ანუ მთლიანად ხელისუფლების საკითხი დადგება სასწორზე. მათ ბევრი დრო არ აქვთ, **მინისტრთა კაბინეტის სრული რეორგანიზაცია უნდა მოხდეს — ეს არ არის პროგნოზი, ეს ობიექტური აუცილებლობაა.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

მოკლედ

## ვადიმ კარასიოვი: ზღულაძე და კვიტაშვილი თანამდებობებს ახლო მომავალში დატოვებენ

**უკრაინელი პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი ამბობს, რომ უკრაინის მთავრობაში ქაოსი და ინტერესთა კონფლიქტია. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტს მალე დატოვებენ ალექსანდრე კვიტაშვილი და ეკატერინე ზღულაძე, მოსალოდნელია ვაჭრობის მინისტრ აივარას აბრამავიჩუსის გადადგომაც.** „ვვარაუდობ, რომ კვიტაშვილი, აბრამავიჩუსი და ზღულაძე დიდხანს ვერ გაძლებენ. მათი რეფორმებისთვის თანხას არავინ გამოყოფს. ახლა უკრაინაში ყველაფერი არეულია და ინტერესთა დიდი კონფლიქტია“, — განაცხადა ვადიმ კარასიოვმა.



„როცა ხდება რევოლუციური ცვლილება, ჭკვიანები ცდილობენ, მართვისგან თავი შორს დაიჭირონ, ანდა ხდებიან დიქტატორები, რაც დაემართათ ბოლშევიკებს თავის დროზე, აგრეთვე „ნაციონალურ მოძრაობას“ და რაც აუცილებლად დაემართებათ ამათაც იმიტომ, რომ, როგორც კი დასჭირდებათ, მზად იქნებიან სახელმწიფოს რესურსის გამოსაყენებლად“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დავით თევზაძე: «ქართული ოცნება» მხარდამჭერებს კარგავს

**საქართველო ეკონომიკურ კრიზისშია, მაგრამ მოსახლეობას რატომღაც კრიზისზე უფრო ის აწუხებს, ვინ სად დაინიშნა, რატომ და რა მოსაზრებით. ასე რომ, თუ ვინმეს საზოგადოების ყურადღების გადატანა კრიზისიდან სხვა მიმართულებით უნდოდა, თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა.**
**„საქართველო და მსოფლიოს“ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ესაუბრება.**

**— ბატონო დავით, საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი ჰყავს, თანაც ქალი — თინა ხიდაშელი, რატომ მაინცდამაინც ეს ქალბატონი, კაცი დაილია ქვეყანაში?**

— რატომ გაკეთდა ეს არჩევანი, ვერაფერს მოგახსენებთ. ქალი რომ არის მინისტრი, ნაკლი არ არის. აქ გაცილებით მნიშვნელოვანია რამდენიმე დეტალი, რომლებზეც არავინ ამახვილებს ყურადღებას ან ერიდებათ ამის თქმა: პირველი — **გარკვეულ უხერხულობას ქმნის ის, რომ ქვეყანაში ორი უმაღლესი თანამდებობა უკავია ცოლსა და ქმარს; გარდა ამისა, იმ სფეროში, რომელშიც თინა ხიდაშელი აპირებს მოღვაწეობას, არ არის არც ერთი პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია მისცეს რჩევა, დაუსახოს მოქმედების სტრატეგია წარმატებული მოღვაწეობისთვის; და მესამე, ალბათ, მისი პიროვნული თვისებები. მეჩვენება, რომ ცოტა აჟიტირებული და აჩქარებულია.** ეს ყველაფერი ქმნის იმ უარყოფით აურას ხიდაშელის გარშემო, რომლის გამოც რთული იქნება მასთან ურთიერთობა.

**— ვერც იმას ვიტყვით, რომ მართალია, თვითონ არ აქვს გამოცდილება, მაგრამ გამოცდილი კადრები შეარჩია, პირიქით — მინისტრი და მისი მოადგილეები იურისტები არიან. მათ არასდროს უმუშავიათ თავდაცვის პოლიტიკისა და გეოსტრატეგიის საკითხებზე.**

— არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ის იურისტია სპეციალობით თუ ვინ, მაგრამ კარგად კი უნდა ერკვეოდეს სამხედრო მშენებლობის სტრატეგიაში. და ეს ცოდნა ჰაერიდან არ მოდის, არც იურიდიული განათლებიდან, **ეს არის ძალიან სპეციფიკური ცოდნა, რომლის გარეშეც სერიოზული გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება.**

**— ევროპის რამდენიმე ქვეყანაში თავდაცვის მინისტრი ქალია, მაგრამ იქ სერიოზული საფრთხეები ჯერ არ შეინიშნება. ჩვენ კი როდის და რომელ მეზობელთან მოგვიწევს შეჯახება, პროგნოზირება არ შეგვიძლია. ხიდაშელის დანიშვნით ხომ არ ცდილობს ამერიკა, თავდაცვის სამინისტროს ჩამოაშოროს ძველი გამოცდილი კადრები და ამით, ფაქტობრივად, ბრძოლისუნარიანობა დაუკარგოს საქართველოს თავდაცვის სისტემას? არაპროფესიონალები, მოგეხსენებათ, ადვილად სამართავნი არიან...**

— ხაზს ვუსვამ: ქალი თავდაცვის მინიტრის პოსტზე პრობლემა არ არის, სისტემა უნდა იყოს მზად, რომ მინისტრების ასეთი ხშირი ცვლა აიტანოს. ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში თავდაცვის მინისტრი, მგონი, ყოველწლიურად იცვლებოდა, ეს ჯარს აზიანებს, პრაქტიკულად, გამოუსადეგარს ხდის იმ ფუნქციებისთვის, რომლებისთვისაც ის სახელმწიფოში არსებობს. იმ ევროპულ ქვეყნებში, რომლებშიც თავდაცვის მინისტრები ქალები არიან, სისტემა ისეთია, რომ მინისტრების ცვლა რყევას არ იწვევს. უამრავი სპეციფიკური პრობლემაა შეიარაღებულ ძალებში და, თუ დაინახავს ამას ქალბატონი მინისტრი, კარგი იქნება. მე წარმატებას ვუსურვებ, რადგან ეს ქვეყანა ნამდვილად მენანება იმისთვის, რომ კიდევ ერთი წარუმატებელი მინისტრი ჰყავდეს.

**— ითქვა, რომ ხიდაშელის გამინისტრება იყო ივანიშვილისა და ამერიკის ელჩის კონსულტაციების შედეგი. გარდა ამისა, საინტერესოა, როგორ აისახება ქართულ-რუსულ ურთიერთობაზე ეს ფაქტი?**

— არ ვიცი, ამერიკის საელჩოდან არავინ მაწვდის ინფორმაციას, არც — ბატონი ბიძინას აპარატიდან. რუსეთთან ურთიერთობა კი პრაქტიკულად არ გვაქვს, მხოლოდ აბაშიძე და კარასინი ხვდებიან ერთმანეთს. რუსეთის მიმართ ჩვენს სახელმწიფოს პოლიტიკა არ აქვს.

რუსეთმა დღეს აჩვენა, რომ შეუძლია, აგრესიულად დაიცვას თავისი ინტერესი. აი, ამან, შესაძლოა, დიდ ომამდე მიგვიყვანოს. **ჩვენ უნდა მოვნახოთ რაღაც ფორმა, რათა ჩვენი სახელმწიფო შევინარჩუნოთ. მე ხშირად არ ვლაპარაკობდი ამ თემებზე, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი დახურულ ფორმატში უნდა გვარდებოდეს. დღეს კი საჯაროდ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მინდა, გამოვჩნდე პოლიტიკურ ასპარეზზე. დიახ, ეს ამბიცია მაქვს.**

ფაქტია, ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო, ბოლო სამ წელიწადში მთავრობა მესამედ არ შეიცვლებოდა. არ ვიცი, ვინ უნდა წასულიყო ან ვინ უნდა მოსულიყო, მაგრამ ვიცი, რომ **არაკომპეტენტურობის სერიოზული პრობლემა არსებობს მთავრობაში; ამას ემატება წესიერების პრობლემაც.** ასე რომ, თინა იქნება რაღაცის მინისტრი თუ, ვთქვათ, კოტე ყუბანეიშვილი, მნიშვნელობა არ აქვს.

**— რიგის სამიტმაც გვიჩვენა, რომ საქართველომ სერიოზულად უნდა გადახედოს თავის საგარეო პოლიტიკას...**

— რიგის სამიტი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. უბრალოდ, ესეც კომპეტენციის ამბავია. მან, ვინც მიაწოდა პრემიერს შარშან ის ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ განაცხადა, დათვური სამსახური გაუწია. მიმაჩნია, რომ პრემიერს გულწრფელად სჯეროდა იმის, რასაც ამბობდა. ამ კონტექსტში ჩვენი უკრაინასთან ბმაც ძალიან ხელოვნურია. **ევროპის ყველა ნაბიჯი ლოგიკურია, ამიტომ აქაური ფსევდომიღწევებით ევროპას ვერ აღვაფრთოვანებთ, საზღვარი რომ გაგვიხსნას და ეკონომიკური ბარიერებიც გაგვიუქმოს.** კობახიძემ განაცხადა, 2015 წელს ვიზების ლიბერალიზაციას მივიღებთო. მისი ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ ცდილობს, შეინარჩუნოს პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც ჯერჯერობით აქვს. სამწუხაროდ, როცა ამას ამბობ, მტერი ჰგონიხარ. ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ პრობლემის დანახვას და გამომზეურებას მისი შეფუთვა ურჩევნია.

**— მაინც მგონია, რომ ჯარს უხერხულობა შეექმნება ქალი-თავდაცვის მინისტრის გამო, სამხედრო სალმის მიცემისას მაინც... ახლახან ისეთ ფორმაში იდგა მწყობრის წინ, რომ ნამდვილად არ ჰგავდა სამხედრო წესების მცოდნე პირს...**

— რაც შეეხება მწყობრის წინ დგომას, ეს იმათ გამო მოხდა, ვინც იქ მიიყვანა, მაგრამ შემდეგ, რაც თვითონ განაცხადა, უკვე მისი ბრალი იყო. სამოქალაქო მინისტრის მოსვლასთან ერთად სამხედრო სისტემას ექმნება პრობლემა, ყველამ სცადა ფორმის ჩაცმა, მთავარსარდლობა ან მთავარსარდლობაში ჩარევა. ხიდაშელი თუ იტყვის, არ ვიომებო, ეს არაფერს ნიშნავს, ხვალ შეიძლება აიძულოს ვილაცამ და იომოს. რისთვის უნდა იყოს მზად, ამაზე ინსტიტუტები უნდა მუშაობდნენ, ამას მხოლოდ გენშტაბის ინტელექტი ვერ გასწვდება.

**— აღმასრულებელ ხელისუფლებას ნელა, მაგრამ ჯიუტად იგდებენ ხელში რესპუბლიკელები. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა. ექსპერტები პროგნოზირებენ ლევან ბერძენიშვილის დანიშვნას საგარეო საქმეთა მინისტრად; ასევე მოსალოდნელია, შეიქმნას საარჩევნო ბლოკი — რესპუბლიკელები-მარგველაშვილი-ალასანია და ამ ბლოკს „ნაციონალები“, ალბათ, არც კი დაუპირისპირდებიან — ხმებს მოლაპარაკების გზით გაიყოფენ და საზოგადოება კიდევ ერთხელ დარჩება მოტყუებული...**

— „ქართული ოცნება“ კარგავს მხარდამჭერებს. ეს ბუნებრივია, რადგან გამარჯვებისთვის მოუმზადებელ იყო. აი, აქედან წამოვიდა ის პრეფერენციები და აღმოჩნდა, რომ იმან არ გაამართლა, ამან არ გაამართლა და ეს ყოველთვის ასე იქნება. როდესაც მოდიხარ მხოლოდ იმით, რომ, უბრალოდ, ვიღაც შეცვალო, ბუნებრივია, უკეთესს ვერაფერს გააკეთებ, აი, ეს არის პოლიტიკის ანაბანა. ამიტომ, **როცა ხდება რევოლუციური ცვლილება, ჭკვიანები ცდილობენ, მართვისგან თავი შორს დაიჭირონ, ანდა ხდებიან დიქტატორები, რაც დაემართათ ბოლშევიკებს თავის დროზე, აგრეთვე, „ნაციონალურ მოძრაობას“ და აუცილებლად დაემართებათ ამათაც იმიტომ, რომ, როგორც კი დასჭირდებათ, მზად იქნებიან სახელმწიფოს რესურსის გამოსაყენებლად.** რაც შეეხება შესაძლო ბლოკს, ეს კონფიგურაცია გამოჩნდა იმ კვლევების ანალიზიდან, რომელიც ბოლოს გამოქვეყნდა. ეს უფრო კარნახი და სურვილია, ვიდრე რეალობა. განხორციელდება თუ არა, რთული სათქმელია.

**— დასასრულ, რა გეგმები გაქვთ, ბატონო დავით?**

— ამ არაკომპეტენტური მმართველობის ჩანაცვლება უნდა მოხდეს კომპეტენტურით. ისეთი სივრცე უნდა შევქმნათ, რომ ეს პარტიები 2016 წლისთვის ჩავაჩოჩოთ. ყოველ შემთხვევაში, შევეცდები, ეს გავაკეთო. პოლიტიკური სპექტრის კონფიგურაცია, რომელიც არჩევნების წინ შეიკვრება, დამანახვებს, მარტო უნდა ვიყო თუ ვინმესთან ერთად. ბრძოლა ბრძოლაა, ბრძოლას თავისი კანონები და წესები აქვს და არ მგონია, ეს სხვაზე ნაკლებად ვიცოდე.

**«უხერხულობას ქმნის ის, რომ ქვეყანაში ორი უმაღლესი თანამდებობა უკავია ცოლსა და ქმარს; გარდა ამისა, იმ სფეროში, რომელშიც თინა ხიდაშელი აპირებს მოღვაწეობას, არ არის არც ერთი პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია მისცეს რჩევა, დაუსახოს მოქმედების სტრატეგია წარმატებული მოღვაწეობისთვის; და მესამე, ალბათ, მისი პიროვნული თვისებები. მეჩვენება, რომ ცოტა აჟიტირებული და აჩქარებულია»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

მოკლედ



## დიმიტრი მედვედევი: რუსეთი მკაცრ ზომებს მიიღებს, თუ უკრაინა ვალებს არ გადაიხდის!

**რუსეთის პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა უკრაინაში მიღებული ახალი კანონი გააკრიტიკა, რომლის თანახმადაც, კიევს უფლება ეძლევა, საგარეო ვალის გადახდაზე მორატორიუმი გამოაცხადოს.**

რუსეთის პრემიერის თქმით, რუსეთი მკაცრ ზომებს მიიღებს, თუ უკრაინა ვალებს არ გადაიხდის. მოსკოვი უკრაინის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა 3 მილიარდ დოლარს არ დააბრუნებს. ეს თანხა რუსეთმა კიევს 2013 წელს, ჯერ კიდევ ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობის პერიოდში ასესხა. **„ისინი გადაკრულად ამბობენ, რომ არ არიან მზად იმ ვალების გადასახდელად, რომელიც ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობამ დააგროვა“,** — აღნიშნა მედვედევმა.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი გამოთქვამ რაიმე ეჭვს ქართველებზე „მზრუნველი" ევროპის მიმართ, იმწამს არ აყოვნებს რიტორიკა: „აბა, რუსეთი გინდა?!" (არსებობს ამ დემაგოგიის შედარებით მძაფრი ფორმებიც: რუსეთის მონობა, რუსული ჩექმა, პუტინის შნირობა გინდა?!).**

# ევროვიზა, «ევროვიზია», გაფრენა და ჰარიპოტერიზმი

**რიგის ევროსამიტი დასრულდა! მეორენაირადაც შეგვიძლია ვთქვათ: რიგის ევროსამიტი დაიწყო? ანუ ამ ფრაზის ბოლოს „დასრულდა"-ს დავწერთ თუ „დაიწყო"-ს და წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანს დავსვამთ თუ კითხვისას, მაინც არაფერი შეიცვლება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ სამიტიდან რეალურ შედეგს ელოდნენ.**



ვენაში „ევროვიზიაც" დასრულდა და, ვინც მისგან ელოდა რაიმე შედეგს, არც იმათთვის იცვლება რამე — ევროპას პოლიტიკაშიც ვკიდივართ და მუსიკაშიც!

მთელი ეს ჟივილ-ხივილიანი ევროკვირა საქართველოსთვის, როგორც სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელი იყო, ნულოვანი შედეგით დასრულდა.

**აქ სიტყვებს — „ლოგიკური" და „მოსალოდნელი" — ხაზს ვუსვამ ქართველთა ჭკვიანი და ნორმალურად მოაზროვნე ნაწილისთვის, თორემ მეორე ნაწილს საერთოდ არაფერში აინტერესებს ლოგიკა — ისინი მხოლოდ „ცუდი რუსეთისა" და „კარგი ევროპის" კლიშეებში არიან ჩარჩენილი და შეუძლიათ, უსასრულობამდე ელოდონ იმ შედეგს, რომელიც სინამდვილეში არასოდეს დადგება!**

სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მით უფრო იკვეთება უფსკრული ჩვენს საზოგადოებაში ნორმალურად მოაზროვნეთა და პროპაგანდას უაზროდ აყოლილთა შორის.

აქ მოქმედებს ერთ მაგიური სიტყვა „გინდა", უმეტესწილად შეკითხვით, ნამუსზეაგდებით ფორმაში; ანუ, **როგორც კი გამოთქვამ რაიმე ეჭვს ქართველებზე „მზრუნველი" ევროპის მიმართ, იმწამს არ აყოვნებს რიტორიკა: „აბა, რუსეთი გინდა?!" (არსებობს ამ დემაგოგიის შედარებით მძაფრი ფორმებიც: რუსეთის მონობა, რუსული ჩექმა, პუტინის შნირობა გინდა?!).**

ანუ, თუკი შენი აზრი ევროპაზე არის არა წარმოსახვითი, არამედ სავსებით ობიექტური და რეალური, ესე იგი, შენ „გინდა" რუსეთი!

არადა, რა ალოგიკური და არაადეკვატურია სიტყვა „გინდა" მაშინ, როდესაც სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ინტერესების შეჯახების ეპიცენტრში მოქცეულ სამშობლოზე ლაპარაკობ, ამაზე ცოტა თუ ფიქრობს.

***მინდა, რომ საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყოს გადაჭიმული, მაგრამ ეს შესაძლებელია?**

***მინდა, რომ საქართველოს ანგარიშს უწევდნენ წინა აზიის დიდი სახელმწიფოები და დახმარებას სთხოვდეს ბერძენ მართლმადიდებელთა სახელმწიფო, მაგრამ ეს შესაძლებელია?**

***მინდა, რომ ალამუთის ციხემდე გასულ ქართულ ლაშქარს მულიდთა ბელადი ეგებებოდეს ძღვენით, მაგრამ...**

მაგრამ ხდება ის, რომ **რიგის სამიტზე, ყბადაღებული "ვიზალიბერალიზაციის" ნაცვლად, ხის სასტვენით „გვააჯილდოებენ", რომელსაც თურმე ლატვიურად „სვილტაუნიექსი" ჰქვია და რომელიც, თურმე, რამდენიმე ფრინველის ხმას გამოსცემს.**

მასპინძლებმა სიმბოლური დატვირთვაც აგვიხსნეს: „ფრინველისთვის არ არსებობს საზღვრები და ფრინველი, სადაც უნდა, იქ ფრენს".

**ფრენს თუ აფრენს?**

დიალოგი ფილმიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ", როდესაც სამართლის საპოვნელად მიდიან უსტაბაში და მისი თანმხლებნი სოფლის მოსამართლესთან:

— თქვენა გყვანან?

— რა, მტრედები?

— ჰო, მტრედები!

— კი, გვყვანან, ზემო უბანში...

— აფრენთ ხოლმე?

— ჰოოო, ვაფრენთ, მაშა!

**ანგელა მერკელის** განცხადება რიგის ევროსამიტის გახსნამდე სამი საათით ადრე:

„უკრაინისა და საქართველოსთვის ვიზების შერბილების საკითხის დადებითად გადაწყვეტა ამ ეტაპზე შეუძლებელია!"

ბატონისაგან ცოლწართმეული **ხელოსანი გოგიას შეძახილი**, იმავე ფილმიდან:

„მაშ, მე — ვირის თავ-ფეხი?!"

რესპუბლიკელი მინისტრის — **პაატა ზაქარეიშვილის** განცხადება:

„დიახ! დიახ! რიგის სამიტზე ევროპისაგან ზუსტად ის მივიღეთ, რასაც ველოდით!"

რა ზუსტად ეწყობა ერთმანეთზე, არა?

არც პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი ჩამორჩება:

„საქართველომ რიგის სამიტზე ევროპისგან მიიღო იმის მაქსიმუმი, რის მიღებაც ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო!"

ერთი ძველი საბჭოთა დროინდელი ანეკდოტი:

გურული ჯარშია. მოუნდება ოჯახის ნახვა და ჯარისკაცებს ეკითხება:

— რომ ვთხოვო ჩვენს მეთაურს, არ გამიშვებს ერთი კვირით შვებულებაში?

— რას ამბობ, მაგას არავინ არასოდეს გაუშვია შვებულებაში, — უპასუხეს ჯარისკაცებმა.

**«მთავრობიდან ჩვენი გუნდის წევრი მინისტრების წასვლის შემდეგ საქართველომ ძალიან ბევრი რამ დაკარგა საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ამის გამო დაიდო ის შედეგი რიგის სამიტზე, რაც დაიდო. ჩვენი მთავრობაში ყოფნის შემთხვევაში შედეგი გაცილებით სერიოზული იქნებოდა!»**

**მაია ფანჯიკიძე**

გურული მაინც ცდის ბედს. შედის ოფიცერთან და შვებულებას სთხოვს.

— და პაშოლ ტი ნა ხ.. — პასუხობს ოფიცერი.

გურული გამოდის ყაზარმაში და ალაგებს ნივთებს. ემზადება წასასვლელად.

— ვა, გაგიშვა? — უკვირთ ჯარისკაცებს.

— კი, — დაბეჯითებით პასუხობს გურული.

— რაო, რა გითხრა?

— ასე მითხრა, წაი, ჩემი კუტუნიე ბიჭიო!

**ასე გვითხრა მერკელმაც, — ვიზებს ვერ შეგირბილებთო!**

საინტერესოა, რატომ შეცვალა „ვიზების გამარტივება" ფრაზით „ვიზების შერბილება". ალბათ, შეეცადა, რბილად, ტაქტიანად ეთქვა ჩვენთვის ის, რაც რუსმა ოფიცერმა უთხრა გურულს...

კარგი, მაგრამ, თუ ეს ასეა, ჩვენ, ქართველები და უკრაინელები, რაღას ვაკეთებთ, აბა, გინდ რიგის სამიტზე და გინდაც ევროკავშირის „პადიეზდთან", ბირჟას ვამაგრებთ?

**ან „ევროვიზიაზე" რას ვაკეთებდით?**

**რაღაც საშინელ კოსტიუმში გამოწყობილი ჩვენი „მომღერალი" რაღაც საშინელებას რაღაც საშინლად გაჰკიოდა და ჩვენ მიღებული დაბალი ქულები რატომღაც პუტინს დავაბრალეთ!**

აბა, წამოვიდა ახლა ჩემს ჩასაქოლად მომართული ქვაღორღი!

აკი, ნინა სუბლატის სიმღერის დაწუნება სამშობლოს ღალატად იქნა შეფასებული არაერთი „ძაან პატრიოტი" ქართველის მიერ!

კარგი, ჯანდაბას, დავაბრალოთ ეს მათ პატრიოტულ ემოციას...

მაგრამ, როდესაც კარგად დავაკვირდი, **ნინა სუბლატის ოდნავ გაკრიტიკებისთანავე — „ქართველი არ ხარ? მაგას როგორ კადრულობ?", „როგორ შეიძლება, ქართველი ქართველს არ გულშემატკივრობდეს!" „ნუთუ შესაძლებელია, რომ ქართველმა ადამიანმა ქართველი ხელოვანი ასე ლანძღოს?!" — აი, ასეთ ფრაზებს სწორედ ის ხალხი გაიძახოდა, რომელიც აგერ, თითქმის გუშინ, დიდი ენთუზიაზმით „ლიბერალურად" ლანძღავდა შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, ლადო ასათიანს...**

და, თუკი ხმას ამოიღებდი და უპასუხებდი, რომ ქართველი ერისთვის ასე მნიშვნელოვანი გენიოსი ფიგურების ლანძღვა არ არის მისაღები საქციელი, იმწამს მოგნათლავდნენ ბნელად, ჩამორჩენილად და განსხვავებული აზრის წინააღმდეგ მებრძოლად!

ანუ, **ამ ადამიანებს რომ ჰკითხო, შოთა რუსთაველის ლანძღვა განსხვავებული აზრია და ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს განსხვავებული აზრი ნებისმიერ პერსონაზე! მაგრამ, თუ ნინა სუბლატზე თქვი რამე უარყოფითი, ეს უკვე აღარ შეიძლება! ეს „პუტინის შნირობას" და ერის ღალატს ნიშნავს!**

არ ვიცი, არც დამითვლია და არც მაქვს სურვილი, დავთვალო იმ ქართველ „პატრიოტთა" რაოდენობა, რომელთათვისაც ნინა სუბლატი უფრო ხელშეუხებელი პერსონაა, ვიდრე შოთა რუსთაველი...

სამაგიეროდ, შეგვიძლია, თავისუფლად დავითვალოთ „ჰარი პოტერები" ქართულ პოლიტიკაში!

ანუ ის ადამიანები, რომლებმაც რიგის სამიტზე საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის არდაშვების გამო, დრო იხელთეს და მათ ხელში არსებული „ჯადოსნური ჯოხის" შესახებ გაგვიმხილეს!

რა თქმა უნდა, „ჰარი პოტერების" ნომინაციაში აუცილებლად დასასახელებელია ყოფილი და ძებნილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მან იმდენი ქნა, ვიზების ლიბერალიზაციისა და ნინა სუბლატის საკითხი ერთმანეთზე მიაბა და მომცა კიდეც ამ სტატიის ასეთი ფორმით დაწერის მუზა.

**„ჩვენ ევროვიზიაზე საქარათველოს მონაწილეობის ისტორიაში პირველად ავიღეთ ასეთი დაბალი ქულები. არც ერთმა ქვეყანამ არ მოგვცა უმაღლესი შეფასება, ასევე არ მოგვცეს უვიზო მიმოსვლის უფლება რიგის სამიტზე. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოს მთავრობამ თავი გაიბანძა საერთაშორისო ურთიერთობებში. მაგრამ არა უშავს, მალე ჩვენ ისევ აღვიდგენთ პოზიციებს და ყველაფერი კარგად იქნება!" — განაცხადა „ჰარიპოტერ" სააკაშვილმა და ასპარეზი „ჰარიპოტერ" ფანჯიკიძეს გადაულოცა.**

**მაია ფანჯიკიძე:** „მთავრობიდან ჩვენი გუნდის წევრი მინისტრების წასვლის შემდეგ საქართველომ ძალიან ბევრი რამ დაკარგა საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ამის გამო დაიდო ის შედეგი რიგის სამიტზე, რაც დაიდო. ჩვენი მთავრობაში ყოფნის შემთხვევაში შედეგი გაცილებით სერიოზული იქნებოდა!"

ვერ გეტყვით, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „გაცილებით სერიოზული შედეგი", რადგან უვიზო მიმოსვლის საშუალება ან უნდა მოგანიჭონ, ან — არა!

**„გაცილებით სერიოზული" რა არის — საზღვარზე ჭოკით გადახტომის უფლებას მოგვცემდნენ, ნეტავ, თუ ბატუტით გადაფრენის?!**

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოში ჰარი პოტერის ჯადოსნური ჯოხის ქონას ბევრი იჩემებს. ერთი ეგ არის, ამ „ჯადოსნურ ჯოხს" რატომღაც ვერ იყენებენ ხელისუფლებაში ყოფნისას და მხოლოდ მთავრობიდან წასვლის შემდეგ გვიმხელენ, თურმე როგორი ჯადოსნური ჯოხის მფლობელები ყოფილან!

**სამწუხაროდ, ასეთი „ჰარიპოტერიზმი" საქართველოში არამხოლოდ ორ ხსენებულ პერსონას ახასიათებს და არამხოლოდ ევროვიზებისა და ევროვიზიების თემაზე. ქართველ პოლიტიკოს-ჰარიპოტერებს ყველა ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით და მათი „ჯადოსნური ჯოხების" მოქმედების სფეროებიც შეუზღუდავია...**

არადა, ზოგიერთი ძალიან „ევროპისკენ გაქაჩულის" და რუსეთის მგმობელის რეალურ გონებრივ შესაძლებლობებს და უნარებს რომ ვაფასებ, მთელი ეს აჟიოტაჟი და „ძალადპატრიოტიზმი" მათთვის, უბრალოდ, პოზაა... მახსენდება პერიფრაზი კინოფილმიდან „უძინართა მზე":

**„ძაან არ გაარჩიოს ახლა მაგან, ევროპაშია თუ რუსეთში..."**

„რამდენიმე დღის წინათ ირლანდიაში რეფერენდუმი ჩატარდა და მოსახლეობის 62%-მა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დაუჭირა მხარი. როდესაც ლუქსემბურგის მამაკაცი პრემიერმინისტრი თხოვდება და ამბობს, რომ მყარ ოჯახს შექმნის, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა იქით მიექანება, საითაც, მიმაჩნია, საქართველოს მომავალი არ აქვს. ჩვენ სხვა გზით უნდა ვიაროთ“.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# ქვეყანა, რომელიც ხიდაშელებისა და წულუკიანების დონეზე დაეცემა, ევროკავშირში კი არა, საპირფარეშოშიც არ უნდა შეუშვა!

**ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრა.**

**— 21 მაისს რიგაში გამართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის მიმართ საქართველოში დიდი მოლოდინი არსებობდა, თუმცა საქართველომ ვიზების ლიბერალიზაციაზე თანხმობა ევროკავშირისგან ვერ მიიღო. რამ განაპირობა ეს შედეგი?**

— ეს არის ქვეყნის მძიმე ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარების შედეგი. ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური პირობების გაუმჯობესება, პენსიებისა და ხელფასების მომატება — ვერც ერთი ეს დაპირება საქართველოს ვერც ძველმა და ვერც ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეასრულა.

**ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება იმაშიც კი ვერ ერკვევა, რას ნიშნავს ვიზების ლიბერალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვის მიმართ ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას არ გააკეთებდა. თურმე მოლდოვამ ადრე დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და იმიტომ მიიღო ევროპასთან უვიზო რეჟიმი.** მოლდოვის მოქალაქეებმა მხოლოდ სამთვიანი ვიზის უფლება მიიღეს, დასაქმების უფლების გარეშე, ამას გარდა, წლების განმავლობაში, მოლდოვის ტერიტორიაზე რუმინეთის რამდენიმე საკონსულო იყო გახსნილი და მოლდოვის მოქალაქეების დიდ ნაწილს რუმინული პასპორტები ჰქონდა, რუმინეთი კი, მოგეხსენებათ, ევროკავშირის წევრია და ყველა ამ ფაქტორმა გარკვეული როლი ითამაშა.

„მნიშვნელოვანია“ კიდევ ერთი რამ: **კიშინიოვში უკვე ორჯერ ჩატარდა გეი-აღლუმი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევე როგორც ევროპის, მოლდოვის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჰომოსექსუალებისადმი ლოიალურად არის განწყობილი.**

**— ფიქრობთ, ეს საკითხი ერთ-ერთი მიზეზია, რომლის გამოც ვიზებზე უარი გვითხრეს?**

— რა თქმა უნდა, ეს სერიოზული მიზეზია. **რამდენიმე დღის წინათ ირლანდიაში რეფერენდუმი ჩატარდა და მოსახლეობის 62%-მა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დაუჭირა მხარი. როდესაც ლუქსემბურგის მამაკაცი პრემიერმინისტრი თხოვდება და ამბობს, რომ მყარ ოჯახს შექმნის, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა იქით მიექანება, საითაც, მიმაჩნია, საქართველოს მომავალი არ აქვს. ჩვენ სხვა გზით უნდა ვიაროთ.**

რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას, ორივე ქვეყანაში კორუფცია მძვინვარებს (ნუ გვგონია, რომ საქართველოში კორუფცია აღარ არის), დიდძალი თანხა იხარჯება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატების შესანახად. **17 მილიონი ლარი დაიხარჯა საქართველოს ბიუჯეტიდან რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის წარმომადგენლების გამასპინძლებაში. ნოდარ ხადურმა 60 ახალი „ტოიოტაც“ კი შეიძინა ამ ღონისძიებისთვის. როგორ მისცემდა ევროკავშირი საქართველოს ვიზების ლიბერალიზაციას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ამ ერთი ფაქტის გამო?! ასეთი საქციელი ევროპელებისთვის მიუღებელია.**

მართალია, ევროპელი კიდეც შეჭამს და კიდეც მოილხენს, მაგრამ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ნებისმიერი საკითხისადმი ასეთი ქარაფშუტული დამოკიდებულება აქვთ, შესაბამის დასკვნებსაც გამოიტანს, როგორი მენტალიტეტის ქვეყანასთან აქვს საქმე.

**— როგორც ცნობილია, წელს 26 მაისის აღლუმისთვისაც დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაიხარჯა და მასში ქართველებთან ერთად ამერიკელი სამხედროებიც მონაწილეობდნენ. როგორ ფიქრობთ, ასეთი ღონისძიებებისთვის თანხა არ უნდა იხარჯებოდეს?**

— ამერიკელები ისედაც აქ არ არიან ამ ერთობლივი წვრთნების ფარგლებში და მიიყვანდნენ ამ აღლუმზე, აბა, რას იზამდნენ. **ქვეყანა, რომელიც ხიდაშელებისა და წულუკიანების დონეზე დაეცემა, ევროკავშირში კი არა, საპირფარეშოშიც არ უნდა შეუშვა!**

— გამოქვეყნდა აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტის დეკლარაციის საბოლოო ვარიანტი, რომელშიც საქართველოსა და უკრაინის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ ჩანაწერი, მართალია, არ არის, მაგრამ აღნიშნულია ამ ქვეყნების სწრაფვა და ძალისხმევა ევროპისკენ; ნათქვამია, რომ ისინი მოუთმენლად ელოდებიან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპის დასრულებას, „როდესაც მოთხოვნილი რეფორმის ყველა პუნქტი შესრულდება“. რა მოთხოვნები უნდა შეასრულოს საქართველომ, ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ნებართვა რომ მიღოს?

— საქართველომ უნდა შეასრულოს ის მითითებები, რომლებსაც ევროკავშირი ითხოვს. უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს ეკონომიკა ისეთ დონეზე მაინც უნდა იყოს, რომ მოსახლეობას ევროკავშირის ქვეყნებში სამუდამოდ გაქცევა არ მოუწიოს.

მაგალითად, **ჩეხეთში უკრაინელებს ხუთას ევროს აძლევდნენ და ბილეთსაც ულებდნენ, ოღონდ ქვეყნიდან მოეშორებინათ და წარმოიდგინეთ, როდესაც უკრაინელების მიმართ ასეთი განწყობაა, ჩვენ რას უნდა ველოდოთ?** ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ ქართველების მიმართაც. გვითხრეს, რომ კარგები ხართ, კარგად იმუშავეთ, მაგრამ გასაკეთებელი ბევრი გაქვთ და წლის ბოლოს ამ საკითხზე კიდევ ვიმსჯელებთო.

საერთოდ კი, მიმაჩნია, რომ **საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, მიიღოს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან, ქვეყნის ღალატია. საქართველოს მთავრობა იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, მოსახლეობა ქვეყნიდან გარეკოს და ისედაც დაცარიელებული ქვეყანა უარესად დაცარიელდეს, როგორც ეს ბალტიის ქვეყნებში მოხდა, არამედ საქართველოში ნორმალური სამუშაო პირობების შექმნას უნდა ცდილობდეს.**

— გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის განცხადებით, საქართველო უვიზო რეჟიმისთვის ჯერჯერობით მზად არ არის. ევროკომისია პროგრესის შედეგების შეფასებას წლის ბოლომდე გეგმავს. როგორ ფიქრობთ, ამ პერიოდისთვის მზად იქნება ქვეყანა თუ ეს გარკვეული სიგნალია, რომ არც ნატოში და არც ევროკავშირში მიღების პერსპექტივა არ გვაქვს?

— საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი რომ ვერ გახდება, ლამის ათი წელიწადია, ვამბობ და არც ვიზების ლიბერალიზაციას მოგვცემენ. ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაია ფანჯიკიძემ**, რომელიც „ვარსკვალებს წყვეტდა“ თავისი სისულელეებით, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს, ბრძანა, საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, ეს ხელშეკრულებაში წერიაო, რაც წარმოუდგენელი უაზრობაა. რიგის სამიტამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა ევროპის საბჭოს თავმჯდომარე **დონალდ ტუსკი** და განაცხადა, აღმოსავლეთის პარტნიორობა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას არ ითვალისწინებს და ვინ გითხრათ, რომ ასოცირებული წევრობა ევროკავშირში შემოსვლის გარანტიააო. იგივე გაიმეორა მერკელმაც, მაგრამ ამ ხელისუფლებას რაც მოელანდება, თავს ახვევს მთელ ქვეყანას და ამ ხალხმაც აღარ იცის, ვის დაუჯეროს.

არანაირი ცვლილება წლის ბოლომდე არ იქნება, რადგან საქართველო ვერ შეასრულებს ყველა პუნქტს, რომლებიც ევროკავშირის დოკუმენტშია მითითებული.

რაც შეეხება აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტს, ვფიქრობ, შესაძლებელია, მომავალში ის საერთოდ აღარ გაიმართოს, ვინაიდან იმ ექვსი კანდიდატი ქვეყნიდან, ასე თუ ისე, პროდასავლური მხოლოდ სამი აღმოჩნდა. **სომხეთმა უარი განაცხადა, ბელარუსი და სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრები არიან, ხოლო აზერბაიჯანს სულაც არ აღარდებს აღმოსავლეთის პარტნიორობა, ალიევი რიგაშიც კი არ ჩავიდა.**

**— ლატვიის წარმომადგენელმა აღმოსავლეთ სამიტის მონაწილე ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებს ხის სასტვენები დაურიგა, რამაც გააოცა და გაამხიარულა სამიტის მონაწილეები...**

— ეს სისულელეები ადასტურებს, რომ **ბალტიის ქვეყნებს სერიოზული პრობლემები აქვთ. მხოლოდ ის რად ღირს, რომ დამოუკიდებლობის მიღებისას ბალტიის მოსახლეობა 8 მილიონზე მეტი იყო, დღეს კი ექვსი მილიონია. სად გაქრა ეს ხალხი?** უვიზო მიმოსვლის შედეგად, ევროკავშირში შესვლის შემდეგ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნიდან წავიდა. ბალტიის ქვეყნები, ფაქტობრივად, დაცარიელდა. **ნაცვლად ამ სასტვენების დარიგებისა, სჯობს, ჭკუას მოუხმონ და ქვეყნის კეთილდღეობისთვის რეალური ნაბიჯები გადადგან. ბალტიისპირეთს საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს, არადა, საბჭოთა კავშირის პერიოდში მსოფლიოსთვის სამაგალითო იყო.**

**— ევროვიზიის კონკურსს საქართველოში მწვავე შეფასებები მოჰყვა. საქართველომ, ფაქტობრივად, ვერც ერთი მაღალი ქულა ვერ მიიღო. იყო თუ არა ეს ერთგვარი პოლიტიკური გზავნილი საქართველოსთვის?**

— ჩვენ უფრო მეტი წარმოდგენა გვაქვს საკუთარ თავზე, ვიდრე რეალურად ვართ. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც არაფერი გააჩნია. ამიტომ ვფიქრობ, მე-11 ადგილი საქართველოსთვის ამ მრავალრიცხოვან მონაწილეებს შორის, ცუდი არ არის. **ეს ჩვენ გვგონია, რომ საქართველოზე ფიქრში აღამებენ და ათენებენ ევროპელები და ამერიკელები და ჩვენ გარშემო ტრიალებს მსოფლიო, სინამდვილეში, საქართველო არც არავის ახსოვს და არც არავის აინტერესებს.**

**— „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე აქტიურმა „ნაციონალმა“ დატოვა. როგორ ფიქრობთ, ეს ცვლილებები ნიშნავს, რომ პარტიაში სერიოზული განხეთქილებაა თუ ეს ყველაფერი ახალი, გადახალისებული „ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის გეგმას უკავშირდება?**

— ეს უფრო გეგმაა, ვიდრე განხეთქილება პარტიაში. ყოფილი „ნაციონალებისგან“ რამდენიმე პარტია შეიქმნება, რომლებიც ვითომ დამოუკიდებლად იმოქმედებენ. ისეთივე ვითარება შეიქნება, როგორც, მაგალითად, რესპუბლიკელების შემთხვევაში, რომლებიც ყოველთვის „ნაციონალებთან“ ერთად იყვნენ. 2003 წელს პარლამენტის დარბაზში ვიჯექი და კარგად მახსოვს, როდესაც სააკაშვილი შემოვარდა, მის გვერდით იყვნენ ხიდაშელი და ის ნაძირლები, რომლებიც დღესაც რესპუბლიკურ პარტიაში არიან.

**„ნაციონალური მოძრაობა“ დარჩება, მაგრამ, მის გარდა, იქნება ორი-სამი სატელიტი პარტია, რომლებიც ნელ-ნელა მომძლავრდებიან და ჩაანაცვლებენ ისეთ სატელიტებს, როგორიც იყო, მაგალითად, გიორგი თარგამაძისა და პაატა დავითაიას პარტიები. ეს იქნება იგივე „ნაციონალური“ მოძრაობა და დარწმუნებული ვარ, „ნაციონალები“ ახლაც ამერიკელების რჩევითა და მითითებით მოქმედებენ.** „ნაციონალურ მოძრაობას“ ამერიკელები დიდ ფინანსურ და იდეოლოგიურ დახმარებას უწევენ. უკრაინაში ქართველების თანამდებობებზე დანიშვნაც ხომ ამერიკელების გადაწყვეტილება იყო და სურთ, მომავალში ეს ხალხი ისევ საქართველოს ხელისუფლებაში დააბრუნონ, რადგან ამერიკელები „ნაციონალებს“ ენდობიან.

ვინ დაკარგავს ასეთ ამერიკულ კადრებს, როცა მათზე ამდენი ფული დახარჯეს?!

**«ნაციონალური მოძრაობა» დარჩება, მაგრამ, მის გარდა, იქნება ორი-სამი სატელიტი პარტია, რომლებიც ნელ-ნელა მომძლავრდებიან და ჩაანაცვლებენ ისეთ სატელიტებს, როგორიც იყო, მაგალითად, გიორგი თარგამაძისა და პაატა დავითაიას პარტიები. ეს იქნება იგივე «ნაციონალური მოძრაობა» და დარწმუნებული ვარ, «ნაციონალები» ახლაც ამერიკელების რჩევითა და მითითებით მოქმედებენ»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

GW-იუმორი
მაგაზე უკეთესი გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ფული არ გაქვთ და, წამალს ვერ ყიდულობთ, რატომ ფიქრობთ იმაზე, რომ წამალს ვერ ყიდულობთ? არ ჯობია იმაზე იფიქროთ, რომ ავად ხართ, წამალს ვერ ყიდულობთ და მიუხედავად ამისა, მაინც არ კვდებით და ცოცხალი ხართ! ეს ხომ სასწაულია!“

# შედი, ფრიდრიხ, ბუტკაში

# ნუ ფიქრობთ და არ მოგშივდებათ!

**„თუ კარგად ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ სულაც არ გშიათ“, — ასეთი განცხადება გააკეთა ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც იგი თავის ფიქრებში იყო ჩაღრმავებული და კიდევ ერთხელ ესაუბრებოდა ფრიდრიხ ნიცშეს.**



როგორც ჩვენი არც ისე სანდო წყარო გვატყობინებს, ეს ინფორმაცია ივანიშვილის რეზიდენციის მარცხენა ფლიგელის ქვედა მხარის მარჯვნიდან მეექვსე სექტორის დამლაგებელმა გამოიტანა. თურმე სწორედ იმ დროს, როდესაც ყოფილი პრემიერი, ჩვეულებისამებრ, ოთახში ბოლთას სცემდა და ნიცშეს ეჩხუბებოდა, ჩართული ტელევიზორიდან მოისმა ფრაზა — **„ხალხს შია, ბატონო ბიძინა! ან მიაქციეთ ქვეყანას ყურადღება ან დანიშნეთ რიგგარეშე არჩევნები!“**

აი, სწორედ ამ დროს ჩაფიქრებულა ბიძინა ივანიშვილი შიმშილის რაობაზე და ბრძნული დასკვნებიც გაუკეთებია.

„მოდით, ვიმსჯელოთ, რა არის შიმშილი, განა არ შეიძლება ამაზე სიღრმისეული ჩაკვირვება? შეიძლება, მაგრამ ქართველები ზარმაცები არიან და არ უნდათ, ჩაუკვირდნენ, რომ შიმშილი, მხოლოდ გასტრონომიული კი არა, ფსიქოლოგიური პროცესია და ამ ორი ფაქტორიდან თუნდაც ერთის ჩაცხრობით ჩვენ დავამარცხებთ მას.

აი, მე რომ პატარა ვიყავი, ძალიანაც მიჭირდა, მაგრამ, ფსიქოლოგიურად რომ ჩავუკვირდი, ჩემს თავს ვუთხარი — ბიძინა, შენ სულაც არ გიჭირს, პირიქით, შენ ხარ მილიარდერი! შენ ხარ მილიარდერი! — და ამ ფიქრებში ისე გავხდი მილიარდერი, რომ თვითონაც გამიკვირდა...

**ამ ტაქტიკამ მომიყვანა აქამდე და მინდა, ჩემს ქვეყანას კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ ჩაუკვირდით, თქვენ კი არ გშიათ, თქვენ უბრალოდ ფიქრობთ, რომ გშიათ!**

ასევეა ლარის კურსზეც. აი, შეხედეთ, როგორი აჟიოტაჟი ატყდა, რომ ლარი გაუფასურდა.

რატომ ვფიქრობთ მაინცდამაინც ნეგატიურზე? ხომ შეიძლება, პოზიტიურზე ვიფიქროთ, მაგალითად იმაზე, რომ ჩვენი უახლოესი მეგობრის და სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ვალუტა — დოლარი გამყარდა!

განა ეს კარგ განწყობაზე არ უნდა გვაყენებდეს? ადამიანს რომ ახლო მეგობრის წარმატება არ გაუხარდება, ის ადამიანი შურიანი და ეგოისტია! ლარი და დოლარი კი უახლოესი მეგობრები არიან!

**თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ფული არ გაქვთ და, წამალს ვერ ყიდულობთ, რატომ ფიქრობთ იმაზე, რომ წამალს ვერ ყიდულობთ? არ ჯობია იმაზე იფიქროთ, რომ ავად ხართ, წამალს ვერ ყიდულობთ და მიუხედავად ამისა, მაინც არ კვდებით და ცოცხალი ხართ! ეს ხომ სასწაულია!“** — ასე ელაპარაკებოდა ბიძინა ივანიშვილი ფრიდრიხ ნიცშეს.

**«რატომ ვფიქრობთ მაინცდამაინც ნეგატიურზე? ხომ შეიძლება პოზიტიურზე ვიფიქროთ, მაგალითად იმაზე, რომ ჩვენი უახლოესი მეგობრის და სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ვალუტა — დოლარი გამყარდა! განა ეს კარგ ხასიათზე არ უნდა გვაყენებდეს?»**

ჩვენი არასანდო წყარო ვერ აკონკრეტებს, რა უპასუხა ნიცშემ ივანიშვილს, მაგრამ მას ზუსტად გაუგონია, როგორ შეჰყვირა სივრცეს ივანიშვილმა — **„შიგ შენ თვითონ გაქვს! არ გრცხვენია, რანაირად მეტყველებ ამხელა ფილოსოფოსი კაცი, მე შენი ზარატუშტრა დედაც!“** — და ეზოში გავარდა.

სხვათა შორის, ამ ყოველივეზე კომენტარის გაკეთება ექსპერტებსაც გაუჭირდათ, იმიტომ, რომ, როგორც კი რაიმეს თქმა დააპირეს, ტუჩები სიცილსგან დაემანჭათ და სათქმელს თავი ველარ მოუყარეს.

**საბოლოო ჯამში კი, ყველა თანხმდება, რომ საშიში არაფერია, რადგან ეს სისულელეები ივანიშვილმა, დიდი-დიდი, „ჯი-დი-ეს“-ზე გადაცემა „20/30“-ში გაიმეოროს, მაგ გადაცემას კი არჩილ გამზარდიაც კი აღარ უყურებსო, — განაცხადეს ექსპერტებმა, როცა სიცილით გული იჯერეს და ცოტა სული მოითქვეს.**

**ელიკო სილაძე**

# რეტრო — რაზე ხუმრობდნენ 30 წლის წინათ

**ჟურნალი «ნიანგი», (№1443). იანვარი. 1975**

# ტურისტული სეზონის წინ



— ნუციკო, გამარჯობა გენაცვალე! სად დაიკარგე, გოგო! ასე უნდა სკოლის მეგობრების დავიწყება?! გამოცვლილხარ... დამშვენებულხარ. ეს თმები ვისთან შეიღებე ასე ლამაზად?

— პარიკია. მარსელში, ესპანელი მეზღვაურისგან.

— როგორ, საფრანგეთში იყავი?

— ჰმ, არ იცოდი? მარსელი, ბორდო... ან რა კულტურაა, ან რა ცივილიზაცია, ქალი და კაცი ერთნაირად იცვამს.

— ეგ თბილისშიც მასეა.

— როგორ, აქაც დაიწყეს კაცებმა კაბებით სიარული? პარიზში, ბეწვეულის მაღაზიაში „დუბლიონკა“ ვნახე, ფული მქონდა, მაგრამ ვერ ამოვიღე, მთელი ჯგუფი გარს მეხვია, თანაც ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი და, ხომ იცი, რამდენი ინტრიგანია ამ ქვეყანაზე... სამაგიეროდ იტალიაში, იცოცხლე, ვიჯერე გული...

ჩვენი ტურისტული ჯგუფი ძველი რომის კედლების დასათვალიერებლად მიდიოდა. მე თავი მოვიავადმყოფე და სასტუმროში დავრჩი, მერე „ჩორნი ხოდიდან“ გავიპარე იქაურ „ტალკუჩკაზე“. სანტა მარია! ვნახე, მაგრამ რა ვნახე: ეს ამერიკული „სუპერები“, ეს ქალის ნაირ-ნაირი ჯინსები, ქალის „პლაში“ ვნახე, რომ დაკეცავდი, კაკლის ნაჭუჭში ეტეოდა...

„დუბლიონკა“ ჩამოვიტანე ისეთი, ასი თუმანი მაძლია თვითონ სპეკულიანტმა!

ჟენიას ვენაცვალე, ახლა მეჩქარება, საბუთების გასამზადებლად გავრბივარ, ქმარმა შვეიცარიის „პუტიოვკა“ ჩამიწყო, გავივლი, თვალს წყალს დავალევინებ, ამბობენ, ზედ გამოჭრილი ბაკურიანიაო... „ადიუ, მონ პეწი“! სალამოს შემომიარე, იტალიურ სერვიზს გაჩვენებ!

**თამაზ ჭეიშვილი**

ნახ. მამია მალაზონიასი



— ეს კაცი ვინაა?

— ალბათ რეჟისორია, დრამატურგს ეუბნება შენი კაცი დავდგიო.

**„მე ჩემი პირადი ოცნებების შესახებ გითხარი, თორემ, აი, მაგის ოცნებებში, ვისზეც შენ მელაპარაკები, მე მილიარდობით ვიყავი ყოველთვის და ახლა უკვე რამდენიმე მილიარდი რეალობაშიც ვარ! შენ იკითხე, შე უბედურო, აქამდე რომ „მარშუტკით“ მოხვედი და უკან წასასვლელი ლარიც აღარ გაქვს!“**

GW-იუმორი
მაინც უკეთესი გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ექსკლუზიური ინტერვიუ ლარის კურსთან

**მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე თვეა, ლარის კურსზე დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ლარის კურსის ცვალებადობას, უფრო ზუსტად კი, დაცემასა და გაუფასურებას, ზოგი რას აბრალებს და ზოგი — რას.**

თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთმა ფინანსისტმა ეს ვითარება „პანიკასა და პროპაგანდასაც“ კი დააბრალა, ანუ, ასეთი ფინანსისტ-ეკონომისტების აზრით, ლარის კურსი რეალურად კი არ დაეცა, არამედ ხალხში არსებულმა პანიკამ კურსის ხელოვნური ვარდნა გამოიწვია. რამ გამოიწვია თავად პანიკა, თუკი არ იყო ვარდნა? — ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, არ არსებობს.

ამიტომაც მთელი გულით შევეცადე, ლარის კურსის ვარდნის რეალური მიზეზები პირველწყაროდან გამეგო და მოვახერხე ინტერვიუს ჩაწერა თავად ლარის კურსთან, რომელიც, მოგეხსენებათ, ვერ გამოიყურება მთლად ჯანსაღად და, ცოტა არ იყოს, ლაპარაკიც უჭირს. ამიტომ ინტერვიუც მოკლეა, მაგრამ ძალიან საინტერესო.

**— გამარჯობა, ბატონო ლარის კურსო, როგორ ბრძანდებით? — დავიწყე გაუბედავად.**

— ერთი, თუ კაცი ხარ, ხელი მომაშველე, წამოვიწიო ცოტა... ძალიან დავარდნილი ვარ და ვერ გხედავ კარგად.

**ნაღვლიანად ამომხედა.**

**— უკაცრავად, თქვენ ჩემი დახმარება გესაჭიროებათ თუ ეროვნული ბანკის?**

— ვისი? ეგ რა არის საერთოდ? ა, მაგის უფროსზე „ნაციონალების“ ხელის ბიჭიაო თვითონ ბიძინაც რომ იძახის და მაინც რომ იქ არის, სადაც იყო? ეჰ... ეგ რისი დამხმარეა...

**— ამბობენ, რომ სწორედ მაგან გკრათ ხელი და იმიტომაც დაეცით...**

— ჰა, ჰა! ნუ დაიწყე ახლა შენ ჟურნალისტური „ზახოდები“! შენ ის გაინტერესებს, ხელი ვინ მკრა თუ ის სურვილი გაქვს, რომ ფეხზე წამოვდგე?

**— რა მაინტერესებს, იცით? ამბობენ, რომ დოლარი თქვენი ახლო მეგობარია და საუკეთესო ძმაკაცი...**

— მერე?

**— მერე ის, რომ, რო დაკრა ფეხი და გავარდა, ცოტა ვერ დაგიცადათ ან ხელი მაინც ვერ წაგაშველათ?**

— ჟურნალისტო, შენ რამდენი წლის ხარ?

**— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?**

— რა და, მე აგერ, სულ რაღაც, 20 წლის შევსრულდი და უკვე ვიცი მაგდენი, რომ დოლარის იმედად დარჩენილ ლარს ან ევრო შეჭამს, ან ქუვეითური დინარი...

**— თუ გირვანქა სტერლინგი?**

— მაგას ვილა დაეძებს, ლამის არის, სომხური დრამის დასაცინიც გავხდე!

**— ბოლო დღეებში, როგორც ვხედავთ, ცოტა კი მოითქვით სული. ასე აპირებთ გაგრძელებას თუ ისევ უნდა**




**«სულ რაღაც, 20 წლის შევსრულდი და უკვე ვიცი მაგდენი, რომ დოლარის იმედად დარჩენილ ლარს ან ევრო შეჭამს, ან ქუვეითური დინარი»...**

**დავარდეთ?**

— ელაპარაკე ახლა ამას! მე რასაც ვაპირებ, შენ იმას ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენ, მაგრამ მხოლოდ ოცნება რის მაქნისია?

**— მხოლოდ „ოცნება“, რა თქმა უნდა, ვერც ვერაფერს გააკეთებს. აკი, ამიტომაც დაიწყეს კოჰაბიტაცია და „ნაციონალებთან“ ერთად ისინი შეძლებენ...**

— ახლა შეგაწყვეტინო თუ შენით გაჩუმდები? მე ჩემი პირადი ოცნებების შესახებ გითხარი, თორემ აი, მაგის ოცნებებში, ვისზეც შენ მელაპარაკები, მე მილიარდობით ვიყავი ყოველთვის და ახლა უკვე რამდენიმე მილიარდი რეალობაშიც ვარ! შენ იკითხე, შე უბედურო, აქამდე რომ „მარშუტკით“ მოხვედი და უკან წასასვლელი ლარიც აღარ გაქვს!

**— ჰმ! შენ ვის ეუბნები! „მარშუტკით“ კი არა ხოხვით ძლივს დადიხარ! — გავბრაზდი!**

— აი, შენ რომ მაგ ბანკის კრედიტს ვერ გადაიხდი, რისთვისაც ახლა მაგ დოლარებს ყიდულობ, მერე ვნახავთ, ვინ იხოხებს და ვინ დარჩება უსახლკაროდ, — **გადავიდა აშკარა დაცინვაზე.**

**— ამას უყურე! შენი ცანცარისა და ავარდნა-დავარდნის გამო ლამის არის ტვინში სისხლი ჩამექცეს და კიდევ აქეთ დამცინი, შე თავხედო?**

— როგორ გეკადრებათ, ბიძია, სულაც არ დაგცინით, მე, უბრალოდ, გკითხეთ, დოლარი გნებავთ თუ ევრო-მეთქი... — **მომესმა გოგონას ნაწყენი და ოდნავ ცრემლნარევი სასიამოვნო ხმა...**

**უცებ გამოვერკვიე. თვალი მოვწყვიტე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ჯავშნიან ფანჯარაზე გაკრულ ვალუტის კურსის აბრას და ორ რამეზე დავფიქრდი:**

**1. როგორ ამეხსნა ჩემი სიტყვები და როგორ მომეხადა ბოდიში ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მომსახურე, ლამის ჩემი შვილის ტოლი გოგონასთვის;**

**2. რით მეყიდა პური და როგორ გამომეკვება შვილები მას შემდეგ, რაც ეს გოგონა ჩემს უკანასკნელ 3 ცალ ასლარიანს გადამიცვლიდა დოლარში ბანკში მისატანად.**

**ებიჯო ქენირაძე**





— დიოგენი არ ვიცი მე! ლუდი რა უყავი?!

## ანდაზები

- სპორტსმენმა თავი ინუგეშა — თასი ვერ ავიღე, მაგრამ ყანწითაც იოლას გავალო!
- ცენტრალური გათბობის ბატარეას ჰკითხეს, რა გატირებსო, — გამდის და ვტირიო.
- ყვავს კაკალი ვერ გააგდებინეს, — კილო თუმანიაო.
- ის ურჩევნია მამულსა, ვაჟი არ ჰგავდეს ქალწულსა.

**ნ. იოსებიძე**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპული კულტურა, როგორც თანატოლებს, ელაპარაკება მხოლოდ ხანდაზმულ, ცოდნით დამძიმებულ ადამიანებს, რომლებისთვისაც გასაგებია ასოცირებული აზროვნება, მინიშნება, ხელოვნების ენის კოდი“. მხატვრულ, მეტაფორულ აზროვნებაზეა ლაპარაკი, რომელიც „რანკოვიჩ-ლომაიას ხროვის“ მიერ „რეფორმირებული“ ქართული საგანმანათლებლო სისტემაგამოვლილი თაობისთვის დაუძლეველ წინაღობად არის აღმართული.**

# «ამერიკის მისია სამყაროს გათახსირებაა!»

**არ გეგონოთ, რომ ეს წინადადება „ცივი ომის“ დროინდელ პროპაგანდისტულ ყალიბში ჩამოსხმული დებულებაა, ანუ თეზისი იდეოლოგიური ინსტრუქციიდან, ამონარიდი ცეკას სახელმძღვანელო ცირკულარიდან; ან ანდრეი ალექსანდროვ-აგენტოვის — მაღალი რანგის რეფერენტისა და თანაშემწის ნაჯახირევი ფრაზა რომელიღაც გენერალური მდივნის მოხსენებაში ჩასაკვეხებლად.**
**არა და არა!**
**ეს დებულება — „ამერიკის მისია სამყაროს გათახსირებაა“ — ეკუთვნის უდიდეს ინგლისელ მწერალთაგან ერთ-ერთს — ჩარლზ ჯონ ჰაფემ დიკენსს.**
**ყოველ შემთხვევაში, მიაწერენ.**


ჩარლზ დიკენსი

მაგალითად, ასეთ აზრზე დგას რუსულენოვან ელიტურ საზოგადოებაში მიღებული და დაფასებული კინოდრამატურგი, მხატვარი, რეჟისორი და მსახიობი ალექსანდრ ადაბაშიანი, რომელსაც ეს წინადადება ამოუკითხავს თავად ვოლკონსკის „მოგონებებში“: „საიდან არის ეს ციტატა, თვითონ დიკენსმა დაწერა, მის პერსონაჟთაგან რომელიმემ წარმოთქვა, ჩემთვის ცნობილი არ არის“.

ამას ამბობს ადაბაშიანი. ვოლკონსკის კი ეჭვი არ შეპარვია მის ავთენტურობაში, რადგან დიკენსის (თუ მისი პერსონაჟის) გამონათქვამი სრულად ესადაგებოდა გასული საუკუნის 20-იან წლებში ევროპულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ განწყობილებას: „იმხანად ევროპა ჯერ კიდევ ირონიულად და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ამერიკის ექსტრავაგანტურობას, ისეთი დაკვირვებით უყურებდა, როგორც ტრავმატოლოგი აკრობატს: იხტუნე, საყვარელო, იკუნტრუშე, ბოლოს მაინც ჩემთან მოცოცდებიო“.

არ მიცოცებულა.

არც მუხლის თავები გადაუტყავებია, ჯინსში ჩატენილი საკუთარი ფეხების.

პირიქით! პირიქით!

ევროპამ მოიზომა, მოირგო, ჩაიცვა, რადგან მოეწონა, რომელიღაც კლონდაიკელი ოქროსმაძიებლის მიერ სატომრე ჯვალოდან შეკერილი „სამუშაო უნიფორმა“.

მარტო ევროპამ?

„მოხუცებულები, ბავშვები, ქალები, კაცები, იაპონელები, იტალიელები, შვედები, ნიგერიელები, კათოლიკები, მუსლიმები, ბუდისტები, წარმართები, ყველა, როგორც ერთი, ჯინსში გამოეწყო“.

ჯინსმა გადევნა ჩვენთვის ხილული სამყაროდან ჯერ „კლოში შარვლები“ — ჩაფართხუნებული შავი ერთფეროვნება, შემდეგ — სტილიაგების „ბუთილკა“ შარვლები, რომელთა სივიწროვეში ფეხების ჩატენვა ლამის აზიაცკებივით ტალკის დახმარებით იყო შესაძლებელი.

ჯინსმა — ორიგინალურმა, თუ „ბოშების ბაზარზე“ გამოტანილმა ჯღანებმა, დაიპყრო სამომხმარებლო სამყარო.

ისევე, როგორც „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების ობიექტებმა, „ფასტ ფუდმა“.

**ვინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის, მთაწმინდის ფონზე აღიმართებოდა „მაკდონალდსის“ პრეტენზიული სასახლე, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა?**

**ვერ წარმოვიდგენდით, მაგრამ აშენდა. აშენდა და შევეჩვიეთ კიდეც.**

კი შეებრძოლა იმთავითვე ცხონებული გურამ შარაძე ასეთ ალოგიკურობას — ეგებ ჯობდესო ამ ადგილზე რუსთაველის მუზეუმის აგება.

ამაოდ!

გაპარტახებული იყო იმ დროს საქართველო და მუზეუმის აშენების სახსრების კი არა, ნისიად წამოღებული თურქმენეთის ბუნებრივი გაზის ვალი კისერზე ლოდივით ეკიდა, როგორც მდინარეში დასახრჩობად განწირულს.

ვერ გეტყვით, გამოდგება თუ არა გამამართლებელ არგუმენტად, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სიდუხჭირეში „მაკდონალდსის“ გარდა სხვა რეალური ინვესტორი საქართველოში შემოსვლას არც აპირებდა.

სხვა არავინ ჩანდა.

თორემ ვინ სულელს მოუვიდოდა აზრად ამ ადგილზე საზკვების რომელიმე ობიექტის დადგმა?! იყო ერთი გაჭირვებული რესტორანი „გემო“ აქვე, აწ უკვე აღებული საცხოვრებელი სახლის სარდაფში, მაგრამ მისი „იატაკქვეშა“ არსებობა ბოლშევიკების ავლაბრის არალეგალური სტამბის მსგავსად ქალაქის კოლორიტული შტრიხი უფრო იყო, ვიდრე თვალში გაჩხერილი სიმახინჯე.

შევეჩვიეთ-მეთქი „მაკდონალდსს“, გითხარით.

მაგრამ მხოლოდ ჩვენ, თბილისელები?!

ტრადიციების ერთგული ევროპაც „გადაძოვა“ უმეტესად. თუმცა ინგლისურ პაბებს ვერ მოერია.

ზემოთ უკვე ნახსენები ადაბაშიანი შენიშნავს, რომ **ევროპაში პირველი „მაკდონალსების“ გამოჩენამ ყველა გაახალისა — გაკოტრდებიანო უცებვე! ცხვირი ირონიულად აიბზუეს ევროპელებმა: „განა რომელიმე ჩვენგანი, ვინც გავიზარდეთ ჩვენს მშობლიურ (იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ, ინგლისურ, გერმანულ) კერძებზე საკუთარი ნებით მიირთმევს ფუნთუშას, რომელსაც შუაგულში სხვისი ნაღეჭი რეზინი უდევს?!“**

ეროვნული პროტესტის დონეზე აჰყავდათ „მაკდონალდსის“ მიუღებლობა.

შედეგად კი **ევროპას მთელს სხეულზე ისე დააყარა ეს „ფასტფუდები“, როგორც მუწუკები ახალწვეულის ცხვირზე — პარიზშიც, ელისეს მინდვრებზე, რომშიც, ესპანეთის მოედანზე და პაწია ქალაქების ქუჩების გასწვრივ.**

მიჩნეულია, რომ წარმატებული ახალგახსნილი რესტორანიც კი სამი წლის შემდეგ კოტრდება. მაგრამ, **რაც „მაკდონალდსი“ არსებობს, მისი არც ერთი რესტორანი არ დაუხურავთ.**

**სასწაულია?**

**არა. რადგან „მაკდონალდსი“ თავის ნებისმიერ ზარალიან ობიექტს სხვა ათასობით მისდაგვართა მოგების ხარჯზე ინახავს.**

როგორ ჰგავს „მაშველი რგოლის“ ეს მეთოდი საბჭოთა კავშირის პერიოდში დოტაციური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენარჩუნების პრაქტიკას.

ახალი ხომ არაფერია ამ მზისქვეშეთში!

ეს, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს. ახლა სულიერებასაც მივხედოთ, კულტურასა და ხელოვნებას, რომელიც ამერიკული მასკულტურის გავლენით საყოველთაო ნორმად იქნა აღიარებული და მსოფლიოში ეროვნული ნიჭიერების განმსაზღვრელადაც კი მოგვევლინა.

ძალიან ცდილობენ.

მაგალითები თვალწინ გვაქვს ყოველკვირეული „მაქსფაქტორების“, „ნიჭიერების“, შოუებისა და მეგაშოუების სახით, რომელთა ფორმაც კი (პროგრამებზე ვლაპარაკობ) აშშ ტელეპრაქტიკიდან გადმოღებულ-გადმოტანილია, ცხადია, შესაბამისი ანაზღაურებით.

შინაარსითაც.

ქართული აქ პროვინციული მიბაძვის უმაღლესი დონეა, ხშირად, კივილის რეგისტრამდე ამაღლებული.

ყველა ენაზე აჟივჟივდნენ მიუზიკლების, ჰიტებისა და საუნდტრეკების ამერიკული ინტონაციებით.

ენების გამდიდრება ახალ ფაზაში შევიდა.

ჯერ გავიხსენოთ: „როცა მუსიკაში იტალია ლიდერობდა, მუსიკა იტალიურად „ალაპარაკდა“ — „ალეგრო“, „პრესტო“, „ვივაჩე“... (მხიარულად, სწრაფად, ცოცხლად...). საფრანგეთში ბალეტის აყვავებას მსოფლიოში ფრანგული ტერმინების დამკვიდრება მოჰყვა: „პა“ ნაბიჯია, “ბატმან“ — დაკაკუნება, „ფუეტე“ ზმნაა, რომელიც „მათრახის ცემას“ ნიშნავს, ჩიკორს რომ აბზრიალებს (ეგებ ვინმეს ახსოვს ბავშვების ეს გასართობი ბზრიალა).

**საბჭოთა კოსმოსური ლიდერობიდან ენებში „სპუტნიკი“ შემორჩა, პოლიტიკურიდან — „გლასტნოსტი“ და ...„კალაშნიკოვი“.**

**ევროსაბჭომ, ერთი ხანია, „ტროიკა“ აიკვიატა (!).**

საყველპურო ყოველდღიურობაში **მაღაზიები „მარკეტებმა“ შეცვალა, „ბუტიკებმა“, ყიდვა — „შოპინგმა“.**

**დღეს მსოფლიო ინგლისურად, „ამერიკულ ინგლისურ“ ენაზე ლაპარაკობს: „მარკეტინგი“, „მენეჯმენტი“, „ბლოკბასტერი“, „თრილერი“, „როუდ-მუვი“ და — მიდი, ვასია!**

თვალებს გრიმს ვერ გაუკეთებ (თეატრალთა პოპულაციაში გავრცელებული გამოთქმაა), ენას კი ძვალი არ აქვს: **„სეილი“, „სეივი“, „ასისტი“, „სელფი“ — გახსენ და მიუშვი! — ისეთი აჯაფსანდალია, ბაბაჯანას ქოშებივით ქართული ლექსიკის მდინარებაში რომ ჩაყარო, დატბორავს და აყროლდება.**

სპორტულ პრესაში მოურიდებლად შემოიჭრა ტერმინი **„მუნდიალი“,** რომელიც ფრანგებმა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის აღსანიშნავად გამოიყენეს — ვიმეორებ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავად. ჩვენმა უნახავებმა კი სპორტის ყველა სახეობაზე გაავრცელეს.

„გაათანამედროვეს“ თავიანთი ლექსიკის მარაგი! „გაამდიდრეს“ პირველწყაროს მნიშვნელობა! ხოლო ამ სიტყვის ფუძეს მეგრულიდან ქართულად ნუ მათარგმნინებთ, უხერხულია.

ანუ, იმ დონის უზრდელობაა, „რუსთავი-2“-ის „ვანოს შოუში“ **ანრი ჯოხაძემ** რომ იკადრა...

ასეთი ენობრივი კაზუსები, ცალკეული ფაქტებია, სლენგისთვის დამახასიათებელი. **უბედურება სისტემაა, რომელიც ენისა და ცხოვრების წესის გამალებულ ამერიკანიზაციაშია გამოხატული.**

რა არის ასეთი გლობალური გავლენის მიზეზი?

მუვუსმინოთ ანალიტიკოსებს, რომლებიც ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ ამის მიზეზი არის ძლიერი ეკონომიკა და აღმატებული სამხედრო-ეკონომიკური კომპლექსი.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არანაკლებ წარმატებულმა იმპერიებმა (პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) ვერ მოახერხეს თავიანთი კოლონიების იმ ზომამდე ასიმილირება, როგორც აშშ-მა დამოუკიდებელ ქვეყნებში (კოლონიებთან შედარებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებში) შეძლო.

მაშ, რა მოხდა?

ისტორიკოსები და მათ შორის ავტორიც, რომელიც უკვე რამდენჯერმე დავიმოწმე, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ **ევროპელად ჩამოყალიბებას სჭირდება წლები. ჭეშმარიტი ინგლისელობის მისაღწევად აუცილებელია უდიდესი ცოდნის ათვისება, ჩვევებისა და პირობითობათა მთელი სისტემის შესისხლხორცება... საკუთარ მეორე ბუნებად ამ ყველაფრის გათავისება.**

თვალსაჩინოებისთვის განგვიმარტავენ, რომ, მაგალითად, იტალიური აღორძინების ეპოქის ფერწერა შეიძლება გაიგო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეისწავლი რომაულ მითოლოგიას, ბიბლიას, ისტორიას.

ასე თუ ისე მაინც.

და კიდევ უფრო გასაგებად: **„ევროპული კულტურა, როგორც თანატოლებს, ელაპარაკება მხოლოდ ხანდაზმულ, ცოდნით დამძიმებულ ადამიანებს, ვისთვისაც გასაგებია ასოცირებული აზროვნება, მინიშნება, ხელოვნების ენის კოდი“.**

მხატვრულ, მეტაფორულ აზროვნებაზეა ლაპარაკი, რომელიც „რანკოვიჩ-ლომაიას ხროვის“ მიერ „რეფორმირებული“ ქართული საგანმანათლებლო სისტემაგამოვლილი თაობისთვის დაუძლეველ წინაღობად არის აღმართული.

თუნდაც ისეთ თვალსაჩინო და მოსწრებულ შედარებებში, როგორებითაც **რეზო ამაშუკელმა** ქართული სარკასტული ლიტერატურა გაამდიდრა სულ ახლახან: **„ბაქრაძე — უკანიდან დაქოქილი მათხოვარი; „ტაბულა“ — ჩირქის კასრი; ჩერგოლეიშვილი — შავი გოგირდით რომ აქვს ცხვირის ნესტოები გამოტენილი; კვესიტაძის ბლუკუნა ქმარი, ზღვის სპილო — შოთა უტიაშვილი, ბლანჭიანი ბეკეკა, ვიღაც დევდარიანი და, რაც მთავარია, ეს ყიზილბაში, „რიჟა“ და მამაძაღლი ტუღუში“.**

ახლა ცოტა ამოისუნთქეთ და მასშტაბური განზოგადებებისა და მინიშნებების ამოსაცნობად დაძაბეთ გონება: **„სააკაშვილმა მოახერხა და შექმნა უწიგნური ბოზებისა და წიგნიერი პედერასტების საზოგადოება, რომელსაც დაპყრობილი აქვს მთელი ტელესივრცე“; „ეს შავი ოზოზა (მაია ორჯონიკიძე), ეს ტარანტულა, ძველი ბიჭივით რომ იჯდა და ღრიალებდა ინგა გრიგოლიას ეთერში, ეგ ისეთი ორჯონიკიძეა, როგორც მე ვარ მაო ძედუნის ბიძაშვილი“;** „რანაირად უნდა ვცე მე უკრაინის ხელისუფლებას პატივი, როცა ეს უფროსკლასელთა ჩოკინა — ადეიშვილი დაასვეს თავზე მთელ უკრაინას?! ზარი დარეკილი არ იყო, ადეიშვილის კრუსუნი რომ ისმოდა ყვარელში, და ეს მე იმ ხალხისგან ვიცი, ვინც მაგას მაგრად „აწვალებდა“. იქიდან დაეწყო მაგას ტოტალური „ხველება“.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ!

თუ ამ ამონარიდებისა ვერაფერი გაიგო კომპიუტერსა და ინგლისურს დაუფლებულმა თაობამ, მართლა ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე!

ჩვენი უბედურებაა, და ხელი გინდ ამერიკისკენ გაიშვირე, გინდ — ბანგლადეშისკენ, გინდა ევროკავშირის ფაფით სავსე ჯამი და „პურის საზეიმო ულუფა“ მოგაწოდონ — ორი მთელი და ერთ მეოთხედი უნციის ოდენობით.

„ამ საოცარი სანახაობით შეძრული ოლივერი საცოდავად ატირდა: გაიფიქრა, და ეს სავსებით ბუნებრივი იყო, — რომ საბჭომ რაღაც სასარგებლო მიზნების მისაღწევად მისი მოკვლა გადაწყვიტა, სხვა არაფრის გამო თავს არ გამოიდებდნენ მის გასასუქებლად.

— ნუ ტირი, ოლივერ, თორემ თვალები გაგიწითლდება. ჭამე შენი ფაფა და მადლობელი იყავი! — თქვა მისტერ ბამბლმა, — ...სასწავლებლად უნდა მიგაბარონ, ოლივერ.

— სასწავლებლად, სერ? — შეეკითხა აკანკალებული ოლივერი.

— დიახ, ოლივერ, — თქვა მისტერ ბამბლმა, — კეთილ და მოწყალე ჯენტლმენებს, რომლებიც მშობლების მაგივრობას გიწევენ, ოლივერ, რადგან საკუთარი არ გყავს, სურთ სასწავლებლად შენი მიბარება, შენი ფეხზე დაყენება, და შენგან ადამიანის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მრევლს სამი ფუნტი და ათი შილინგი დაუჯდება!..

...ცრემლის ნაკადები ჩამოუწანწკარდა ლოყებზე საწყალ ბიჭს და მწარედ აქვითინდა იგი.

— გეყოფა, — თქვა მისტერ ბამბლმა..., — მოიწმინდე თვალები ქურთუკის კოშით და ნუ აწვეთებ ცრემლს ფაფაში. დიდი უგნურებაა ეს, ოლივერ.

ეს მართლაც უგნურება იყო, რადგან ფაფაში წყალი ისედაც საკმარისად იყო“ *(ჩარლზ დიკენსი, „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“).*

რა მინიშნებაა დაშიფრული ამ ნაწყვეტში, განათლებულ მკითხველს განმარტება არ სჭირდება.

**თავდაპირველად თანხა „იუსაიდში“ — საერთაშორისო განვითარების აშშ-ის სახელმწიფო სააგენტოში იგზავნება; იქიდან — დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნულ ფონდში (NED); აქედან ოთხ სტრუქტურაში: ამერიკის საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრში (ACILS), ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტში (NDS), კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრში (CSPE) და საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში.**

საინფორმაციო თემები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ინტერნეტს ფეიკალიზაციის ტალღამ გადაუარა

**9 მაისისთვის — დაწყებამდე და შემდეგაც — განსაკუთრებით გააქტიურდა არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი.
„ფეიკების“ ბუმი იყო.
„ფეიკი“ — სიცრუე, მოგონილი ფაქტი, წაბილწვა და გაბიაბურება ნებისმიერი სიწმინდის, ფაქტის, მოვლენის, რომელიც არა მარტო სლენგში დამკვიდრდა, როგორც ბარბარიზმი, არამედ, როგორც მეთოდი სხვისი ფულით დაკვეთილ მუსიკაზე მოხუნტრუცე, დაქირავებულ და ნასყიდ ე.წ. მესამე სექტორის ერთ ნაწილში.**


„ფეიკი“ №1


„ფეიკი“ №2


„ფეიკი“ №3

აი, იმ ერთმა ნაწილმა, პრიმიტიულმა ფუნაგორიებმა, წაბილწვა მოინდომა დიდ სამამულო ომში გამარჯვების შეწირული მეომრების ნათელი ხსოვნის.

9 მაისს გამარჯვების აღლუმის დაწყებამდე მოსკოვში ნახევარმილიონიანმა დემონსტრაციამ ჩაიარა, რომლის მონაწილეებს მიჰქონდათ თავიანთი წინაპრების, მამებისა და ბაბუების, დედებისა და ბებიების, სხვათა და სხვათა სურათები.

„უკვდავი პოლკი“ მიაბიჯებდა ფაშიზმზე გამარჯვებული ქვეყნის გულში.

**„ერთი დღე-ღამის შემდეგ კი, — წერს თავის ბლოგში ჟურნალისტი ოლეგ ლურიე, — სოციალურ ქსელებში დაიწყო ორგანიზებული აქცია „უკვდავი პოლკის“ ტალახში ამოსვრისა და გაშავების მიზნით“.**

ოპოზიციონერმა ბლოგერებმა არ დააყოვნეს, „განემარტათ“, რომ ხუთასი ათასი კაცი, „უკვდავი პოლკის“ მარშის მონაწილეები, იყვნენ სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანები, რომლებსაც დაჰპირდნენ რაღაც შეღავათებს თავიანთ სამსახურებში, რომ ისინი მოსკოვში ავტობუსებით ჩამოიყვანეს.

მაგრამ „დაპოსტილი“ ფოტოები და თითქოს ერთმანეთისგან გადაწერილი ტექსტები მამლის, ანუ „ფეიკის“ იმ ბოლოებს ჰგავდა, რომლებსაც ტყუილის მთქმელები სააშკარაოზე გამოჰყავს.

როგორ და რით გაიყიდნენ, იცით?

უპირველეს ყოვლისა, თავიანთი პრიმიტიულობით.

**ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს მიხეილ სააკაშვილის „უტყუარი“ არგუმენტები, რომლებითაც იგი ამართლებდა რეჟიმის წინააღმდეგ მოწყობილი დემონსტრაციების მონაწილეთა დარბევას: ისინი სამსახურებიდან გაყრილი წვრილ-წვრილი მოხელეები და მათი ოჯახების წევრები არიანო, და კიდევ — რუსეთის აგენტებიო. ამის გაუმჯობესებული პლაგიატი გამოიტანეს ამჯერად სოციალურ ქსელებში ადამიანის უფლებებისთვის დამაშვრალებმა.**

ავტობუსებით ხალხის ჩამოყვანაც ხომ „ნაცების“ ორგგამოცდილების არქივიდანაა. 10 ათასი ავტობუსი დასჭირდებოდა მოსკოვში ნახევარი მილიონი დემონსტრანტის ჩამოყვანას.

ტყუილი თუ არის, ანუ „ფეიკი“, ასეთი უნდა იყოს!

ახლა „მამხილებელ ფოტოებსაც“ მივხედოთ, რომლებიც ნაჩქარეობის დამღადასმულია. აშკარად.

წარმოგიდგენთ **№1** და **№2** **„ფეიკებს“**.

**ოლეგ ლურიე გვიხსნის, როგორ ემზადებოდნენ „ფეიკების“ ამ გამოფენისთვის. „რამდენიმე საათის განმავლობაში ამზადებდნენ ფანერის ჩარჩოებს, რომლებზეც ამაგრებენ პრინტერზე გამრავლებულ ფოტოსურათებს, ერთმანეთის მსგავს ლოგოტიპებს. პროვოკაციის ორგანიზატორებს თავი არ შეუწუხებიათ (ეგებ, დროც არ ჰქონდათ) გვარებისა და სახელების შერჩევით, — დამაჯერებელი რომ ყოფილიყო ასე თუ ისე. არავითარი ფანტაზია! შემოიფარგლენ ივანოვით, ბირიუკოვით და (ყურადღება!) ყარაულოვით (იხ. ფოტო №2).**

შემდეგ მოძებნეს მიყრუებული ქუჩა და რამდენიმე წუთით ხელოვნების საკუთარ ნიმუშებს სხვადასხვა რაკურსით გადაუღეს რამდენიმე კადრი და ნაყალბევი ფოტოები მზადაა.

ისე უნიჭოდ გააკეთეს ეს ყველაფერი, რომ ხელისგამცლელებისთვის არც უთქვამთ, რომ „ინფორმაცია“ ქსელებში სხვადასხვა დროს და განსხვავებული ტექსტებით უნდა დაედოთ: ეს ფოტოსურათები პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე განმარტებებით გამოქვეყნდა.

**„ფეიკი“ №3** კიდევ უფრო პრიმიტიულ ტექნოლოგიას მარტივად განგვიმარტავს ოლეგ ლურიე: „რამდენიმე ადამიანი 2-3 საათის განმავლობაში შეაგროვებს დიდი რაოდენობით ლენტებს და ერთ ადგილზე მიაქვს. მოძებნიან ნაგვის ნებისმიერ ყუთს, რომლებიც მოსკოვის ყველა ეზოში დგას, ჩაყრიან ყუთში და იქვე მიმოაბნევენ. ორი სამი ფოტო, და საქმეც გაკეთებულია!“

ამასთანავე, არც ერთ გამოქვეყნებულ ფოტოს არ აწერია, სადაა გადაღებული.

ნაყალბევია და იმიტომ.

და კიდევ იმიტომ, ეს კი მთავარია, რომ ყველაფერზე ხარ წამსვლელი, ფულს როცა გიხდიან.

რა მორალი, რა სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიისთვის ბრძოლა, თუნდაც პარტიული ინტერესები!

დემოკრატია აშშ-დან მოდის, **დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალური ფონდის მიერ დაფინანსებული და წარმართული.**

ახალი არაფერია: ეს ფონდიც ცნობილია და მისი ხელგაშლილობაც არ არის დაფარული.

წლეულს მსოფლიო დემოკრატიის სადარაჯოზე მდგარმა ამ სახელმწიფო ორგანიზაციამ 9.300.000 აშშ დოლარი გამოყო არაკომერციული, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად, რომელიც შარშანდელ მოწყალებას მილიონ სამასი ათასით აჭარბებს.

**პოლ კრეიგ რობერტსი, აშშ ფინანსთა ყოფილი მინისტრის თანაშემწე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში** ამბობს, რომ სწორედ ეს ფონდი იდგა კიევის მაიდნის უკან — არ იშურებდა სახსრებს უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

გულახდილია დიდმოხელე და სიმართლეს ამბობს: **დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალურ ფონდს დემოკრატიის განვითარება კი არ აინტერესებს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არასასურველი მთავრობების დამხობა, დესტაბილიზაციის მიზნით სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა.**

ფული ასე ნაწილდება: „240 ათასი დოლარი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად; 530 ათასი — საზოგადოების გამჭვირვალობის განსავითარებლად; 400 ათასი დოლარი — ადამიანის უფლებათა თემებზე შეხვედრების მოსაწყობად“.

**გაზეთმა „იზვესტიამ“** ამას წინათ გამოაქვეყნა 12 ორგანიზაციის სია, რომლებიც ამერიკულ გრანტებს იღებენ. მათ შორისაა არხანგელსკის **საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახელწოდებით „ლესბოსელებისა და ბისექსუალების ფსიქოლოგიური დახმარება“.**

ფსიქოლოგიური დახმარება ამერიკის ფულით!

თანხები სხვა ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებში საკმაოდ რთული სქემით გადაირიცხება.

**თავდაპირველად თანხა „იუსაიდში“ — საერთაშორისო განვითარების აშშ-ის სახელმწიფო სააგენტოში იგზავნება; იქიდან — დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნულ ფონდში (NED); აქედან ოთხ სტრუქტურაში: ამერიკის საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრში (ACILS), ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტში (NDS), კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრში (CSPE) და საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში.**

ამის შემდეგ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე ჯდება.

მიდი და სდიე!

ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა გაასაიდუმლონ სახელმწიფო დაფინანსების პირველადი წყარო. ზემოთ ჩამოთვლილი ცენტრები კერძო სტრუქტურებია, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებთან საერთო არაფერი აქვთ.

ესეც, თავისთავად, ერთი დიდი „ფეიკია“, ანუ მასშტაბური სიცრუე, რომელიც პატარა ტყუილამდეც ვერ ქაჩავს.

კერძო ორგანიზაციები სად და რისთვის ხარჯავს „თავის“ ფულს, არავის ეკითხება. მოწყალების გაცემა ყველა დროსა და ეპოქაში, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებაში ღვთისნიერ საქმედ ითვლებოდა.

რუსეთში აშშ-ის ელჩი, ბატონი **ტეფტი** კი, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ საქართველოში ელჩად ყოფნის პერიოდიდან, დაუღალავად მოგზაურობს რუსეთის რეგიონებში, ხვდება არასამთავრობოებს და ეკატერინბურგში ყოფნისას განაცხადა:

— მე ვარ პროფესიონალი დიპლომატი და ვახორციელებ ამერიკის ადმინისტრაციისა და ხალხის პოლიტიკურ მიზნებს.

რატომ ვერ ისვენებს ბატონი ელჩი? როგორც საქმეში გარკვეული ექსპერტები წერენ, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია, ანგარიში ჩააბაროს დამფინანსებელს — სად და რისთვის დახარჯა შემოწირულობა, და ბატონი ელჩიც ამოწმებს — ქარს ხომ არ გაატანეს ქარის მოტანილი?

ვინ იტყვის, რამდენად „ფეიკშემცველია“ ტეფტისთვის ჩაბარებული ანგარიშები?

„ფეიკი“ ყოველთვის ბატიფეხური პრიმიტივიზმია.

მაგრამ, როცა ისეთი მაღალპროფესიული მედიაგიგანტი, როგორიც BBC-ია, თვალს დახუჭავს და გზას მისცემს ვინმე ნატალია ანთელავას ე.წ. რეპორტაჟს, ბითურდება ამ კორპორაციის ობიექტურობაც და დღევანდელი ჟურნალისტიკაც საერთოდ.

კვინტესენცია ამ ბატიფეხურის სათაურშია გამოტანილი: **„სკოლებში მართლმადიდებლობა ევროპულ გზას საფრთხეს უქმნის“.**

არგუმენტი?

ინებეთ:

**„მართლმადიდებლური ეკლესია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმის შევსებას ცდილობს და რელიგიური რადიკალიზაცია მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური რეფორმების საპასუხოდ დაიწყო“.**

მიშას გულზე დაბნეული ღიღილო ისე მონდომებულია ქვეყანას თავსლაფი დაასხას, რომ BBC-ში გაგზავნილი შედევრის ყოველ მეორე წინადადებაში თითო „ფეიკით“ გვახალისებს.

**„...საქართველოში ახალგაზრდები ყველაზე რელიგიური და აგრესიული არიან. ეკლესიის კონსერვატიული კურსი ქვეყნის ლიბერალურ, პროდასავლურ კურსს ეწინააღმდეგება და სკოლები იდეოლოგიური ბრძოლების მინდვრები ხდება“.**

„მინდვრების“ ქართულში გენაცვალე, მთარგმნელო!

შეკითხვა: **რით ასაბუთებს, რომელი ანალიზის მოშველიებით „ბრძოლების მინდვრების“ არსებობას ავტორი?**

პასუხი: ასაბუთებს **14 წლის თბილისელი გიორგის ისტორიით... „რომელიც კლასელებმა იმის გამო სცემეს, რომ ათეისტი იყო“.**

ესეც მორიგი „ფეიკი“, რადგან ასეთი ისტორიების მოგონება ძნელი არ არის. მაგრამ **სად, რომელი ქალაქის, რომელი სკოლის, რომელ კლასში მოხდა ეს სამარცხვინო ფაქტი, ამაზე დუმს ავტორიც და ისტორიაც.**

ან რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აცხადებს ქალბატონი ანთელავა, რომ „რელიგიური უმცირესობები სკოლებში ზეწმოქმედებას განიცდიან, განსაკუთრებით, მუსლიმები და იეღოვას მოწმეები“?

ყროლი დგას ფეიკების....

ხოლო **წინადადება — „საქართველოში „რუსეთიდან ჩამოსული სამღვდელოება ყოველწლიურად რელიგიურ ბანაკებს აწყობს, რომლებშიც ანტიდასავლური პროპაგანდა მიმდინარეობს“, — ისეთი ტყუილია, რომლისაც, ალბათ, ანთელავასაც არ სჯერა.**

დასასრულ: „...ხომ არ ზრდის მართლმადიდებლური ეკლესია რელიგიურ კონსერვატორებს, რომელთა **სოფლმხედველობა** (ასეა დედანში!) ვლადიმერ პუტინის რუსეთს ემთხვევა?“

როგორ ემთხვევა მსოფლმხედველობა ქვეყანას, რბილად რომ ვთქვათ, ძნელი წარმოსადგენია.

ზბიგნევ ბჟეზინსკის მიაწერენ დებულებას, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის მთავარი მტერი მართლმადიდებლობა გახდა“.

ირწმუნებიან, მსგავსი არაფერი უთქვამსო, მოგონილია და ტყუილიო. დავიჯეროთ, რომ ასეა, მაგრამ **ხომ ფაქტია, რომ ანთელავას ეს „ცალკეული“ რეპორტაჟი ბჟეზინსკის დებულების ფარვატერს მიჰყვება?**

**P.S. იყო დრო, როცა გარდაბნელი თუ მარნეულელი მებოსტნეები მწვანილის უხვი მოსავლის მოწევის მიზნით ასენიზატორებს თბილისის ფეკალიების კოლექტორებიდან ამოტუმბული სიბინძურეებით სავსე მანქანის თავიანთ ნაკვეთში ჩამოცლისთვის ფულს უხდიდნენ.
ორგანულ სასუქად გადიოდა...**

გვერდები მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ილიას მიმართ მენშევიკების მკვეთრმა რეაქციულმა დამოკიდებულებამ 1897 წელს იჩინა თავი, როდესაც მისი დაბადებიდან 60 წლისთავი არ გადაახდევინეს საზოგადოებას. ისე შეაძულეს ხალხს ილიას სახელი, რომ დაბადების წლისთავის აღნიშვნა ვერც 1898 წელს შეძლეს, ხოლო 1903 წელს, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია ჭავჭავაძე ბრბომ კინაღამ ჩაქოლა.**

## ნაწილი II

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №18 (300)

# სტალინი და მენშევიკური მთავრობა

1917 წელს რუსეთის ერთ-ერთ განაპირა პროვინციაში ხელისუფლების სათავეში მენშევიკური მთავრობის მოსვლა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა — ეს კანონზომიერ მოვლენად ჩათვალა ქართველმა ხალხმა. **საქართველომ იწამა, რომ „ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე სასურველისაკენ და იდეალურისაკენ მიისწრაფვოდნენ, იოსებ სტალინი კი რეალურის გარდაუვალისაკენ მიდიოდა“** *(ვახტანგ გურული. „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“, გვ. 15).*

1917 წლის 1 ნოემბერს შეიქმნა ადგილობრივი მთავრობა — „ამიერკავკასიის კომისარიატი“, რომელმაც 1918 წლის 10 თებერვლამდე გასტანა და ადგილი ამიერკავკასიის სეიმს დაუთმო. აქაც თავი იჩინა პროვინციულმა აზროვნებამ და ამიერკავკასიის სეიმმაც იმავე წლის 26 მაისს არსებობა შეწყვიტა.

**აკაკი ჩხენკელი**, რომელიც ეროვნული საბჭოს სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებებს გერმანიასთან, მივიდა დასკვნამდე, რომ სრულად დამორჩილებოდა გერმანიის დიქტატს და თავის ქვეყანაში განეხორციელებია უცხო ქვეყნის ნება-სურვილი საქართველოს მომავლის განსაზღვრის საქმეში. გერმანიის მთავრობამ აკაკი ჩხენკელს მოსთხოვა, საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, რათა მას (გერმანიას) სხვა ქვეყნის საქმეში თავისუფლად ჩარევისა და თავისი ნების განხორციელების უფლება მისცემოდა.

აკაკი ჩხენკელის დავალებით, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი **ზურაბ ავალიშვილი** სასწრაფოდ დეპეშის ტექსტს ადგენს, რომელშიც წერია შემდეგი:

„გენერალ კვინიტაძეს:

**„გადაეცით საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთად ერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დაუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარის დამჭერათ ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც საჭიროა, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქმნეს ცნობილი.... გამზადებულია ხელმოსაწერად დროებითი შეთანხმება გერმანიასთან,... უცდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას“.**

თბილისიდან გაიგზავნა საპასუხო დეპეშა:

**„დამოუკიდებლობა გამოცხადებული იქნება ხვალ, 26 მაისს“.**

უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სულაც არ შედიოდა ქართველი მენშევიკების გეგმაში. როგორც ზემოთ ითქვა, მათთვის ეროვნული საკითხი არ არსებობდა. წუთითაც არ ფიქრობდნენ რუსეთიდან საქართველოს ჩამოცილებას, თუკი იქ მენშევიკური მთავრობა იბატონებდა. მაგრამ, ჯერ იმის გამო, რომ რუსეთში ბოლშევიკები მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, ხოლო, უფრო კი იმის გამო, რომ ოსმალეთის აგრესიამ საქართველო აშკარა ოკუპაციის საფრთხის წინაშე დააყენა, იძულებულნი შეიქნენ, მიეღოთ გერმანიის რჩევა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.** „ეს აღიბეჭდა კიდეც მენშევიკურ „დამოუკიდებლობის აქტში“, საცა, აღფრთოვანების მაგიერ, ტირილი და ბოდიშებია... რუსეთის წინაშე“ (რ. გაბაშვილის მემუარები, გვ. 189).

მოვლენების აქტიური მონაწილე **რევაზ გაბაშვილი** (მწერალ ეკატერინე გაბაშვილის უფროსი ვაჟი) ასე აღწერს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტს თავის მემუარებში: **„კაკი წერეთელი გულშეწუხებული ჩავარდა სავარძელში და გაჰკიოდა ისტერიკულად: „რას შვებით, თქვენ ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას“.**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში, მენშევიკური უმრავლესობის მიერ სამგლოვიარო ატმოსფეროში აღინიშნა რუსეთთან საქართველოს ძალაუნებური ჩამოცილების გამო. გაიხარა მხოლოდ ხალხმა. როცა მთავრობის სახლის აივნიდან ეს აქტი გამოაცხადეს, იქ შეკრებილი მრავალათასიანი საზოგადოება ტაშის გრიალითა (გაუთვიცნობიერებლად) და სიხარულის ცრემლებით შეხვდა ამ ისტორიულ აქტს“ (რ. გაბაშვილის მოგონებიდან „დაბრუნება“).

რაც შეეხება **ნოე ჟორდანიას** მიერ წარმოთქმულ სიტყვას, მიძღვნილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი, აქვე გთავაზობთ:

„მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაღიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია, ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა და, თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა. საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღსდგება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილიდან დაიფაროს თავისი თავი და, როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში... ჩვენ გვსურს, ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა — ქართველობა. ეს ერნი, შეერთებულნი ერთი დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშე იმყოფებიან და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაღუპულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი“.



**შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო ქვეყნის მეთაურისა და პირველ პრეზიდენტად წოდებული ნოე ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც რევაზ გაბაშვილს თავისი მოგონებების 127-ე გვერდზე აქვს გამოქვეყნებული:**

**„თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერა“ — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს“.**

**თუ ნოე ჟორდანიას ამ გამოსვლას კიევიდან ბეჭედდასმულ და მენშევიკური ლიდერების ხელდასმულ რუკასაც დავუმატებთ, სადაც ნოე ჟორდანიას ზემოაღნიშნული სიტყვები რუკაზეც არის აღნიშნული და მიყოლებულია მთელი სამხრეთ საქართველო, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს არა მოლაყბე და უმაქნის ადამიანებთან, არამედ სახელმწიფო დამნაშავეებთან, რომლებმაც სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაკოტრებამდე მიიყვანეს საქართველო. და ეს ყველაფერი ხდებოდა არა იდეათა და აზრთა დაჯახების ფონზე, არამედ პირადი მტრობის საბაბით, რომელსაც შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობა.**

მარჯვენა ხელით რუსეთის ხელისუფლებასთან ბრძოლა და მარცხენათი რუს ხალხთან მეგობრობა — ეს არის მენშევიკური ხელისუფლების ძირითადი ფორმულა. **რუსეთისადმი გაორებული მიდგომისა და დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია მოგონებათა ავტორის, რევაზ გაბაშვილის და იროდიონ სონღულაშვილის დაპირისპირება ექვთიმე თაყაიშვილთან ეროვნული საგანძურის საკითხზე.**

„მე და იროდიონ სონღულაშვილი დაგვიბარა ექვთიმე თაყაიშვილმა და გვითხრა: „ქართული მუზეუმის ყველაზე ძვირფასი — ისტორიულად და არა საფასურით — ნივთები, უნდა ჩავაწყოთ ყუთებში და საჩქაროთ წავიღოთ კიევში, — „თათრებს არ დარჩეს“-ო. ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა და კარგებიც ვაკადრეთ, ილომ კი ამ ყოვლად უწყინარმა და ჩუმმა „არისტიდმა“ მშვიდად და მტკიცედ მოახსენა: „ბატონო ექვთიმე, — რაკი ის ჯიუტად მოითხოვდა მისგან, როგორც მოწაფისა და მუზეუმის მსახურისაგან, — მხოლოდ ჩემს გვამზე თუ გადაიტანთ მუზეუმიდან თუნდაც ერთ ნივთსო. მართლაც, ჩვენი წარმოდგენით და ხელშეკრულების ძალით, ოსმალები და გერმანელები მოდიოდნენ ჩვენს გასათავისუფლებლად რუსეთისაგან და ექვთიმე თაყაიშვილი ამ დროს აპირებდა საქართველოს ეროვნული საუნჯის გატანას რუსეთში. დიდი კამათის შემდეგ, ილოს წინადადებით გადავწყვიტეთ კუბოს მინაგვარი ყუთების გაკეთება და ეროვნული საუნჯის დაფვლა — დიღომში, ილოს სოფელსა და მამულში, რომ საომარ არეულობაში არაფერი დაკარგულიყო...

**იქნებ ვცდები, მაგრამ მერე, რომ „ჩვენმა მთავრობამ“ გაიტაცა მუზეუმის ქონებაც და ბევრი სხვაც — მგონია, ამ კუბო ყუთებით გამოატანა ე. თაყაიშვილს საფრანგეთში. დიდი ნაწილი გაფლანგა და დანარჩენი იმავე თაყაიშვილიანად „დაუბრუნა“ ბოლშევიკებს** (რ. გაბაშვილი, „დაბრუნება“, გვ. 126).

მენშევიკური ელიტისათვის საერთოდ მიუღებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მათი ლიდერები, უპირველესად კი — ილია ჭავჭავაძე. მენშევიკების პოლიტიკური ძალა, რომელიც უპირობოდ მოვიდა ხელისუფლებაში, ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა რევოლუციის წინა პერიოდში. მას ანგარიშს მეფის მთავრობაც კი უწევდა.

1907 წელს წიწამურთან მომხდარმა ტრაგედიამ შეძრა სრულიად საქართველო. საქართველოს გარეთ მყოფი ქართველები თუ არაქართველები სასოწარკვეთამდე იყვნენ მისულნი. სწორედ სოციალ-დემოკრატების მიერ ილიასთან გამართულმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ დაატრიალა წიწამურთან საუკუნის ტრაგედია.

მთაწმინდაზე რამდენიმე ასეული კაცის თანდასწრებით მენშევიკმა **კარლო ჩხეიძემ** შემდეგი სიტყვებით მიმართა კუბოში ჩასვენებულ ილიას:

„ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სულაც არ შედიოდა ქართველი მენშევიკების გეგმაში. როგორც ზემოთ ითქვა, მათთვის ეროვნული საკითხი არ არსებობდა. წუთითაც არ ფიქრობდნენ რუსეთიდან საქართველოს ჩამოცილებას, თუკი იქ მენშევიკური მთავრობა იბატონებდა, მაგრამ ჯერ იმის გამო, რომ რუსეთში ბოლშევიკები მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, ხოლო, უფრო კი იმის გამო, რომ ოსმალეთის აგრესიამ საქართველო აშკარა ოკუპაციის საფრთხის წინაშე დააყენა, იძულებულნი შეიქნენ, მიეღოთ გერმანიის რჩევა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.**



საქართველოს პარლამენტი 1918 წლის 26 მაისი



დამოუკიდებლობის აქტი

**საქართველოს ისტორიის დაწერის ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ სტალინისგან მოდიოდა და, როდესაც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა, თავიანთი ნებისა და გემოვნების მიხედვით, არასრულყოფილად შეადგინეს საქართველოს ისტორიის წიგნის მაკეტი, სადაც ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოღებული უნდა ყოფილიყო ან დამახინჯებით მიეწოდებინათ მოვლენები, სტალინმა მკაცრად გააფრთხილა სამივე დიდი მეცნიერი და მოუწოდა, პირუთვნელად ეწერათ თავიანთი ქვეყნის ისტორია**

◀ მე იტყვის: თითქოს ჩვენ, ყველანი ერთნაირად ვუყურებდეთ შენს წარსულს. ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას... დაე, გაქონ და გადიდონ შოვინისტებმა, როგორც მამულიშვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევურიგდებით ასეთების ქებათაქებას“.

ეს სიტყვა ქართულმა „მოწინავე“ საზოგადოებამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მიიღო. ორმოცი დღის გასვლიდან მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, ნოე ჟორდანია გაზეთ „ჩვენ გზაში“ მართალია, უარყოფდა ილიას მკვლელობასთან კავშირს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხის განწყობა და ტრაგედიისათვის ნიადაგის მომზადება მხოლოდ სოციალ-დემოკრატების უდიდესი დამსახურება იყო. ალოგიკურ და პოპულისტურ გამოსვლას ამთავრებდა სიმართლესთან სრულიად შეუფერებელი გამოთქმით: **„სადაც ხეები იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“. ვაი, რომ შემდგომში ქვეყანას სათავეში ჩაუდგა კაცი, რომელიც ილიას ნაფოტს ადარებდა, თავისი თავი კი პირველ ქართველად და პირველ პოლიტიკოსად წარმოედგინა.**

ილია ჭავჭავაძე საფლავში „ერის მამად“, „წმინდა ილიად“ ან „ილია მართალის“ წოდებით არ ჩაუსვენებიათ. მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ აღიმაღლა ხმა, რომელმაც თავისი ძალუმი ხმით წამოიძახა, რომ საქართველოს მოუკვდა მამა ილია ჭავჭავაძის სახით. ეს ის ვაჟა-ფშაველაა, რომელსაც „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და თვით ილია ჭავჭავაძემ, მიუხედავად ვაჟას არაერთი მუდარისა, მშიერ-მწყურვალი ცოლ-შვილი შეიძლება ამომიწყდესო, სოფელ თონეთში რიგითი მასწავლებლობაც ვერ შეუნარჩუნეს.

**ილიას მიმართ მენშევიკების მკვეთრმა რეაქციულმა დამოკიდებულებამ 1897 წელს იჩინა თავი, როდესაც მისი დაბადებიდან 60 წლისთავი არ გადაახდევინეს საზოგადოებას. ისე შეაძულეს ხალხს ილიას სახელი, რომ დაბადების წლისთავის აღნიშვნა ვერც 1898 წელს შეძლეს, ხოლო 1903 წელს, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია ჭავჭავაძე ბრბომ კინაღამ ჩაქოლა.**

1914 წელს ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე ასეთი აზრიც კი გამოთქვა მომხსენებელმა: „ილიას ძველი საქართველო დამარცხდა, ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო. ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგიაც“.

**„ილია დარჩა მარტოდმარტო, უმწეო, უამხანაგო, უკარისკაცო და მარტოდმარტო დაიღუპა“, — ასე შეაფასა დამოუკიდებელი საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლი და გულანთებული პატრიოტი ილია ჭავჭავაძე საქართველოს დამოუკიდებლობის უარმყოფელმა და საქართველოს შავ ბაზარზე გასაყიდად გამომტანმა უღღეურმა მენშევიკურმა მთავრობამ.**

მენშევიკური ხელისუფლების მრავალწლიანმა პროპაგანდამ გაჭრა და ხალხი ილია ჭავჭავაძეს ასეთი ეპითეტებით ამკობდა: „თავად-აზნაურობის იდეოლოგი“, „რეაქციონერი“, „გლეხობის მჩაგვრელი“, „სასტიკი მემამულე“ და სხვ.

ამ იარლიყების შეცვლა არც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში უცდიათ, რადგან ბოლშევიკურ ხელისუფლებაშიც ბევრი იყო მენშევიკური აზროვნების ადამიანი, რომლებიც ძველ პოზიციებს არ თმობდნენ, თანაც მათ ჰყავდათ ისეთი ძლიერი მფარველები, როგორებიც იყვნენ **ლენინი და ტროცკი.**

„ხალხს ახსოვდა თავისი წინამძღოლის — ნოე ჟორდანიას სიტყვები: „ჩვენი წარსული ეროვნული ცხოვრება სირცხვილის დაგმობისა და უარყოფის გარდა სხვა არაფრის ღირსი არაა“, — წერს **ომარ გოგიაშვილი** წიგნში „ილია დღეს“ (გვ. 317). ამავე წიგნში ავტორი აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს გმირობად უთვლის, რომ მან გაბედა და სტალინის ეპოქაში ქართველი ერის ისტორია დაწერა. **ბატონ ომარს უნდა შევახსენო, რომ საქართველოს ისტორიის დაწერის ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ სტალინისგან მოდიოდა და, როდესაც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა, თავიანთი ნებისა და გემოვნების მიხედვით, არასრულყოფილად შეადგინეს საქართველოს ისტორიის წიგნის მაკეტი, სადაც ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოღებული უნდა ყოფილიყო ან დამახინჯებით მიეწოდებინათ მოვლენები, სტალინმა მკაცრად გააფრთხილა სამივე დიდი მეცნიერი და მოუწოდა, პირუთვნელად ეწერათ თავიანთი ქვეყნის ისტორია**. აი, ამის შემდეგ გაჩნდა ისტორიის სახელმძღვანელოში ვრცელი მიმოხილვა დავითისა და თამარის ეპოქებზე, სააკაძისა თუ სხვა პიროვნებათა ღირსებებზე. ასე რომ, ბატონო ომარ, გმირობად ნუ ჩათვლით ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიის შექმნას. მეცნიერი, რომელიც მენშევიკების აქტიური მხარდამჭერი იყო და 1921 წელს კრემლის წინააღმდეგ უნივერსიტეტის ახალგაზრდებს კრემლის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა, სტალინმა გადაარჩინა შურისძიებით აღვსილი ქართველი ბოლშევიკების რისხვისგან და უმაღლეს სამეცნიერო და სახელისუფლო კვარცხბეკზე აიყვანა. თქვენ წერთ:

„ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული და მოქალაქეობრივი გმირობის ფასი რომ წარმოვიდგინოთ, უნდა გავიაზროთ, რომ ქართველი ერის ისტორიის უმთავრესი კვლევა სტალინის ზეობის პერიოდში მიმდინარეობდა“.

და მერე რა, ბატონო ომარ, ეს კარგი იყო თუ ცუდი? ეს გმირობა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის თუ იოსებ სტალინს? ივანე ჯავახიშვილს უნდა ეწერა, როგორც მეცნიერს, სტალინს კი უნდა დაებეჭდა, როგორც ხელისუფალს. რომელმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა? — მგონი, ორივემ კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა. მაშ, რატომ ერთს — გმირობა და მეორეს — „ვირობა“?

წიგნისა და ავტორის ნაკლად უნდა მივიჩნიო, რომ ამ უზარმაზარ ისტორიულ კვლევაში, რომელიც სამ წიგნად (ტომად) არის გამოცემული და უნიკალური ზღვა მასალაა დამუშავებული და გადმოცემული უკვდავი ილიას შემოქმედების შესახებ, სტალინი მხოლოდ იმ ერთი სიტყვით არის წარმოდგენილი, რომელიც ზემოთ წიგნიდან ამოღებულ ამონარიდშია.

უახლესი ისტორიის მეცნიერი და მკვლევარი **ვახტანგ გურული**, თავის შრომებში ფართოდ მიმოიხილავს სტალინის როლს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწორად შეფასებაში და ილიას გავლენას სტალინის სოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

„ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ ტაქტსა და თავშეკავებას იჩენდა. იგი არც 1901-1904 წლებში და არც შემდგომ პერიოდში ილიას წინააღმდეგ წამოწყებულ ბინძურ კამპანიაში არ ჩაბმულა. ილიას მიერ ხელდასხმულ მოღვაწეს კარგად ესმოდა ერის მამის დამსახურება, მისი ადგილი საქართველოს ახალ ისტორიაში“ (ვ. გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“, გვ.12)

ბევრ შემთხვევაში ილიას გავლენა სტალინზე აშკარად იგრძნობა. იგრძნობა ისეთი რთული და ფილოსოფიური საკითხებისადმი მიდგომაში, როგორც არის ერი და ეროვნება, რომელიც 1913 წელს სტალინმა ჟენევაში ჩამოაყალიბა. როგორც პროფესორი ვ. გურული შენიშნავს **„უფრო მეცნიერული უფრო დასაბუთებული და არაწინააღმდეგობრივი ვერავინ ვერაფერი მოიაზრა“.** ერის განსაზღვრების საკითხში სტალინს რატომღაც ქართველების მაგალითი მოჰყავს:

**„რეფორმამდელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი, არსებითად, ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებულნი იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად, არ შეეძლოთ, საერთო ეთნიკური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთი მეორეს უსისინებდნენ სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ზედაპირულ ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრობის ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიკური დაქუცმაცების პირობებში... საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიკის მომძლავრებამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ გაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“ (სტალინი. „თხზულებანი“, ტომი II, გვ. 317-318)**

ახლა კი ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ, სტალინის უახლოეს და დიდ წინაპარს:

**„ქართველები არ არიან, მაშ, რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონნი, — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის ოჯახისშვილნი? თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?.. აბა, დაიძახე, ქართველი-თქო, თუ შავის ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო... თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მათ თვითოეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თითოეული ჩვენგანის ჭკვამ, გონება, ფიქრი, გრძნობა, და სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის. მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის, ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის, ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: მე თუ შენ, შენ თუ მე და ორივენი ერთად კი არაო“.**

მკითხველო! ალბათ, მიხვდით, რომ ეს ორი ამონარიდი ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც წყლის ორი წვეთი. და, ალბათ, სტალინმაც შორეულ ვენაში 1913 წელს სწორედ თავისი დიდი წინაპრისა და მასწავლებლის „კონსპექტი“ გაიყოლა, რომლითაც შეიქმნა გენიალური ნაშრომი ეროვნულ საკითხზე. სტალინისა და ილია ჭავჭავაძის განმარტებებიდან ჩანს, რომ ისინი ერთი ძუძუთი იკვებებიან და ერთი წყაროთი საზრდოობენ. ისინი ერთი სამრეკლოდან რეკენ!

გაგრძელება იქნება

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისლამური სახელმწიფოს“ მმართველობის სისტემა დიდხანს ვერ გაუძლებს ამგვარ ზეწოლას. ისლამისტები ასე თუ ისე აკონტროლებენ მხოლოდ დიდ ქალაქებს, სოფლებს კი თვეში რამდენიმეჯერ მხოლოდ იმისთვის აკითხავენ, რომ ლექცია წაიკითხონ და მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საჩუქრები დაარიგონ.**

# «ისლამური სახელმწიფო» პრობლემების წინაშე

**2015 წლის იანვრის ბოლოს აბუ თალხა ალ-კუვეიტი — შარიათის პოლიციის უფროსი „ისლამური სახელმწიფოს“ სირიულ დედაქალაქ რაკაში — მილიონობით დოლარი ნაღდი ფულით სავსე ჩემოდნით რვა პირად მცველთან ერთად თურქეთის მიმართულებით გაუჩინარდა. ქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდა, დაიწყო მასობრივი დაკავებები; გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალ-კუვეიტი რაკას ყოფილ გუბერნატორ აბუ-ლუკმანთან ერთად აპირებდა გადატრიალების მოწყობას, „ისლამური სახელმწიფოსგან“ გამოყოფას და საკუთარი ემირატის შექმნას. შარიათის პოლიციის ახალმა უფროსმა აბუ ალ-ჰუზაიფა ბალიჯიკიმ ქალაქის გაწმენდა დაიწყო. გამოძიების პროცესში აღმოჩნდა, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ არც ისე კარგად აქვს საქმე, როგორც პროპაგანდიდან ჩანს.**







როდესაც 2014 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ბოევიკებმა უზარმაზარი ტერიტორიები დაიტაცეს, ყველას ეგონა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ნამდვილი სახელმწიფო გახდებოდა და შეძლებდა ყველა აუცილებელი ფუნქციის შესრულებას — მხარს დაუჭერდა ეკონომიკურ სტაბილურობას და შიგა უსაფრთხოებას, უზრუნველყოფდა ისლამისტებისთვის მისაღები კანონის უზენაესობას.

ბოევიკების მიერ რაკას, მოსულისა და დეირ-ეზ-ზორას ხელში ჩაგდებისთანავე ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ **ისლამურმა ადმინისტრაციამ საოცრად სწრაფად აღადგინა წყალსადენი და ელექტროგადამცემი ანძა. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ამოავსო ხელისუფლების ვაკუუმი და საკუთარ თავზე აიღო სურსათით, ენერგიით, წყლით მომარაგება, ქარხნების ამუშავება, ნაგვის გატანა, დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და სკოლების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.**

მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე და გაირკვა, რომ ისლამისტებს ბრძოლა გაცილებით უკეთ გამოსდით, ვიდრე სახელმწიფოს მართვა.

„ისლამურ სახელმწიფოში“ ადგილობრივი მმართველობის სისტემა შედგება ორი განშტოებისაგან: პირველი არის ადმინისტრაციული, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოებაზე, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაზე, განათლებაზე, თემთა შორის ურთიერთობებისა და ორივე არსებული პოლიციის (ისლამური, რომელსაც ევალება სახალხო უსაფრთხოება, და შარიათის, რომლის მოვალეობაა „ღირსებებისა და მანკიერებებთან ბრძოლის წახალისება, დაუმორჩილებლობის აღკვეთა და მუსლიმანებისთვის სწორი ქცევისკენ ბიძგის მიცემა“) კონტროლზე. შარიათის პოლიცია და მისი ქალთა ფრთა „ხანსა“ თვალყურს ადევნებს, რომ ლოცვების დროს არ მუშაობდეს მაღაზიები, არ ყიდდნენ და არ მოიხმარდნენ ნარკოტიკებს; ისინი ანადგურებენ აკრძალულ პროდუქტებს, ასევე მუსიკალურ ინსტრუმენტებს, სიგარეტებს და სხვ.; დაუშვებელ ქმედებებში მხილებულთ გადასცემენ სასამართლოს — დივან-ალხისბას. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური მართლმსაჯულება უკიდურესად დაუნდობელია, მისი არსებობის ფაქტი თუნდაც მოჩვენებითი წესრიგის არსებობის გარკვეულ გარანტიას იძლეოდა.

**ბოლო დროს სულ უფრო ხშირად საუბრობენ შარიათის პოლიციის კორუმპირებულობაზე, რომ ის მთლიანად გადაერთო ფულის შეგროვებაზე და ნამდვილი ნადირობა გააჩაღა. ხშირად მის გვერდით დგას ისლამური პოლიციაც და ისინი ერთად აიძულებენ მოსახლეობას, იხადონ დამატებითი გადასახადები, მაგალითად, რელიგიური გადასახადი ღარიბთა სასიკეთოდ.**

პოლიციამ, ფაქტობრივად, შავი ბაზრის მონოპოლიზება განახორციელა, კონფისკაციის შემდეგ ოფიციალურად აკრძალული საქონელი მათ მიერ იატაკქვეშ იყიდება და, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფულიანი ადამიანები, მუსლიმანები იქნებიან ისინი, ქრისტიანები თუ ებრაელები, ისლამურ სახელმწიფოშიც მშვენივრად გრძნობენ თავს. „ხისბას“ ადგილობრივი ხელმძღვანელები წვრილმანი ფეოდალებივით იქცევიან და კანონს საკუთარი საჭიროებისამებრ ატრიალებენ, ხანდახან კი პოლიტიკური დამოუკიდებლობის გეგმებსაც ამუშავებენ.

ადგილობრივი მმართველობის მეორე შტო — საზოგადოებრივი მომსახურებების ისლამური ადმინისტრაცია — პასუხისმგებელია წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდებაზე, სურსათის ფასების რეგულირებაზე, სოფლის მეურნეობის მართვაზე, საკვანძო საწარმოების მუშაობაზე. აქ ბოევიკები იძულებულნი არიან, სირიისა და ერაყის ადმინისტრაციების ძველი კადრებით იმუშაონ, მაგრამ ამ ადამიანებს სათანადოდ ვერ უხდიან ფულს, ამიტომ ბევრი მათგანი მიდის სამთავრობო ჯარების კონტროლს დაქვემდებარებულ ქალაქებში და იღებს ფულს, რომელსაც ბაღდადი და დამასკო ძველებურად ურიცხავს, ბოევიკები კი იძულებულნი არიან, თვალი დახუჭონ.

რთული მდგომარეობაა ჯანდაცვის სისტემაში. **„ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა მიისაკუთრეს საუკეთესო საავადმყოფოები და სისხლის ბანკი საკუთარი საჭიროებებისათვის, მაგრამ სისხლი საკმარისი არ არის, ამიტომ დამკვიდრდა ახალი წესი — ყველა, ვინც „ისლამურ სასამართლოში“ მოხვდება, პირველ რიგში, ნახევარ ლიტრ სისხლს აბარებს დაჭრილი ბოევიკებისთვის.**

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე მარცვლეულის საცავი დაიცალა, პური, გასული წლის სექტემბერთან შედარებით, ერთ-ნახევარჯერ გაძვირდა, ბრინჯი — შვიდჯერ. რეგულარულად იპარავენ მარცვლეულსა და საქონელს და შავ ბაზარზე სამმაგ ფასად ყიდიან. ახლო მომავალში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან ბევრი გლეხი გაიქცა საბრძოლო მოქმედებების ზონიდან და მათი მიწები არავის დაუთესია.

დიდ ქალაქებში მოსახლეობას წყალი და სინათლე დღეში რამდენიმე საათით მიეწოდება, ადამიანები იძულებულნი არიან, გენერატორები ჩართონ, მაგრამ საწვავი ძალიან ძვირია.

**ამ სავალალო მდგომარეობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს; პირველ რიგში, — კვალიფიციური კადრების უკმარისობა. „ისლამური სახელმწიფო“ ცდილობს, პრობლემა როგორმე მოაგვაროს და ახალგაზრდები მაინც დაასაქმოს. ხალიფა ალ-ბაღდადმა პირადად მოუწოდა უცხოელ მუსლიმან მეცნიერებს, ექიმებს, ინჟინრებს, რომ ჩავიდნენ და დაეხმარონ სახელმწიფოს მშენებლობაში.**

ბოევიკების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე უკიდურესად გართულებულია ეკონომიკური მოღვაწეობა: მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები განაპირობებს ფასების მკვეთრ ზრდას ძირითად საქონელზე და უამრავი გადასახადით დამძიმებული მოსახლეობა, ფაქტობრივად, ვეღარაფერს ყიდულობს. აფთიაქებში წამლების მარაგები იწურება, სადაზღვევო სისტემა აღარ მოქმედებს, რადგან ბოევიკებს არ სურთ, ვინმე დაზღვეულად გრძნობდეს თავს, როდესაც ყველაფერი ალაჰის ხელთაა. წყალსადენის, ელექტროქსელისა და სხვა დაძველებული სისტემები მუდმივ კვალიფიციურ მომსახურებასა და სათადარიგო ნაწილებს საჭიროებს, რომლებსაც ბოევიკები ვერ გააჩენენ.

ამ ყველაფერს ემატება ის ავიადარტყმები, რომელთა ძირითად სამიზნეს სამოქალაქო ინფრასტრუქტურა არ წარმოადგენს, მაგრამ ხშირად მაინც აზარალებს მას. „ისლამური სახელმწიფო“ იძულებულია, ეს ზარალიც საკუთარი სახსრებით აანაზღაუროს.

**„ისლამური სახელმწიფოს“ მმართველობის სისტემა დიდხანს ვერ გაუძლებს ამგვარ ზეწოლას. ისლამისტები ასე თუ ისე აკონტროლებენ მხოლოდ დიდ ქალაქებს, სოფლებს კი თვეში რამდენიმეჯერ მხოლოდ იმისთვის აკითხავენ, რომ ლექცია წაიკითხონ და მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საჩუქრები დაარიგონ.**

„ისლამური სახელმწიფოში“ თანამდებობებზე კანდიდატები ნათესაური ნიშნით ან შეიხისა თუ კლანის მიმართ ლოიალობის დონით ინიშნებიან.

**თუ „ისლამური სახელმწიფო“ კოალიციის დარტყმებს გადაურჩება, კლანებს შორის საპირწონეებისა და შეკავების ტრადიციული სისტემის მოშლის შემთხვევაში, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარების შემდეგ დაიწყება ახალი ომი ყოფილ საველე მეთაურებსა და შეიხებს შორის და ეს ახლანდელზე უფრო დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა იქნება.**

warandpeace.ru

მოკლედ




## ევროკავშირი ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ოპერაციას იწყებს



**ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის მთავრობებმა შეათანხმეს სამხედრო ოპერაციის დეტალები. მათი მიზანია აზიიდან და აფრიკიდან არალეგალი მიგრანტების გადაყვანით დაკავებულ კონტრაბანდისტებთან ბრძოლა.**

საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების გადაწყვეტილებით, ევროპის ქვეყნების სამხედრო ფლოტი უკანონო მიგრაციის ყველაზე გავრცელებულ მარშრუტებზე კონტროლს დაამყარებს. ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი კომისრის — ფედერიკა მოგერინის განცხადებით, ინიციატივა გულისხმობს ხმელთაშუაზღვაში კონტრაბანდისტთა ქსელის განადგურებას. მათ შორის განადგურდება კონტრაბანდისტთა ნავები.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთი ძარცვავს დანარჩენ მსოფლიოს, ახლა კი საკუთარ საზღვრებში დაიწყო მოროდიორობა და „ასუფთავებს“ ირლანდიასა და საბერძნეთს, თან თვალი ესპანეთისა და პორტუგალიისკენ უჭირავს. თვით ამერიკელი ხალხიც კი იქცა ძარცვის ობიექტად.**

პოლ კრეიგ რობერტსი:

# ვაშინგტონი გონს მოსვლას იწყებს

**გამარჯვების დღის დღესასწაულის ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ რუსეთს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ეწვია. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა მრავალი ვარაუდი, რადგან ჯერ კიდევ 9 მაისს მან ცუდად მოიხსენია რუსეთი, ორი დღის შემდეგ კი ვიზიტის შესახებ დაიწყო მოლაპარაკება. პუტინი დათანხმდა მას 12 მაისს შეხვედრაზე. ამის ახსნა იმითაც შეიძლება, რომ ვაშინგტონი გონს მოსვლას იწყებს.**



ჯონ კერი



პოლ კრეიგ რობერტსი

**გამარჯვების აღლუმზე პუტინის გვერდით მჯდომი ჩინეთის პრეზიდენტის გამომეტყველებამ ობამას რეჟიმის ყველაზე დებილი წარმომადგენლებიც კი დაარწმუნა, რომ ვაშინგტონი უკვე აღარ წარმოადგენს ერთადერთ ზესახელმწიფოს**

თუკი ტელევიზიით უყურეთ წითელ მოედანზე გამართულ სამხედრო აღლუმს გამარჯვების დღის აღსანიშნავად, აუცილებლად მიხვდებოდით, რომ ზეიმი მძლავრ იდეურ დატვირთვას მოიცავდა. ეს იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთი არის პირველი კლასის სამხედრო სახელმწიფო და რომ ის ეყრდნობა ჩინეთისა და ინდოეთის მხარდაჭერას, ქვეყნებისა, რომელთა ჯარისკაცებიც რუს ჯარისკაცებთან ერთად მარშით დადიოდნენ აღლუმის დროს.

ამრიგად, **იმ დროს, როდესაც დასავლეთი, რომელიც სულ უფრო მეტად წყდება რეალობას და სულ უფრო ღრმად ეფლობა საკუთარი „დიდებულების“ იდეაში, ზიზღით განერიდა ჰიტლერზე გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობას, მოსკოვში მსოფლიოს სამი უდიდესი ქვეყანა შეიკრიბა.** რუსეთს ყველაზე დიდი ტერიტორია აქვს, ჩინეთსა და ინდოეთს — დიდი ტერიტორიებთან ერთად — მსოფლიოში ყველაზე მეტი მოსახლეობა ჰყავთ.

მოსკოვში ჩატარებულმა ზეიმმა აჩვენა, რომ ვაშინგტონი სამარცხვინოდ ჩაიჭრა თავისსავე მცდელობებში რუსეთის იზოლირების მიმართ. **გამარჯვების აღლუმზე პუტინის გვერდით მჯდომი ჩინეთის პრეზიდენტის გამომეტყველებამ ობამას რეჟიმის ყველაზე დებილი წარმომადგენლებიც კი დაარწმუნა, რომ ვაშინგტონი უკვე აღარ წარმოადგენს ერთადერთ ზესახელმწიფოს.**

ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავს ეს ამერიკული იმპერიის ერთადერთი საყრდენის — ევროპის ვასალური სახელმწიფოებისთვის. ევროპელებმა მშვენივრად იციან, რომ ისტორიის მანძილზე ორი უმძლავრესი სამხედრო ზესახელმწიფო დამარცხდა რუსეთში შეჭრის შემდეგ. ნაპოლეონმა რუსეთში დაკარგა თავისი დიადი არმია, ჰიტლერმა კი — თავისი ვერმახტი.

ევროპელების ცნობიერებამდე, როგორც იქნა, მივიდა, რომ მათ რუსეთთან კონფლიქტში ითრევენ ვაშინგტონის ინტერესებიდან გამომდინარე, ვაშინგტონისა, რომელსაც მსოფლიო ჰეგემონობა სურს. ევროპელები, რა თქმა უნდა, მიჩვეულნი არიან ვაშინგტონის მიმართ მორჩილებას, მაგრამ, როდესაც მათ ძალით ითრევენ რუსეთის წინააღმდეგ ომში, უკმაყოფილების გამოხატვას იწყებენ. საგარეო პოლიტიკაში გამოჩნდა დამოუკიდებლობის პირველი ნიშნები — მერკელი და ოლანდი შეხვდნენ პუტინს უკრაინის კონფლიქტის მოგვარებისთვის, კონფლიქტისა, რომლის რეჟისორიც ვაშინგტონი იყო.

შეეჯახა რა რუსეთის იზოლაციის საკუთარი პოლიტიკის მარცხს და ევროპის ქვეყნებში საგარეო პოლიტიკაში დამოუკიდებლობების გამოვლინებებს, ვაშინგტონმა კერი გაგზავნა პუტინთან უკრაინის კრიზისის დეესკალაციისთვის ნაბიჯების შემუავების სათხოვნელად. პუტინმა ვაშინგტონს ნება დართო, მშვიდობისმყოფელის რანგში „შეენარჩუნებინა სახე“, მაგრამ ეს ძალიან არ მოეწონათ ამერიკელ ნეოკონსერვატორებს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ლობისტებსა და სპეცსამსახურებს. მათ უზარმაზარი სახსრები ჩადეს პოლიტიკაში „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და უზარმაზარ შემოსავლებს ელოდნენ ახალ-ახალი ცივი ან ცხელი ომებისგან.

**ობამას, კერისა და კემერონს მოუწევთ, ჯადოქრებად იქცნენ. ისინი იძულებულნი იქნებიან, რაღაც მაგიური ხერხებით პუტინის დემონიზირებით დაკავებული გააფთრებული მტრებიდან „კოლეგებად“ გარდაიქმნან და მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.** რუსეთზე ძალოვანი მეთოდებებით მოქმედებაში ჩაფლავებული დასავლეთი ახლა მოტყუების მეთოდს გამოიყენებს. თუ დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებს სურთ, რომ ვაშინგტონის პოლიციურმა სახელმწიფომ, რომელმაც მარწუხები შემოუჭირა მთელ დასავლურ მსოფლიოს, შეარბილოს ეს მოჭერა, უნდა ილოცონ, რომ პუტინი არ დაემორჩილოს აშშ-ის მხრიდან მოხიბვლის მცდელობებს.

სინამდვილეში, **დასავლეთი არ არის მსოფლიო ლიდერი და არ შეიძლება ამის პრეტენზია ჰქონდეს. იქ მხოლოდ ეგოიზმი და ქედმაღლობა მეფობს. დასავლური „ლიდერობა“ მხოლოდ საყოველთაო და დაუნდობელ ექსპლოატაციაში გამოიხატება.** დასავლეთი ძარცვავს მთელ დანარჩენ მსოფლიოს, ახლა კი საკუთარ საზღვრებში დაიწყო მოროდიორობა და „ასუფთავებს“ ირლანდიასა და საბერძნეთს, თან თვალი ესპანეთისა და პორტუგალიისკენ უჭირავს. თვით ამერიკელი ხალხიც კი იქცა ძარცვის ობიექტად.

„დემოკრატიული კაპიტალიზმის“ დასავლური მოდელი, როგორც გაირკვა, არც დემოკრატიულია და არც კაპიტალისტური. ეს არის ფაშიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელსაც სათავეში ოლიგარქია უდგას. ახლა ნამდვილად მნიშვნელოვანი ამ რეჟიმის შეცვლაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

cont.ws

# სად მიიყვანს ევროკავშირს ნეოკოლონიზაციის პოლიტიკა

**კარგა ხანია, აღმოსავლეთ ევროპაში კოლონიურ მომავალზე საუბრობენ, რაც, ძირითადად, მრავალი ევროპული გამოცემის პოპულარული კოლუმნისტის და შეთავსებით ადვოკატის — ვაცლავ ვლკას დამსახურებაა.**

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში ვაცლავ ვლკამ არა მხოლოდ დაადანაშაულა ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, რომ უკრაინა პუტინს ჩააბარეს, არამედ მოუწოდა „პოსტსაბჭოთა დემოკრატიებს“, კერძოდ ჩეხეთს, სლოვაკეთს, პოლონეთს, უნგრეთსა და ბალტიის ქვეყნებს, „ჩართულიყვნენ კონფლიქტში უკრაინის არმიის მხარეს, რათა, ბოლოს და ბოლოს, ეჩვენებინათ ვლადიმერ პუტინისათვის, რომ მისი მარცხი არც ისე შორსაა“.

ეს საკმაოდ მილიტარისტული განცხადებაა ექსპერტისათვის, რომელიც საკუთარ ქვეყანაში, სხვა ყველაფერთან ერთად, ცნობილია, როგორც უფლებადამცველი საკმაოდ დელიკატურ სფეროში — პირადი ცხოვრების უფლებებსა და პოლიციური სტრუქტურებისგან მის დაცვაში. მაგალითად, სწორედ ვლკაზე, როგორც ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენელზე, დაყრდნობით, მასმედია აქვეყნებდა შემდეგ მონაცემებს: ადგილობრივი პოლიცია უსმენს ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს, იყენებს რა მოსასმენ მოწყობილობებს ყველა გამოძიებაში და ამით არღვევს სამოქალაქო უფლებებს.

ამ ადამიანის ბოლო გამოსვლა იმაზე მიანიშნებს, რომ იგი თავის სამშობლოს განიხილავს, როგორც პოტენციურ მეტროპოლიას, მაგალითად, უკრაინის ან აზიისა და აფრიკის ქვეყნებისთვის.

სტატიაში ვაცლავ ვლკა საუბრობს ნაკლები კეთილდღეობის ქვეყნებიდან ევროკავშირში იმიგრანტების ნაკადის საშიშროებაზე. იხსენებს რა, თუ რა ძლიერ ეხვეწებოდნენ ევროკავშირს უბრალო უკრაინელები უვიზო რეჟიმის შემოღებას, იგი მივიდა დასკვნამდე: ხმელთაშუა ზღვის გავლით მოძრავი ბარჟების კვალდაკვალ უკრაინიდან იმიგრანტების ნაკადებიც წამოვა. ტექსტის ავტორს ალტერნატივის სახით აქვს წინადადება — კოლონიზაცია.

„აუცილებელი გახდება სამხედრო-პოლიციური ინტეგრაცია და, ზოგიერთ შემთხვევაში, ნაწილობრივ კოლონიური მეთოდებით მოქმედება, ანუ ევროპული არმიის, პოლიციისა და ადმინისტრაციის გამოყენება (განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში, რომლებიც მხოლოდ რუკაზე არსებობენ). დაე, ისტორიული მაგალითი იყოს დიდი ბრიტანეთი, რომელმაც შეძლო ინდოეთში ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურების შენარჩუნება და ევროპული სტილის ბიუროკრატიის შექმნა“, — წერს ჩეხი უფლებადამცველი.




ვლკა ვარაუდობს, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება „კოლონიებში“ ცხოვრების დონის ამაღლება და შედეგად, ადამიანები სამშობლოდან აღარ გაიქცევიან. თუ მის უფრო ადრინდელ სტატიებს გადავხედავთ, ევროპული პროექტის უმსხვილესი ინვესტორები, რომელთაც უკვე აქვთ კოლონიური იმპერიების მართვის გამოცდილება, არ განიხილებიან ამ პროექტის სპონსორებად. როგორც ჩანს, უკრაინელების ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის ფულს თვით ჩეხეთი დახარჯავს. ყოველ შემთხვევაში, პოპულარული უფლებადამცველი სწორედ ამაზე ოცნებობს.

მშვენიერი ოცნებაა ქვეყნისთვის, რომელიც სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ანალოგიურ პოზიციაზე იყო საბჭოთა ბლოკში. მართლაც, ევროპული პროექტი, როგორც მრავალპოლარული მსოფლიოს დამოუკიდებელი ცენტრი, ამგვარ ევროპატრიოტებსაც უნდა ეფუძნებოდეს. პარადოქსია, მაგრამ ეს ვლკას რუსეთის მომხრედ აქცევს, რუსეთისა, რომელიც ასევე იზიარებს მრავალპოლარული მსოფლიოს კონცეფციას.

მაგრამ ამ „განდიდების ფორმულაში“ ეკონომიკა, უბრალოდ, არ არსებობს, თუნდაც ეს ასწლეულების მანძილზე პოლონეთის ან რუმინეთისთვის საყვარელი გასართობი იყოს. ამგვარი აზროვნება და მიდრეკილება ასტიმულირებს ევროპული კავშირის სხვა „უმცროს პარტნიორებსაც“, რომელთა შორის არიან დღეს ჩეხეთიც და ბალტიის ქვეყნებიც. ამგვარი მსჯელობები საკმაოდ სერიოზული ცდუნებაა ევროკავშირის ხელმძღვანელობისთვის. ისეთ ქვეყნებს, როგორიც ჩეხეთია, ნეოკოლონიზაციის იდეა, თუ მას ევროკავშირის ხელმძღვანელობა გაიზიარებს, კარგს არაფერს უქადის — პირველ კოლონიებად ისინი თავად იქცევიან, თუ უკვე არ იქცნენ.

ამგვარ საავტორო სვეტებზე შეიძლება ყურადღება არც არავის გაემახვილებინა, რომ არა ისტორიული გაკვეთილები. თავის დროზე გერმანიას, რომელიც ის-ის იყო გაერთიანდა და იმ დროის საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენდა, სურდა, კოლონიზატორი გამხდარიყო და ბრიტანულ მაგალითზე იყო ორიენტირებული. ყველაფერი ორი მსოფლიო ომით დასრულდა. ასე რომ, ჩეხ იურისტებს, რომლებმაც გადაწყვიტეს, „უფროსი ძმის“ უფლებებით იზრუნონ უკრაინელებზე, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ საქმეს მიხედონ, ამის გახსენება არ აწყენდათ.

politrussia.com

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თურქეთი საბედისწერო მოვლენების წინაშე დგას. ეჭვი არ არის, რომ საპარლამენტო არჩევნები ახალი თურქეთის ათვლის წერტილად იქცევა. ქვეყანა ან საბოლოოდ იქცევა ერდოღანის სათამაშოდ, რომელიც მზადაა, გასწიროს ის თავისი ახირებების გამო, ან საკუთარ თავში მოძებნის ძალას, გადაუხვიოს ამ გზიდან.

# ერდოღანს ომი სჭირდება

**თურქეთი სირიაში შესაჭრელად ემზადება. ომი, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში დაიწყოს. თურქული ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ეს განცხადება სერიოზულ დამოკიდებულებას იმსახურებს. სამართლიანობისა და განვითარების მმართველი პარტია სწრაფად კარგავს პოპულარობას და საპარლამენტო არჩევნების წინ ანკარა ნებისმიერ ავანტიურაზე წავა.**



თურქეთის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები უდიდეს ინტერესს იწვევს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მთავარი მიზეზი ამ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის თავისებურებებშია. კონსტიტუციის თანახმად, **თურქეთი საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და სწორედ დეპუტატთა კორპუსს ეკუთვნის უფლება, ჩამოაყალიბოს მთავრობა და აირჩიოს პრემიერმინისტრი.**

მაგრამ 7 ივნისისათვის დანიშნული კენჭისყრა მხოლოდ ამის გამო არაა მნიშვნელოვანი. არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ ვერა ერდოღანი დიდი ხნის ნალოლიავები ოცნების ასრულებას — თურქეთის საპრეზიდენტო ქვეყნად გადაქცევას. საამისოდ სამართლიანობისა და განვითარების მმართველ პარტიას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება ესაჭიროება — 550-დან 330 მანდატი. ამ შემთხვევაში ის მიიღებს უფლებას, ახალი კონსტიტუციის პროექტი რეფერენდუმზე გაიტანოს. თუ მმართველ პარტიას 367 დეპუტატი ეყოლება, ამოცანა კიდევ უფრო გამარტივდება — იმ ძირითადი კანონის მიღება, რომელიც დაამტკიცებს მმართველობის ფორმის შეცვლას, შესაძლებელი გახდება პარლამენტის კედლებშივე, ერთადერთი ფრაქციის ძალებით.

ამრიგად, ივნისის არჩევნების ირონია არის ის, რომ ახალმა პარლამენტმა შესაძლოა საპარლამენტო მმართველობისთვის ბოლოს მოღება შეძლოს და საკუთარი პოზიციები აღმასრულებელი ხელისუფლების უბრალო დანამატამდე დაიყვანოს. ერდოღანი ამ მიზანს სულაც არ მალავს. **„ძველი თურქეთის ჩვევებით ჩვენ საკუთარ მიზნებს ვერ მივაღწევთ, — განაცხადა მან. — ჩვენთვის აუცილებელია საპრეზიდენტო სისტემა და მე ვთვლი, რომ 7 ივნისის არჩევნები მოგვცემს ამის გაკეთების საშუალებას“.**

გასულ არჩევნებზე სამართლიანობისა და განვითარების მმართველმა პარტიამ ხმათა თითქმის 50% და პარლამენტში 327 ადგილი მოიპოვა. ეს უმრავლესობაა, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საკმარისი იყოს საკონსტიტუციო რეფორმის განსახორციელებლად. მიისწრაფვის რა დანაკლისი ხმების მოპოვებისკენ, ერდოღანის ხელისუფლება ცდილობდა, ქურთი დეპუტატების მხარდაჭერა დაემსახურებინა და საამისოდ მთელ რიგ დათმობებზე წავიდა ამ ხალხის უფლებების გასაფართოვებლად. ეს წარუმატებელი წამოწყება აღმოჩნდა. ახლა ერდოღანი, რომელიც პრეზიდენტად გასულ წელს კიდევ ერთხელ იქნა არჩეული, თავისი პარტიის დამაჯერებელ გამარჯვებას იმედოვნებს.

სოციალური გამოკითხვები პრეზიდენტის მისწრაფებებს სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს, მმართველ პარტიას 40%-ს უწინასწარმეტყველებენ ეს კი ახალ პარლამენტში 300-ზე ნაკლებ ადგილს ნიშნავს.ერდოღანს მოუწევს, დაივიწყოს ახალი კონსტიტუციაცა და, როგორც ოპოზიცია ამბობს, „სულთნის უფლებამოსილებებიც“.

ერდოღანი ის ადამიანი არ არის, ვინც იოლად თმობს დასახულ მიზნებს, მისთვის დამახასიათებელი ამპარტავნება ხანდახან მანიაკალურამდე მიდის და ისეთი ნაბიჯებისკენ უბიძგებს, რომლებსაც შესაძლოა, განუსაზღვრელი შედეგები მოჰყვეს, მათ შორის — შიგაპოლიტიკური კრიზისის პროვოცირება ან ქვეყნის ჩართვა სისხლიან კონფლიქტებში.

ამას ადასტურებს მთელი რიგი ტენდენციებისა. თურქეთში მკაცრად ისჯება პროტესტის უმცირესი გამოვლინებაც კი. ამასაა მორგებული საკანონმდებლო ბაზისი — კანონი შიგა უსაფრთხოების შესახებ, რომელიც მმართველი პარტიის ძალისხმევის შედეგად იქნა მიღებული. ამ დოკუმენტის წყალობით მნიშვნელოვნადაა გაფართოებული პოლიციის უფლებები. სამართალდამცავებს უფლება აქვთ, „საეჭვო პირები“ გაჩხრიკონ პირადად, გაჩხრიკონ მათი მანქანები და სახლები, იარაღი გამოიყენონ არა მხოლოდ თავდამსხმელი მანიფესტანტების წინააღმდეგ, ან მათ წინააღმდეგაც, ვინც „ცდილობს“ თავდასხმას.

**ერდოღანისათვის უკიდურესად სასარგებლოა საკუთარ საზღვრებთან ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღება, რადგან ეს მას საგანგებო უფლებამოსილებებს და არჩევნების გადატანის ან ოპოზიციის განეიტრალების საშუალებას მისცემს**



**ერდოღანის თურქეთში შესაძლოა სასჯელი დაიმსახუროს ყვლამ, ვინც არა მხოლოდ არასასურველ სტატიას გამოაქვეყნებს, არამედ არასასურველ სტატუსს მოიწონებს ფეისბუქზე.**

ცნობილმა სოციოლოგიურმა კომპანიამ Gezici Research აპრილის დასასრულს გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმადაც მმართველი პარტიის რეიტინგი 38%-მდე დაეცა, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა არ უჭერს მხარს მმართველობის საპრეზიდენტო ფორმაზე გადასვლას. მეორე დღესვე კომპანიის ოფისში ინსპექტორები მივიდნენ და ტოტალური შემოწმება დაიწყეს, ინიციატორი უშუალოდ ფინანსთა სამინისტრო იყო.

გრძელდება „კუდიანებზე ნადირობაც“ — თურქეთში აპატიმრებენ არასასურველ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, სამხედრო პირებსა და მეცნიერებსაც კი. ახლახან დააკავეს სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევითი საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი იუჯალ ალტუნბაშაკი და მისი მოადგილე. მათ არც მეტი, არც ნაკლები, თავად ერდოღანის კაბინეტის მოსმენა დააბრალეს.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო საგანგაშო სიგნალები ისმის. თურქეთში გავლენით მეორე სახალხო-რესპუბლიკური პარტიისრიგებში მეორე ადამიანმა გიურსელ ტეკინმა განაცხადა, რომ ანკარა უახლოეს დღეებში — არჩევნებამდე — სირიასთან კონფლიქტის პროვოცირებას გეგმავს.

მარტის დასასრულს სირიელი ბოევიკების რაზმი, რომლის ბირთვსაც „ჯებჰატ ან-ნუსრას“ ჯიჰადისტები შეადგენენ, სირიის ჩრდილო-დასავლეთით კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მდგომარეობა რთულადაა სამხრეთ-დასავლეთშიც, ლიბანისა და ისრაელის საზღვრებთან, სადაც ბოევიკებმა მოახერხეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის მიტაცება. ისლამური სახელმწიფოს რაზმებთან ბრძოლები დედაქალაქის სიახლოვეს მდებარე რაიონებში იმართება. როგორც სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ბოევიკების ამგვარი შეტევები შესაძლებელი გახდა გარედან დახმარების წყალობით. ქალაქებზე შეტევებს ახორციელებდნენ ჯიხადისტები, რომლებმაც თურქეთში გაიარეს წვრთნები. საერთო ჯამში თურქეთ-სირიული საზღვარი 12 000-მა კარგად შეიარაღებულმა მებრძოლმა გადაკვეთა. ამის გამო ოფიციალურმა დამასკომ გაეროს მიმართა და ანკარის ქმედებების განსჯა სთხოვა, რადგან ის არღვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომლის თანახმადაც აკრძალულია ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება და მხარდაჭერა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სირიის ხელისუფლების მიმართვა რეაგირების გარეშე დარჩა.

ბოევიკების მხარდაჭერით მხოლოდ ანკარა როდია დაკავებული. 9 მაისს თურქულ ბაზა ხირფანლიზე კირშეხირის პროვინციაში დაიწყო „ზომიერი“ სირიული ოპოზიციის მებრძოლების მომზადების პროგრამა. აშშ-ის სპეციალური დანიშნულების ძალების 40 სამხედრო მოსამსახურე თავიანთ თურქ კოლეგებთან ერთად წლის ბოლომდე 2 000 ბოევიკს მოამზადებენ. ანალოგიური „კურსები“ უახლოეს მომავალში იორდანიაში, საუდის არაბეთსა და ყატარშიც დაიწყება. საერთო ჯამში იარაღს 15 000 ადამიანს მისცემენ. თუ ვაშინგტონიდან წამოსულ განცხადებებს დავუჯერებთ, ამ ძალას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმართავენ, თუმცა, თურქულ ამერიკულ შეთანხმებაში ოპერაციის მიზნები განსაზღვრული არ არის. ასე რომ, ეჭვგარეშეა, **უცხოელების მიერ გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარისკაცები სირიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოლებენ.**

სცენარი, რომლის მიხედვითაც ახლო მომავალში სირიაში მძლავრი ანტისახელისუფლებო შეტევა დაიწყება, სავსებით რეალურია. ამასთანავე, თურქეთი საკუთარ თავზე აიღებს ექსტრემისტული დაჯგუფებების მთავარი დამხმარის როლს. **ერდოღანისათვის უკიდურესად სასარგებლოა საკუთარ საზღვრებთან ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღება, რადგან ეს მას საგანგებო უფლებამოსილებებს და არჩევნების გადატანის ან ოპოზიციის განეიტრალების საშუალებას მისცემს.**

**თურქეთი საბედისწერო მოვლენების წინაშე დგას. ეჭვი არ არის, რომ საპარლამენტო არჩევნები ახალი თურქეთის ათვლის წერტილად იქცევა. ქვეყანა ან საბოლოოდ იქცევა ერდოღანის სათამაშოდ, რომელიც მზადაა, გასწიროს ის თავისი ახირებების გამო, ან საკუთარ თავში მოძებნის ძალას, გადაუხვიოს ამ გზიდან.**

topwar.ru

## გერმანიის ფლოტი ლტოლვილთა ნავებს ძირავს

**ხმელთაშუა ზღვაში მორიგე გერმანულ სამხედრო გემებს აფრიკიდან ევროპაში ზღვით მიმავალი ლტოლვილები ბორტზე აჰყავთ, შემდეგ კი დაცარიელებულ ნავებს ძირავენ.** ამის შესახებ ფრეგატ „ჰესენის“ კაპიტანმა ალესანდრე გოტშალკმა განაცხადა. მისი თქმით, გასაბერ ნავებს, უბრალოდ, ფუშავენ, ხოლო ხის ნავებს ძირავენ. კაპიტნის განმარტებით, მსგავსი ზომები აუცილებელია, რადგან მოდრეიფე ნავები სხვა ხომალდებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. გარდა ამისა, ასეთი ობიექტები შორიდან შეიძლება ჩათვალონ ისეთ ნავებად, რომელთაც მართლაც სჭირდება დახმარება და ძვირფასი დრო დაკარგონ. 5 მაისიდან ხმელთაშუა ზღვაში მორიგეობა დაიწყო ორმა გერმანულმა გემმა ფრეგატმა „ჰესენმა“ და სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდმა „ბერლინმა“. როგორც გოლტშალკი აღნიშნავს, არასრული 2 კვირის განმავლობაში მარტო „ჰესენმა“ ხმელთაშუა ზღვაში 700 ლტოლვილი გადაარჩინა. გერმანული ფლოტი გადარჩენილ ლტოლვილებს იტალიის ხელისუფლებას გადასცემს.





**ბრიუსელმა ევროკავშირის ოცდარვავე ქვეყანა დაავალდებულა, მიიღოს მიგრანტების ნაწილი. მაგალითად, პოლონეთს აიძულებენ, 1200 არაბი და აფრიკელი მიიღოს, ლატვიას — 220, ესტონეთს — 326, ლიტვას — 207. მაგრამ მიგრანტების ამ უმცირესი ნაწილის ლეგალიზება პრობლემას ვერ აგვარებს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაიწყებს თუ არა დასავლეთი ლიბიაში ახალ ომს?

**მას შემდეგ, რაც 2011 წელს საფრანგეთისა და ბრიტანეთის ავიაციამ ლიბია დაბომბა, ქვეყნის ლიდერი მუამარ კადაფი კი მხეცურად იქნა მოკლული, ევროპა კვლავაც ემზადება ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, ლიბიის მიმართულებით ახალი საომარი მოქმედებებისათვის. 13 მაისს ბრიტანულმა The Gardian-მა გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც ნათქვამია, რომ გაზეთის განკარგულებაშია 19-გვერდიანი გეგმა, რომელიც, როგორც ჩანს, ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო უწყებების მიერაა მომზადებული და ითვალისწინებს სამხედრო ოპერაციის ჩატარებას ვითომდა ჩრდილო აფრიკიდან ევროკავშირის ქვეყნებში მიგრანტების გადასაყვანად კონტრაბანდისტების მიერ შექმნილი არალეგალური ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად.**



ევროკავშირის უმაღლესი წარმოამდგენელი საგარეო საქმეთა სფეროში ფედერიკა მოგერინი ირწმუნება, რომ ლიბიაში სამხედრო ინტერვენცია არ იგეგმება. იმისათვის, რომ მოხდეს ევროპაში მიგრანტების გადაგზავნით დაკავებული კონტრაბანდისტების ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება და განადგურება, საკმარისი იქნება კონტროლის დამყარება ლიბიის ტერიტორიალურ წყლებზე. ამგვარი საუბრები არც ისე დამაჯერებლად ჟღერს, როდესაც ხედავ, თუ რა სერიოზულობით ემზადებიან დასავლური სახელმწიფოები დაგეგმილი ოპერაციისათვის. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი აპირებს, კონტრაბადნისტებთან საბრძოლველად სადესანტო გემი HMS Bulwark გამოიყენოს.

თუმცა, არსებული გეგმა პირველ რიგში სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების გამოყენებას ითვალისწინებს, მიუხედავად მოგერინის რწმუნებებისა, სახმელეთო ძალების, მათ შორის სპეციალური დანიშნულების რაზმების გამოყენება გამორიცხული არ არის. **მასმედიამ უკვე დაიწყო ამ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ტესტირება და უკვე წერენ, რომ ლიბიაში შესაძლოა საჭირო გახდეს სახმელეთო ოპერაცია.**

18 მაისს სამხედრო ოპერაციის დეტალები ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს. სავარაუდოდ, ევროკავშირის სამიტზე, რომელიც ივნისში გაიმართება, ოპერაციას მწვანე შუქს აუნთებენ. ახალ სამხედრო წამოწყებაზე საკუთარი შეიარაღებული ძალების მონაწილეობისათვის თანხმობა უკვე განაცხადა ევროკავშირის წევრმა ათმა ქვეყანამ, მათ შორის, იტალიამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა. სხვათა შორის, როგორც გაეროში ლიბიის მუდმივმა წარმომადგენელმა იბრაჰიმ დაბაშიმ განაცხადა, ბრიუსელს კონსულტაციებიც კი არ გაუმართავს ტრიპოლთან დაგეგმილ სამხედრო ოპერაციაზე. მდიდარი კოლონიური გამოცდილების მქონე ევროპელებისათვის ლიბია უბრალოდ, ნივთია.

ფედერიკა მოგერინი უკვე იმყოფებოდა ნიუ-იორკში, სადაც ეცადა, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებისაგან თანხმობა მიეღო ჩრდილოაფრიკულ სანაპიროებზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. რეზოლუციის შესაბამის პროექტს დიდი ბრიტანეთი ამზადებს. მოგერინმა ოპტიმიზმი გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა უშიშროების საბჭომ სწრაფად მიიღოს რეზოლუცია, რომელიც სანქციას მისცემს კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. თუ ამგვარი რეზოლუციის მიღება ვერ მოხერხდება, ევროკავშირი მაინც მიმართავს საომარ აქციას ხმელთაშუა ზღვაში ლიბიის ტერიტორიული წყლებისა და საჰაერო სივრცის საზღვრებს გარეთ.

**მუამარ კადაფის ჩამოგდებისა და მკვლელობის შემდეგ ერთ დროს აყვავებული ქვეყანა ყველა ყველას წინააღმდეგ ქაოსური საომარი მოქმედებების ზონად იქცა. ერთი ხელისუფლება ტრიპოლიში ზის, მეორე — ტობრუკში, კიდევ რამდენიმე სხვადასხვა ქალაქშია მიმობნეული. სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობს**

**ჩნდება კითხვა: ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ძალის დემონსტრირების ერთადერთი მიზანი ლიბიიდან ევროპაში გაქცეული საბრალო ადამიანების ნაკადების აღკვეთაა?** აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიბიის სანაპირო ზოლის სიგრძე 1800 კილომეტრს აღწევს. ამ სანაპირო ზოლის დაბლოკვა შესაძლებელია მხოლოდ მძლავრი სამხედრო-საზღვაო ესკადრით. საეჭვოა, რომ კონტრაბანდისტების ინფრასტრუქტურის განადგურება მოხერხდეს, რადგან მიგრანტების გადაგზავნა არის შრომა, რომელსაც უამრავი ადამიანი ეწევა და ეს ადამიანები ლიბიიდან ცენტრალურ აფრიკამდე მთელ ტერიტორიაზე არიან გაბნეულნი.

ლიბია ახლა განსაკუთრებული ტერიტორიაა. ასეთები მსოფლიოში ჯერჯერობით ცოტაა და ისინი ძირითადად აფრიკაში არიან თავმოყრილნი. **მუამარ კადაფის ჩამოგდებისა და მკვლელობის შემდეგ ერთ დროს აყვავებული ქვეყანა ყველა ყველას წინააღმდეგ ქაოსური საომარი მოქმედებების ზონად იქცა. ერთი ხელისუფლება ტრიპოლიში ზის, მეორე — ტობრუკში, კიდევ რამდენიმე სხვადასხვა ქალაქშია მიმობნეული. სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობს.**

თუ კადაფის პერიოდში შექმნილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა არაბულ სამყაროში ერთ-ერთი წარმატებული სოციალური პროექტი იყო მაღალი შემოსავლებით მოსახლეობის ერთ სულზე, დღეს ლიბია არის ქაოსის ტერიტორია, რომლის ნაწილი „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების და ერთმანეთთან მებრძოლი უამრავი ბანდის ხელშია. ტერიტორია კვლავაც ერთერთი ყველაზე მდიდარია ნავთობის მარაგით, მაგრამ მოპოვება შემცირდა, მრავალი ნავთობსაბადო დამნაშავე კლანების ხელთაა. ყველაზე მდიდარი რაიონის — კირენაიკუს მაკონტროლებელი დაჯგუფებები ითხოვენ ავტონომიას. იმის თქმა, რომ ქვეყანა ნაფლეთებადაა ქცეული, არაფრის თქმას ნიშნავს. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ლიბია უბრალოდ აღარ არსებობს.

ამჟამად ლიბიის სანაპირო წარმოადგენს უზარმაზარ სატრანზიტო ზონას, საიდანაც არაბები და შავკანიანი აფრიკელები, გაურბიან რა თავს დატეხილ უბედურებებს, ათასობით მიილტვიან ევროპისაკენ. ცივილიზებული ევროპა კი ამ ნაკადის წინააღმდეგ პოლიტიკურ და მორალურ ჭრილში უძლურია — ამიტომაც გახდა საჭირო სამხედრო ძალის გამოყენება. **ბრიუსელმა ევროკავშირის ოცდარვავე ქვეყანა დაავალდებულა, მიიღოს მიგრანტების ნაწილი. მაგალითად, პოლონეთს აიძულებენ, 1200 არაბი და აფრიკელი მიიღოს, ლატვიას — 220, ესტონეთს — 326, ლიტვას — 207. მაგრამ მიგრანტების ამ უმცირესი ნაწილის ლეგალიზება პრობლემას ვერ აგვარებს.**

2015 წელს ლიბიაში მოსალოდნელია მოსახლეობის ზრდა 135 ათასი ადამიანით. მიგრაციის გათვალისწინებით კი მოსახლეობის რაოდენობა, სავარაუდოდ, უცვლელი დარჩება, რადგან დაახლოებით ამდენივე ლიბიელი ტოვებს ქვეყანას ყოველწლიურად. გარდა ამისა, ლიბიის გავლით აპენინებზე გარბიან ალჟირიდან, მალიდან, ნიგერიდან, ჩადიდან, სუდანიდან, სენეგალიდან, განადან და ერითრიიდან. რომში ირწმუნებიან, რომ იტალიისაკენ უახლოეს მომავალში 200 ათასი აფრიკელი აპირებს გამგზავრებას.

არ ღირს ილუზიები იმასთან დაკავშირდებით, რომ დასავლეთი ოდესმე მოინდომებს, აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა იმ კატასტროფულ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც მისი მხრიდან ლიბის „დემოკრატიზაციის“ მცდელობებს მოჰყვა.

fondsk.ru

**ახალგაზრდა ამერიკელები გაცილებით უკეთ არიან განწყობილნი სოციალიზმის მიმართ და ცუდად დემოკრატიის მიმართ, ვიდრე მათი უფროსი თაობა.**

# ახალგაზრდა ამერიკელების მესამედი სოციალიზმს მიესალმება




ვაშინგტონელი სენატორი ბერმონტ ბერი სანდერსი — ამჟამად ჰილარი კლინტონის ერთადერთი მოწინააღმდეგე აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატიული პარტიიდან კანდიდატის წამოყენებისათვის გაჩაღებულ კამპანიაში — კონგრესის ერთადერთი წევრია, რომელიც საკუთარ თავს სოციალისტს უწოდებს.

ცივი ომის პერიოდში სოციალიზმი ასოცირდებოდა პირველ რიგში წითელ მოედანზე გამართულ აღლუმებთან, მაგრამ სანდერსისა და კიდევ მრავალი სხვა ამერიკელისათვის, რომლებიც საკუთარ თავს სოციალისტებს უწოდებენ, მიზანი არის არა სოციალისტური რევოლუციის ორგანიზება ამერიკაში, არამედ შვედეთისა და ნორვეგიის მსგავსი საცხოვრებელი გარემოს შექმნა. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ როდესაც ამერიკელებს ეკითხებიან სოციალისზმისა და კაპიტალიზმის მიმართ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების შესხებ, კაპიტალიზმი პირველ ადგილზე — მის მიმართ კეთილგანწყობილია ამერიკელთა 52%, ხოლო სოციალიზმის მიმართ იგივე დამოკიდებულებას ამერიკელთა მხოლოდ 26 პროცენტი გამოხატავს.

მაგრამ ახალგაზრდა ამერიკელებს შორის აზრი ესოდენ ერთმნიშვნელოვნად არ გაიყო. 30 წლამდე ამერიკელების **36%-ს სოციალიზმის მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს, 39%-ს კი — კაპიტალიზმის მიმართ.** 65 წელს გადაცილებულთა შორის სოციალიზმის მიმართ კეთილგანწყობა მხოლოდ 15%-მა გამოხატა, 59%-ს კი მეტად მოსწონს კაპიტალიზმი.

MixedNews

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დადგინდა, რომ ამ პრეპარატით განკურნების მაჩვენებელი 90 პროცენტს სცილდება, ხშირ შემთხვევაში, 95 პროცენტს სჭარბობს. ეს პრეპარატი, 2 წელიწადზე მეტია, გამოიყენება ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დარეგისტრირებულია ამერიკის წამლისა და საკვები პროდუქტების ადმინისტრაციისა და ევროპის წამლის სააგენტოს მიერ.“

# ერთობლივი პროექტი — ჯანმრთელობა

ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა იცის, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომრიდან დაიწყო ჩვენი გამოცემისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის — ჯანმრთელობა — განხორციელება.

დღეს ჩვენი სტუმარია აღნიშნული ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან გამყრელიძე.

# ვართ თუ არა საცდელი ვირთხები და რა ექსპერიმენტი ტარდება საქართველოში

**ამ „სენსაციურ“ თემაზე, რა თქმა უნდა, ვისაუბრებთ, მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობით.**


ამირან გამყრელიძე

## ცენტრი, როგორც ასეთი

**— ხომ არ არის პარალელიზმის ელემენტები თქვენი უწყებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საქმიანობაში?**

— არა, არ არის.

სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირია. იგი ანგარიშვალდებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტში მისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ხაზიდან. გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციასა და კონტროლში ცენტრი ეროვნულ დონეზე წამყვანი ორგანიზაციაა. იგი შეიმუშავებს ეროვნულ სტანდარტებს, სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ახორციელებს ეპიდზედამხედველობას, იმუნიზაციას, ლაბორატორიულ სამუშაოებს, კვლევებს, უზრუნველყოფს კონსულტაციებს და რეაგირებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საგანგებო მდგომარეობებზე. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესის ხელშეწყობის მიზნით ჩვენ ვაწარმოებთ ჯანდაცვის სტატისტიკას. მოკლედ ასე შეიძლება გიპასუხოთ.

**— ე.ი. თქვენ გასცემთ რჩევებსა და რეკომენდაციებს...**

— რა თქმა უნდა, თანაც, ბევრი მიმართულებით. მედიცინაში ორი მთავარი მიმართულებაა: დაავადებების პრევენცია, სხვადასხვა რისკფაქტორებზე ზემოქმედება და საზოგადოებაში მეტი განათლების შეტანა ისეთი მავნე ჩვევებისთვის თავის არიდების საკითხებზე, როგორებიცაა თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სიმსუქნე და ა.შ., რაც მთელ რიგ დაავადებებს იწვევს.

მეორე მთავარი მიმართულებაა დაავადებული ადამიანების მკურნალობა. ეს ფუნქცია აკისრია საავადმყოფოებს, ამბულატორიებს, პოლიკლინიკებს, ანუ სამკურნალო ქსელს. ამ საქმეს, ისევე როგორც პრევენციულ მიმართულებას, სათავეში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო უდგას და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტი აკოორდინირებს.

**— შეიძლება, რომელიმე კონკრეტული მაგალითით აუხსნათ ჩვენს მკითხველებს, თუნდაც, პრევენციის თემა?**

— მაგალითად, გულის კუნთის ინფარქტის მთავარი რისკფაქტორი არის სისხლის მომატებული წნევა, ასევე — ინსულტის, დიაბეტის, თვალის ბადურის, თირკმლის სხვადასხვა დაავადების განვითარების და ა.შ. ახლახან სწორედ მაღალი წნევის კვირეული ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში. 17 მაისს, ჰიპერტენზიის მსოფლიო დღეს, გავმართეთ პრესკონფერენცია. მოქალაქეებს მოვუწოდეთ, აუცილებლად გააკონტროლონ თავიანთი წნევა, წელიწადში ორჯერ მაინც მივიდნენ ოჯახის ექიმთან. კონსულტაცია უფასოა.

**— პაციენტი ფულს არ იხდის?**

— რამდენჯერაც გსურთ, შეგიძლიათ, იმდენჯერ მიხვიდეთ ოჯახის ექიმთან და ამაში ფულს არავინ გადაგახდევინებთ. პრობლემა რა არის, იცით? საქართველოში მოსახლეობის 30 პროცენტს წნევა არასოდეს გაუზომია.

ჩვენი ერთ-ერთი ფუნქცია, როგორც გითხარით, საზოგადოებაში სამედიცინო განათლების შეტანაა.

**— გათვითცნობიერება?**

— დიახ. არა პროფესიული სამედიცინო განათლების შეტანა, არამედ ცოდნა დაავადებების შესახებ. პროფესიული განათლება, თქვენს მკითხველს მოეხსენება, საექიმო განათლების ნაწილია, რისთვისაც მოწოდებულია სამედიცინო უნივერსიტეტები.

ჩვენი ერთ-ერთი დიდი დეპარტამენტი მუშაობს ისეთ თემებზე, როგორიცაა მოსახლეობისთვის სწორი გზავნილების მიტანა, რა უნდა გააკეთონ, როგორ უნდა მოიქცნენ დაავადების თავიდან ასაცილებლად.

**— სად შეიძლება მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა ეს კეთილი რჩევა?**

— ჩვენს ვებგვერდზე, მასმედიის საშუალებით, სოციალური ქსელებით. ახლა უკვე თქვენი გაზეთის დახმარებითაც.

**— მე ისე გავიგე, რომ კონტროლი, რომელიც თქვენი ერთ-ერთი ფუნქციაა, სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის გაკონტროლებას არ ნიშნავს.**

— დიახ, ასეა. ჩვენ არავის ვამოწმებთ, არავის ვსჯით. თუმცა ამის რაღაც კომპონენტი გვაქვს. მაგალითად, ჩვენი ერთ-ერთი ფუნქციაა ბავშვების და, ზოგადად, მოსახლეობის იმუნიზაცია.

**— აცრები?**

— დიახ, ხალხში ამ სახელითაა ცნობილი. სხვადასხვა ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო იმუნიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერვენციაა. ამით ხდება მილიონობით ადამიანის სიცოცხლის დაცვა და ეს მიჩნეულია მედიცინაში კაცობრიობის უპირველეს მიღწევად.

საქართველოში იმუნიზაციაზე პასუხისმგებელი ჩვენი ცენტრია. ეს ნიშნავს, რომ 6 წლის ასაკამდე ბავშვები ჩვენი ეროვნული კალენდრის მიხედვით აცრილი უნდა იყვნენ 12 არსებული ინფექციის წინააღმდეგ.

**— რომელი ინფექციური დაავადებები იგულისხმება?**

— დიფტერია, წითელა, წითურა, ყივანახველა, ყბაყურა, ისეთი უმძიმესი დაავადება, როგორიც პოლიომიელიტი და კიდევ სხვა მრავალი. ბოლო ორი წლის განმავლობაში დავნერგეთ ახალი ვაქცინები — პნევმოკოკის, როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო, რომლითაც ძალიან ბევრი ბავშვი ავადდება ხოლმე და ა.შ.

ერთი მხრივ, პირველადი ჯანდაცვის ქსელის საშუალებით ვახორციელებთ ამ აცრებს; მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების საშუალებით ვაკონტროლებთ რამდენად მასობრივია იგი. ამის სხვადასხვა საშუალება არსებობს, მათ შორის, ადგილობრივი მმართველობების ჩართვითა და მონაწილეობით.

**— აცრები უფასოა?**

— დიახ. იმუნიზაცია სახელმწიფოს ხარჯით ხდება. დავუმატებ, რომ ყველა ვაქცინა, რომლებიც ქვეყანაში შემოგვაქვს, მაღალხარისხოვანია და ყველა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის სერტიფიცირებული. მაშასადამე, უსაფრთხოა და სასურველია, რომ ყველა ჩვენი ბავშვი იყოს აცრილი.

ჩვენს ცენტრს აქვს კიდევ ერთი მიმართულება — სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება, რომელზეც შეგვიძლია, სხვა დროს ვისაუბროთ.

## ადამიანზე ორიენტირებული

**— ბატონო ამირან, მომდევნო ჩემს შეკითხვას ნაწილობრივ თქვენ უკვე უპასუხეთ. მინდა, გთხოვოთ, უფრო გაშალოთ საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის თემა.**

— საყოველთაო ჯანდაცვა ახალი მთავრობის უმთავრესი მიღწევაა, რომელიც ამ ორნახევარ წელიწადში განხორციელდა სამედიცინო დახმარებისადმი უნივერსალური ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, 2030 წლისთვის სამედიცინო სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა გლობალური ჯანმრთელობის უპირველესი მიზანია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2010 წლის მსოფლიო მოხსენება სწორედ ამ მთავარ მიზანს უსახავს ქვეყნებს. უნივერსალური ჯანდაცვის არსია ჯანმრთელობის დაცვისადმი ყველა ადამიანის ხელმისაწვდომობა, მისი სოციალური სტატუსის, ცხოვრების დონის, შემოსავლის და ა.შ. მიუხედავად.

ხელმისაწვდომობა მაღალი განვითარების ქვეყნებში მიღწეულია. განვითარებად სამყაროში კი ეს პრობლემა სერიოზულად დგას.

ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ჯანდაცვა ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ პრიორიტეტად რომ გამოცხადდა, ამიტომაც პირველსავე წელიწადს ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგდა, რაც დამოუკიდებელ საქართველოში არასოდეს მომხდარა, პირველი პრეცენდენტია.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენთან ყველა ადამიანი დაცულია კატასტროფული რისკებისგან.

**— ესე იგი, ეს ნიშნავს, რომ სრულად ვართ გარანტირებული?**

— ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს საკმაოდ გაფართოებული ბაზისური სამედიცინო დახმარების პაკეტი სერიოზული ლიმიტებით (წელიწადში დაახლოებით 15 ათასი ლარის ფარგლებში), რათა დაავადების მიზეზით ადამიანი არ გაღატაკდეს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სრულფასოვანი მკურნალობის ჩასატარებლად ჩვენს მოქალაქეებს სახლ-კარის გაყიდვა ან ბანკებიდან დიდი, უმეტეს შემთხვევაში ისეთი სესხის აღება სჭირდებოდა, რომლის გადახდას ვერ ახერხებდნენ.

**— გამოჯანმრთელება გაღარიბების ფასად?**

— დიახ, ასე იყო. დღეს სახელმწიფო პაციენტს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სამედიცინო ჩარევებს (გულზე, სახსრებზე ოპერაციები, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და სხვ.) უნაზღაურებს. რა თქმა უნდა, დაწესებული საკმაოდ სერიოზული ლიმიტების ფარგლებში, როგორც ყველა ქვეყანაში.

**— ალბათ, უამრავი საბუთის შეგროვებაა საჭირო ამ უფასო მკურნალობის ჩასატარებლად...**

— თუ მწვავე შემთხვევაა — სასწრაფო დახმარების ბრიგადას მიჰყავს ავადმყოფი კლინიკაში ან თვითონ მიდის, საკმარისია მხოლოდ მისი პირადობის მოწმობის წარდგენა. სახელმწიფო ამ დოკუმენტით გადაუხდის საავადმყოფოს, კლინიკას ჩატარებული მკურნალობის საფასურს.

თუ, ვთქვათ, გეგმიურ ოპერაციაზეა ლაპარაკი, მაშინ მოქალაქეებმა უნდა მიაკითხონ სოციალური მომსახურების სააგენტოებსა და მის ფილიალებს, რომლებიც წარმოდგენილია ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული მძლავრი სტრუქტურის სახით. მათი საშუალებით (ფილიალები ყველა მუნიციპალიტეტშია) ხორციელდება ყველა ფინანსური ოპერაცია სოციალური მომსახურებისა თუ ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში — პენსია იქნება ეს, სხვადასხვა დახმარება, მკურნალობის დაფინანსება და ა.შ.

პაციენტი მიდის სააგენტოში, სადაც არის საყოველთაო ჯანდაცვის ერთეული, განყოფილება, წერს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაურთოს ექიმის დიაგნოზის ამონაწერი, თუ რა ტიპის დახმარება სჭირდება. შემდეგ მას განმცხადებლის სურვილის მიხედვით შერჩეულ სამკურნალო დაწესებულე- ▶

# „2015 წელს 5 ათას ადამიანს ვუმკურნალებთ. მომდევნო წლებში ყოველწლიურად 20 ათასი ავადმყოფისთვის მოგვაწვდიან წამალს. პრეპარატი უკვე ჩამოტანილია საქართველოში“.

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «მკურნალობა უფასოა არა მხოლოდ «გილიადის» წამლით, არამედ დაავადების ზოგიერთი ფორმის დროს აუცილებელი ინტერფერონითა და რიბავირინით მკურნალობის შემთხვევაშიც»

◀ ბაში აგზავნიან. უმწეო, სოციალურად დაუცველი ადამიანების კატეგორიას სახელმწიფო სრულად აფინანსებს. არის თანაგადახდის ელემენტიც, როცა სახელმწიფო იხდის 70-80 პროცენტს, დანარჩენი — 20-30 პროცენტი პაციენტის დასაფარია. ყველა ამ საკითხს ჯანდაცვის სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო არეგულირებს.

**— თქვენი ცენტრი?**

— ჩვენი ცენტრი განახორციელებს 8 სახელმწიფო პროგრამას. იმუნიზაციაზე უკვე გელაპარაკეთ (ვაქცინების შესყიდვა, დარიგება, განაწილება, ადგილზე მიტანა, ყველა რაიონში ადამიანების აცრის სტატუსის შემოწმება და ა.შ.); ეპიდზედამხედველობის პროგრამა; ტუბერკულოზის ეპიდზედამხედველობა და არა მკურნალობა; პასუხისმგებელი ვართ, აგრეთვე, აივ-ინფექცია/შიდსის მონიტორინგზე და არა მკურნალობაზე; ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვენი საქმე არის უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამა (ადამიანებისთვის გადასხმული ყველა სისხლი უნდა იყოს უსაფრთხო, რასაც სისხლის ბანკების საშუალებით ვაკონტროლებთ). კიდევ რამდენიმე პროგრამის კონტროლი გვევალება, ისეთების, როგორიცაა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ანუ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროგრამა; პროფესიულ დაავადებებზე კონტროლის პროგრამა და ა.შ.

### ვართ თუ არა საცდელი ვირთხები?

**— ინტერნეტსივრცეში უცხოური გამოცემების პუბლიკაციების მოშველიებით გამოჩნდა დიდი ეჭვის შემცველი წერილები: უფასოდ გვაძლევენ მედიკამენტებს, უწინარეს ყოვლისა, C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატს, უფასოდ იმიტომ, რომ საქართველოს განიხილავენ, როგორც ლაბორატორიას, სადაც მოსახლეობაზე (თეთრ ვირთხებზე) გამოსცდიან ამ ახალი საშუალების ეფექტიანობას.**

**გვწამლავენ?**

— ჩვენ ცენტრს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დაკისრებული C ჰეპატიტის აღმოფხვრის იმ უპრეცენდენტო პროექტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში დაიწყო.

დღეს მსოფლიოს ისტორიაში აღმოფხვრილია ერთადერთი დაავადება — ყვავილი, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. აღმოფხვრილია ძირითადად ვაქცინაციის მეშვეობით.

1979 წლის შემდეგ ასეთი ვაქცინაცია ყვავილის წინააღმდეგ აღარ კეთდება — საჭიროება არ არსებობს.

ასეთ დაავადებებს ვაქცინით მართვადი დაავადებები ეწოდება.

ამჟამად რიგში დგას პოლიომიელიტი, რომელიც მსოფლიოს სამ ქვეყანაშია დარჩენილი: პაკისტანში, ავღანეთში და ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყანაში. საქართველოში პოლიომიელიტის შემთხვევა 1992 წლიდან აღარ გვქონია. მაგრამ მის საწინააღმდეგო ვაქცინაციას ამჟამადაც ყოველწლიურად ვაწარმოებთ.

ამის შემდეგ წითელა დგას რიგში. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ეს დაავადება სრულად არის აღმოფხვრილი. ევროპა ამის მიღწევას 2020 წლისთვის აპირებს.

C ჰეპატიტი ასევე ინფექციური (ვირუსული) დაავადებაა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ქრონიკული ინფექციური დაავადებაა. 90-იან წლებში, როცა C ჰეპატიტის სამკურნალოდ ინტერფერონი დაინერგა, განკურნების მაჩვენებელი ზოგიერთი გენოტიპის შემთხვევაში 50-60 პროცენტი იყო. ზოგი ადამიანი სრულად ინკურნებოდა, მაგრამ ძალიან ბევრი — ვერა, თანაც ამ საშუალებით მკურნალობა ძალიან ძვირი ჯდებოდა და თან ახლდა ბევრი გვერდითი ეფექტი.

დღეისთვის მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით 180 მილიონი ადამიანია ინფიცირებული.

ბოლო 3 წელიწადია, რაც მედიცინამ უზარმაზარი გარღვევა მოახდინა ამ დაავადების მართვის საქმეში. 2013-2014 წლების უდიდეს სამედიცინო მიღწევათა ათეულში შედის პრეპარატი სოფოსბუვირი, რომელიც 3 წელიწადია C ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება მსოფლიოში და რომელმაც უდიდესი გადატრიალება მოახდინა ამ საქმეში.

**— უკვე მოახდინა?**

— დიახ, უკვე მოახდინა! ეს პრეპარატი დაახლოებით 9 წლის წინათ, ვიმეორებ, 9 წლის წინათ, შექმნა ატლანტაში ემორის უნივერსიტეტის პროფესორმა შინაზიმ, რომელსაც პირადად ვიცნობ. მას ერთ-ერთი საუკეთესო ლაბორატორია აქვს. თავისი იდეა და წამალი მან მიჰყიდა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას „გილიადს“ (რომელიც ამჟამად საქართველოსთანაც თანამშრომლობს). ჩატარდა უამრავი ექსპერიმენტული, კლინიკური კვლევა, **დადგინდა, რომ ამ პრეპარატით განკურნების მაჩვენებელი 90 პროცენტს სცილდება, ხშირ შემთხვევაში, 95 პროცენტს სჭარბობს. ეს პრეპარატი, 2 წელიწადზე მეტია, გამოიყენება ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დარეგისტრირებულია ამერიკის წამლისა და საკვები პროდუქტების ადმინისტრაციისა და ევროპის წამლის სააგენტოს მიერ.**

ამ პრეპარატის პრობლემა მისი სიძვირეა: სამთვიანი მკურნალობის კურსი აშშ-ში 80-85 ათასი დოლარი ღირს. ერთი აბი პრეპარატის ღირებულება ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და ა.შ. საშუალოდ ათასი დოლარია.

მკურნალობა 3 თვეს გრძელდება. ავადმყოფი დღეში ერთხელ იღებს წამალს; ზოგიერთი გენოტიპის მკურნალობისთვის 6 თვე, ან ცოტა მეტი დროა საჭირო.

თუ, ერთი მხრივ, ამ პრეპარატის გამოჩენა სამედიცინო ბაზარზე დიდი გარღვევა იყო, მეორე მხრივ, ხელმისაწვდომობა პრობლემად წარმოჩნდა. ამ შეუთავსებლობას მდიდარ ქვეყნებში სახელმწიფო ან დაზღვევა ფარავს, რაც ღარიბი სახელმწიფოებისთვის ყოვლად წარმოუდგენელია.

**კომპანიას, რომელმაც ეს წამალი შექმნა, აქვს უზარმაზარი შემოსავალი, მაგრამ ამასთან ერთად უდიდესი მორალური პასუხისმგებლობაც ეკისრება. მან ლიცენზია მიჰყიდა ინდოეთს, სადაც C ჰეპატიტის გავრცელების დონე ძალიან მაღალია, რათა ამ უკანასკნელს დაბალ ფასად გაევრცელებინა მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის სააფთიაქო ქსელებით, სადაც საქართველო არ შედის.**

კომპანია „გილიადი“, როგორც მოგახსენეთ, კარგად თანამშრომლობს საქართველოსთან და ეს დიდი პატივია ჩვენთვის. ამ თანამშრომლობას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის შუამდგომლობამ. ეს ცენტრი შტატებში ერთ-ერთი უმთავრესი ფედერალური დაწესებულებაა (მის მაგალითზე შეიქმნა ჩვენი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, რომელიც მასთან შედარებით ძალიან პატარა ორგანიზაციაა, მაგრამ ფუნქციებით იდენტურია), მისი წარმომადგენლობა ჩვენს დაწესებულებაშია განთავსებული და ბევრი საკითხის გადაჭრაში აქტიურად გვეხმარება. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის დაწყება მათი მონაწილეობით გახდა შესაძლებელი. შეიქმნა ერთგვარი სამკუთხედი: საქართველოს მთავრობა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროთი იყო წარმოდგენილი, აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრი და მწარმოებელი კომპანია „გილიადი“.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე:

* C ჰეპატიტის ინფექციის მაღალი პრევალენტობა ზოგად მოსახლეობაში (2001 წელს შიდსის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევით, მოზრდილი მოსახლეობის 6,7 პროცენტი ინფიცირებულია, ასეთი კვლევა ამჟამად მეორედ ტარდება. საბოლოო შედეგები აგვისტოს შუა რიცხვებში გვეცოდინება),

* ქვეყნის შედარებით პატარა ფართობი (69,700 კმ2) და მოსახლეობის რაოდენობა (4.5 მილიონი)

* ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა C ჰეპატიტის ელიმინაციის მიმართულებით

* C ჰეპატიტის თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებების არსებობა

* ფართომასშტაბიანი ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების დანერგვისათვის ეფექტიანი სისტემების არსებობა ქვეყანაში

* გამოცდილი ექიმები, დიაგნოსტიკის კარგი ლაბორატორიული ბაზა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გადაწყდა, საქართველოში განხორციელებულიყო მსოფლიოსათვის სამოდელო პროექტი C ჰეპატიტის ელიმინაციასთან დაკავშირებით.

**— და არა პრეპარატის გამოცდისა და ადამიანებზე ექსპერიმენტის განხორციელების თვალსაზრისით?**

— დიდი ხანია, ეს წამალი გამოცდილია! დიდი ხანია, დადგენილია მისი ეფექტიანობა და წარმატებით გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ **გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩვენ გვეძლევა ისტორიული შანსი, რომ გავხდეთ მსოფლიოსთვის სამოდელო ქვეყანა C ჰეპატიტის ელიმინაციის თვალსაზრისით და არა საექსპერიმენტო პოლიგონი, როგორც ეს ზოგიერთ პუბლიკაციაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არის წარმოჩენილი. კარგი იქნება, თუ თქვენი მკითხველი ამ განსხვავებას ყურადღებას მიაქცევს.**

**და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: მკურნალობა ნებაყოფლობითი პრინციპით ხორციელდება. დაძალება ან თავსმოხვევა აბსოლუტურად გამორიცხულია.**

დადგენილია, რომ, ინტერფერონისგან განსხვავებით, ახალ პრეპარატს თითქმის არ აქვს გვერდითი მოვლენები. მკურნალობისთვისაც მარტივია — ადამიანი სვამს წამალს, ინტერფერონის მკურნალობის დროს კი ინექცია უნდა გაიკეთოს, ამავე დროს, ამ უკანასკნელს ახასიათებს ბევრი გვერდითი მოვლენა.

მიმაჩნია, რომ ახალი გენერაციის ანტივირუსული პრეპარატით C ჰეპატიტის უფასო მკურნალობის პროგრამის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, პირადად ბატონ დავით სერგეენკოს, რომელიც თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ამერიკულ მხარესთან, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიღწევაა.

სამინისტროს სპეციალურად შექმნილმა კომისიამ ბატონ ვალერი კვარაცხელიას ხელმძღვანელობით, პროფესიონალმა ექიმებმა, შიდსის ცენტრმა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საერთო ძალისხმევით მოკლე დროში შექმნეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უკვე განხორციელების ფაზაშია.

ჩვენს ცენტრს ამ პროექტის რეალიზაციის პროცესში მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია და აქტიურად ვართ ჩართული ახალ ფართომასშტაბიან პოპულაციურ კვლევაში, რათა დავადგინოთ გავრცელების ზუსტი ციფრები როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ცალკეული რეგიონების მიხედვით. ასევე ცენტრის ბაზაზე ექსპერტთა ჯგუფი ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრთან და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელბთან ერთად ვმუშაობთ ხანგრძლივვადიან (2020 წლამდე) ელიმინაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე.

ამიტომ, ვიმეორებ, წამლის არავითარ გამოცდაზე არ შეიძლება ლაპარაკი. პირიქით, ეს დიდი შეღავათია მოსახლეობითვის, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ჯანმრთელების პროგრამა და ასევე, უზარმაზარი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობაცაა. **ჩვენ 5 წლის განმავლობაში უნდა ვუმკურნალოთ 100-150 ათას ადამიანს, მაგრამ, რაც მთავარია, უნდა მოვახდინოთ ახალი ინფექციის განვითარების პრევენცია და მოვსპოთ ინფექციის ახალი წყაროები.** რადგან C ჰეპატიტი სისხლით გადამდები დაავადებაა, მკაცრდება ერთის მხრივ ინფექციის კონტროლი სამედიცინო, სტომატოლოგიურ დაწესებულებებში, სილამაზის, სვირინგების სალონებში და, საერთოდ, ყველგან, სადაც გადადების რისკი მაღალია და, მეორეს მხრივ, მეტი პროფესიული განთლების შეტანაა საჭირო სამედიცინო საზოგადოებაში. ამავე დროს, უნდა ამაღლდეს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ამ მიმართულებით.

2015 წელს 5 ათას ადამიანს ვუმკურნალებთ. მომდევნო წლებში ყოველწლიურად 20 ათასი ავადმყოფისთვის მოგვაწვდიან წამალს. პრეპარატი უკვე ჩამოტანილია საქართველოში. პაციენტების რეგისტრაციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესი 4 სამედიცინო ცენტრშია დანერგბული. ესაა: ინფექციურ დაავადებათა ცენტრალური საავადმყოფო, კლინიკა „ჰეპა“, კლინიკა „მრჩეველი“ და კლინიკა „ნეოლაბი“. **დიაგნოსტიკის ხარჯებს სახელმწიფო მნიშვნელოვნად ფარავს — სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის — ცენტრალური ხელისუფლება — 70 პროცენტს, ადგილობრივი — 20 პროცენტს. დანარჩენ 10 პროცენტს, რაც 40-45 ლარია, იხდის პაციენტი.** პაციენტების მომსახურების გეოგრაფიული არეალი თანდათან გაფართოვდება და მოიცავს რეგიონებს.

ხოლო მკურნალობა, ვიმეორებ, ყველასთვის უფასოა, რადგან წამალი „გილიადმა“ უფასოდ გადმოგვცა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

**— რით მოიხიბლნენ?**

— შარშანდელი სექტემბრის შემდეგ სამ-ოთხჯერ ჩამოვიდა ჩვენთან სხვადასხვა დელეგაციები, სკრუპულოზურად შეისწავლეს სიტუაცია და დაასკვნეს, რომ ამ სოციალური პროექტის განხორციელება საქართველოში შესაძლებელი და ეფექტიანი იქნება. **მკურნალობა უფასოა არა მხოლოდ „გილიადის“ წამლით, არამედ დაავადების ზოგიერთი ფორმის დროს აუცილებელი ინტერფერონითა და რიბავირინით მკურნალობის შემთხვევაშიც.**

შემოდგომისთვის ეს ფირმა მოგვაწვდის იმავე წამლის ახალ, განვითარებულ სახეობას — „ჰარვონს“, რომლის ერთ ტაბლეტში ორი პრეპარატი იქნება და მაშინ მკურნალობას ინტერფერონი აღარ დასჭირდება.

ადამიანებს გაუჩნდათ სრულად გამოჯანმრთელების შესაძლებლობა, რეალური გახდა შანსი იმისა, რომ C ჰეპატიტი არ გართულდეს და არ გადაიზარდოს ციროზში, ღვიძლის კიბოში და ა.შ.

**— თუ ადამიანმა არ იცის, C ჰეპატიტი რომ სჭირს, რა უნდა ქნას?**

— ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, გაარკვიონ თავიანთი სტატუსი ამ დაავადებასთან დაკავშირებით — შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში მათ ამას მარტივი პროცედურით დაუდგენენ. ყველა, ვიმეორებ, ყველა უზრუნველყოფილი იქნება წამლით!

დარწმუნებული ვარ, რომ ამ უპრეცენდენტო პროექტის განხორციელებით საქართველოში შესაძლებელი გახდება C ჰეპატიტის აღმოფხვრა და სწორედ ეს ფაქტი აპირობებს ჩვენი ქვეყნისადმი დიდ საერთაშორისო ინტერესს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«ჩვენ 5 წლის განმავლობაში უნდა ვუმკურნალოთ 100-150 ათას ადამიანს, მაგრამ, რაც მთავარია, უნდა მოვახდინოთ ახალი ინფექციის განვითარების პრევენცია და მოვსპოთ ინფექციის ახალი წყაროები»**

**P.S. ასე რომ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მუშაობს და მას არაფერი ემუქრება, C ჰეპატიტის პროგრამა ამოქმედდა, და ყველას ვუსურვებთ განკურნებასა და ჯანმრთელობას!**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილის პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა შესაძლებლობებმა პოზიტიური ასახვა ვერ ჰპოვა ქართულ სინამდვილეში, ხოლო საქართველო და ქართველი ხალხი მისი ფინანსების მძევალი არ უნდა იყოს დასავლეთის ხელში. უნდა დასრულდეს ამაზრზენი რიტორიკა იმაზეც, რომ ქართველები, რომლებიც იბრძვიან და იხოცებიან უკრაინასა თუ ავღანეთში, საქართველოს მომავალს ემსახურებიან.**

# ღია წერილი

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო პრემიერო, სამჯერ მოგმართეთ კონკრეტული კრიმინალური ქმედების შესახებ, რომელიც პოლიტიკურ შანტაჟს უკავშირდებოდა, მაგრამ წერილები ერთ სივრცეში ტრიალებს სრულიად უშედეგოდ, თუმცა, თუ სიღრმისეულად გავაანალიზებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ეს, ალბათ, არც არის გასაკვირი.**



დანაშაულია, როცა მთავარი პროკურატურა თავიდანვე კბილაშვილ-ნაცვლიშვილის დაქვემდებარებაში მოხვდა. **მთავარი პროკურორი და მისი სამივე მოადგილე, აგრეთვე, დეპარტამენტების, გენინსპექციისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსები ის ადამიანები არიან, რომლებიც საააკაშვილის მმართველობის 9 წლის განმავლობაში ყვლეფდნენ და ატერორებდნენ ქართველ ბიზნესმენებს. ისინი თავიანთ დანაშაულებს არ გამოიძიებენ ამ თანამდებობებზე ყოფნისას.** რაც შეეხება მკვლელობებს, ამაში დამნაშავეა სისტემა, რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდში შეიქმნა და დღესაც მართავს პროცესებს, ხელისუფლებამ კი ვერ გაწმინდა ამ ადამიანებისგან სტრუქტურები. **მართალია, მკვლელობის გამოძიების საქმეები შსს ქვემდებარეა, მაგრამ რა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ასეთმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ერთი გახმაურებული მკვლელობა არ გამოუძიებია?!** სრულიად ზედმეტია ახალი დეპარტამენტის შექმნა და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა. კარგად დასაბუთებული ბრალდების ფონზე არც ადეიშვილს მისცემდა რომელიმე ქვეყანა ლტოლვილის სტატუსს, არც ექსპრეზიდენტი მიიღებდა განსაკუთრებულ ვიზას ვაშინგტონიდან. ცნობილი ფაქტია, რომ არაპროფესიონალი ვერ ეგუება თავის სტრუქტურაში ჭეშმარიტ პროფესიონალს. **სწორედ ახლა, როცა თქვენ სანთლით ეძებთ პროფესიონალებს და ახალი დეპარტამენტიც შეიქმნა, მთავარმა პროკურორმა მაღალი დონისა და კვალიფიკაციის კადრები გაუშვა პროკურატურიდან ბანალური მოტივით, რათა ახალი, მართული დილეტანტებით შეევსო სტრუქტურა. ამით ღიად განაცხადა, რომ ხელისუფლების ნების თანახმად იმართებიან და პროფესიონალი კადრი არ სჭირდებათ. ამ კადრებისგან პროკურატურა უნდა გაიწმინდოს!**

ბატონო პრემიერო, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიგიჩნიეთ გამორჩეულ პოლიტიკოსად, რადგან თქვენი განცხადებები პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს. მართალია, მძიმე მემკვიდრეობა გერგოთ, მაგრამ აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის: ბუნება მთას იმდენს დაათოვს, რამდენსაც აიტანსო. ვიმედოვნებ, რომ გაუძლებთ ევროპა-ამერიკის ზემოქმედებას. აღმოსავლური სიბრძნე, ასევე, გვასწავლის: უზნეოს მეგობრად ნუ გაიხდი, რადგან დაგაზარალებს და გავნებსო. ეს თეზა ქართველმა გენიოსმა ვაჟა-ფშაველამ ასე წარმოგვიდგინა: „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“. ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ქართული ღირებულებების დამკნინებელმა პატარა არსებამ, ყიამყრალმა პარლამენტარმა ტალახი ესროლა. სამარცხვინოა, მსგავსი არსებები პარლამენტიდან რომ გვმოძღვრავენ და ლექციას უკითხავდნენ ახალგაზრდობას, რომ თურმე ქართველები XVII საუკუნეში დედებს ყიდდნენ და ცხენებს ყიდულობდნენ. ამ ლოგიკით **ეს ვაი-პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი დღესაც იმ ცხენს მიაჭენებს, რომელიც მისმა წინაპარმა დედის გაყიდვის სანაცვლოდ იყიდა.** საზოგადოებას დღეს პარლამენტართა გაწვევის მექანიზმი რომ ჰქონდეს, ივანიშვილის რჩეულთაგან აღარავინ დაგრჩებოდათ. ეს არის დღევანდელი ხელისუფლების ზნეობრივი სახე? გარკვეული წრეები პიარსვლების დიდოსტატი კრიმინალების რეპუტაციის შენარჩუნებაზე ზრუნავენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. **ჩვენი ქვეყნისთვის მტრული, მაგრამ ხელისუფლების „მეგობარი“ ევროპა-ამერიკა ცდილობს ამ კრიმინალური სექტის რეანიმირებას უკრაინაში, რათა იქაც ისეთივე დამანგრეველი რეფორმები გატარდეს, როგორიც საქართველოში.** ხელისუფლება, რომელიც ხალხის ნებას ამერიკის ინტერესებს დაუმორჩილებს, განწირულია. **ვისურვებდი ჩემს სამშობლოს ისეთი ხელისუფალი ჰყავდეს, როგორიც არის ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი, რომელმაც, მიუხედავად იმ აგრესიისა, რომელიც მის მიმართ ამერიკამ გამოხატა და იმპიჩმენტი ემუქრება, ამერიკის ელჩს კარისკენ მიუთითა!** XXI საუკუნის გმირია რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც არასდროს დაემორჩილება დასავლეთის დიქტატს და ამერიკის მარიონეტად არ იქცევა თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით. იქნებ მაგალითი ბელარუსისგან აიღოთ, რომელიც ევრაზიული კავშირის წევრია, რუსეთისგან ბუნებრივ აირს შეღავათიან ფასში იღებს, ხოლო პრეზიდენტ **ლუკაშენკოს** პრაგმატული, ქვეყნის კეთილდღეობაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი პოლიტიკის წყალობით, ქვეყანაში პენსია 250-დან 500 დოლარამდეა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. ბელარუსისგან განსხვავებით, ევროკავშირი ვერ ახერხებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, რადგან ამერიკის ეკონომიკაზეა მსოფლიო ეკონომიკის 30% დამოკიდებული და მისი დირექტივების მორჩილმა დასავლეთმა 21 მილიარდი იზარალა რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შედეგად.

**ჩვენ სიცრუეში ვცხოვრობთ. ევრო-ამერიკელ „მეგობრებთან“ და ტელეკამერებთან კეკლუცობა, ხალხისთვის ლოზუნგების სროლა „დემოკრატიაზე“ ბრიყვთათვის ოპიუმია ნიღბით მოსული „კეთილისმყოფელისგან“ და ჩვენს სამშობლოში გაზაფხულს ვერ მოიყვანს.** ხელისუფლებამ მახინჯი სისტემა მოირგო და ეს უნდა დამთავრდეს! **ივანიშვილის პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა შესაძლებლობებმა პოზიტიური ასახვა ვერ ჰპოვა ქართულ სინამდვილეში, ხოლო საქართველო და ქართველი ხალხი მისი ფინანსების მძევალი არ უნდა იყოს დასავლეთის ხელში. უნდა დასრულდეს ამაზრზენი რიტორიკა იმაზეც, რომ ქართველები, რომლებიც იბრძვიან და იხოცებიან უკრაინასა თუ ავღანეთში, საქართველოს მომავალს ემსახურებიან.** არადა, ქართველი ბიჭები საზარბაზნე ხორცად აქციეს. შეგახსენებთ: **გაეროს მონაცემებით, ქართველი ერი დღეს მომაკვდავ ერთა ხუთეულშია; სუიციდის მხრივ, პირველ ადგილზე ვართ ევროპაში ჩვილ ბავშვთა მოკვდავობით — მოწინავე პოზიციაზე.**

ბატონო პრემიერო, რომ ბრძანებთ, ევროპულ კურსს არ შევცვლიო, რა, დაფიცებული გაქვთ „ნაცებისა“ და ალასანიას შიშით? მოგეხსენებათ, **ზვიად გამსახურდიას** ძნელად თუ ვინმე გაუტოლდება სამშობლოს სიყვარულში. აი, რას ამბობს იგი 1992 წლის „ნაროდნაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში: **„ჩემთვის უცხო არ არის პრორუსული განწყობა, მე მუდამ ვესწრაფოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლეთს და მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისას“.** ასე რომ, რუსეთის დასუსტებამ 1920-იან და 1990-იან წლებში მძიმე შედეგი მოუტანა საქართველოსაც.

**დღეს იდეის დონეზეც არ უნდა იყოს განხილული ნატოსა და ევროკავშირში შესვლა, გონიერი ხელისუფლება ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის წისქვილზე წყალს არ დაასხამს და სასწრაფოდ დაიწყებს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას ულტიმატუმის გარეშე.** ვის ვეჭიმებით, რუსეთს, რომელიც ატომურ დარგში კვლავ ინარჩუნებს პირველობას და „როსატომის“ მიერ მიღებული შეკვეთები 69 მილიარდს შეადგენს“?! **აშშ კვლავ ცდილობს თავისი გავლენის გამყარებას საქართველოში და, ფრანგული საინფორმაციო სააგენტო AFP-ის ინფორმაციით, 2016 წელს საქართველო ამერიკისგან 51 მლნ დოლარს მიიღებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა მისი გავლენის ნებისმიერი გამოვლენისგან, ასევე, ზნეობისა და მორალის „მარწუხებისგან“ სრულიად განთავისუფლდეს საქართველო, ხოლო ქვეყნის სათავეში ამერიკის მორჩილი ხელისუფლება მოვიდეს.**

ივანიშვილის განცხადება პრემიერის რანგში ასეთი იყო: რუსეთს მანამ არ დაველაპარაკებით, სანამ ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებულიო; შემდეგ, როგორც ჩანს, გონების თვალი გაეხსნა და ბრძანა, მეზობელი ქვეყნის ინტერესები უნდა გავითვალისწინოთო, თუმცა მის სიტყვებს საქმე არ მოჰყოლია. მანვე დააანონსა სოციალური ფონის გაუმჯობესების პერსპექტივა 2030 წლისთვის, მაგრამ დღეს რეალურად მხოლოდ ხელისუფლების ზედა ეშელონის წარმომადგენელთა ინტერესებია გათვალისწინებული: **შეიძინეს 247 მლნ ლარის ღირებულების მანქანები, დაირიგეს 250 მლნ ლარზე მეტი პრემიები და ხელფასები, ანუ გაიცა თანხა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტის საკმაო ნაწილს შეადგენს და შედეგად ეკონომიური კრიზისიც მივიღეთ.** ქვეყანაში არ იქმნება პროდუქცია, ხოლო მცირე მეწარმეობა 2006 წლიდან კანონგარეშე გამოცხადდა. რეგულირებული არ არის საბიუჯეტო თანხების პროპორციული განაწილების პრინციპი, ხელისუფლებამ სააკაშვილისეული მოდელი მოირგო და, საარსებო მინიმუმთან შედარებით, 33-ჯერ მეტ ხელფასს უხდის მინისტრს. **ქართველმა ხალხმა იმიტომ მოიყვანა „ოცნება“ ხელისუფლებაში, რომ თვითონ იშიმშილოს და კისერდასიებული სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც „ბაკულას ღორები“ შეარქვეს, ფუფუნებაში აცხოვროს?! ექსპრემიერმა თავისი ჯიბიდან გადაუხადოს ფული მის მიერვე არჩეულ პრეზიდენტსა და პარლამენტს, ბიუჯეტი კი ხალხს მოახმარეთ!**

თქვენი რეალური მხარდამჭერი მხოლოდ ქართველი ხალხია, თუკი მათი მოთხოვნები იქნება დაკმაყოფილებული, რაც ნამდვილად არ საჭიროებს დიდ ძალისხმევას თქვენგან:

*სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან ევროპის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე;

*გათავისუფლდეს პროკურატურა საფინანსო პოლიციის კადრებისგან და სამართლიანობის დამკვიდრება ინტენსიურ ფაზაში შევიდეს;

*საბიუჯეტო თანხების განაწილება სახელფასო ფონდში მოხდეს პროპორციული სისტემით — საარსებო მინიმუმის არაუმეტეს ხუთმაგი ოდენობისა;

*დაბრუნდეს დავით აღმაშენებლის ძეგლი ძველ ადგილზე, ასევე, სტალინის ძეგლი გორში.

*გადაეცეს მწერალთა სახლი მწერლებს, ხოლო საგამომცემლო სახლი — ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს;

* შეჩერდეს ჰუდონჰესის მშენებლობა.

*შეჩერდეს უძველესი კულტურის ძეგლის — საყდრისის აფეთქება, ეს ხელისუფლების სირცხვილია!

*თბილისის აეროპორტს დაერქვას ზვიად გამსახურდიას სახელი.

ბატონო პრემიერო, რატომ იბლოკება აკადემიკოს **გენო უშვერიძის** გამოგონება სოფლის მეურნეობაში — ხორბლის სადღეღამისო თესვის ნოვატორული მეთოდი, რომლის შემდეგაც მთლიანად დაკმაყოფილდებოდა საქართველოს მოთხოვნა ხორბალზე, მაშინ, როცა საქართველოში მოხმარებული ხორბლის 80% შემოგვაქვს? იმიტომ ხომ არა, რომ შემომტანის კერძო ინტერესია გათვალისწინებული?

რატომ იბლოკება აკადემიკოს **პაატა გიორგაძის** მიერ ინიცირებული მტკნარი წყლის ინდუსტრიალიზაციის პროექტი და რატომ ეწინააღმდეგებით, რომ თითოეული მოსახლე 460 ათასი დოლარის მატერიალური ფასეულობის მფლობელი გახდეს, ხოლო საქართველოს შემოსავალი წელიწადში 12 მილიარდით გაიზარდოს? იმიტომ ხომ არა, რომ ეს ბუნებრივი სიმდიდრე კონკრეტული პირების საკუთრებად აქციოთ, როგორც — ბორჯომის წყალი?

აი, ამ გამოგონებებს ბლოკავს სახელმწიფო და ქვეყნის წინსვლას აფერხებს — ეს ვის დავაბრალოთ?

შეწყდეს ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა, რაც ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ განხორციელებული შეგნებული ბოროტებაა. დღეს უცხოელებზე გაყიდულია 32 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა. საქართველოს მიწა-წყალი ხელისუფლების საკუთრება არ არის, რომ ქართველ ხალხს გაუყიდოს მიწა, რომელიც გლეხმა და ფერმერმა უნდა დაამუშაოს!

ეს თქვენი საქართველოა, ბატონო პრემიერო!

**ჯერ კიდევ პატივისცემით,**
**იზა თამაზაშვილი**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








ბო-კხატ-რე-სოა

# ვიეტნამი — უძველესი ტაძრების ქვეყანა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ვიეტნამი (სოციალისტური რესპუბლიკა ვიეტნამი) აზიის სამხრეთში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოა. დასავლეთით ესაზღვრება ლაოსსა და კამბოჯას, ჩრდილოეთით — ჩინეთს, აღმოსავლეთითა და სამხრეთით აქვს სანაპირო ზოლი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

ქვეყნის სახელწოდება შედგება ორი ნაწილისგან: „ვიეტ“ ნიშნავს ტიტულოვან ერს — „ვიეტებს“, „ნამი“ — სამხრეთს, ანუ ვიეტნამი — „ვიეტების ქვეყანა სამხრეთში“.

ვიეტებს ამ ტერიტორიაზე ჩვ.წ.აღ-მდე VI საუკუნეში ჰქონდათ სახელმწიფო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიეტნამი საფრანგეთის კოლონიად იქცა. 1954 წლის 21 ივლისს კი დამოუკიდებლობა მოიპოვა (საფრანგეთისგან), თუმცა **დამოუკიდებლობის დღეს 2 სექტემბერს** აღნიშნავს.

1965-1973 წლებში აშშ-ის მიერ გაჩაღებულმა დაპყრობითმა ომმა ვიეტნამი ძალიან დააზარალა. ეს იყო აშშ-ის მიერ ჩადენილი უდიდესი დანაშაული, რომელმაც 1,1 მლნ ვიეტნამელისა და 60 ათასი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა.

ვიეტნამის ტერიტორიის 80% დაბალი მთიანეთია. ეს ქვეყანა 3000 პატარა კუნძულის მფლობელია.

უდიდესი მდინარეებია ხონგხა (1183 კმ) და მეკონგი (4500 კმ).

**კლიმატი.** ვიეტნამის ჩრდილოეთში კლიმატი სუბტროპიკულია, მშრალი, რბილი ზამთრითა და ტენიანი ცხელი ზაფხულით. სამხრეთში კლიმატი ტროპიკულია. საშუალო წლიური ტემპერატურა ჩრდილოეთში **პლუს 15-25 გრადუსია, სამხრეთში — პლუს 26-29 გრადუსი.**

**ფლორა.** ვიეტნამის ტერიტორიის 40% ტროპიკული ტყეებით არის დაფარული. ხარობს ისეთი მცენარეები, როგორიცაა ბამბუკი, მუხა, წაბლი, ფიჭვი, ჩაი, შაქრის ლერწამი, ბანანი და სხვა.

**ფაუნა.** ვიეტნამის ცხოველთა სამყარო მდიდარია. აქ ბინადრობს სპილო, ირემი, დათვი, ვეფხვი, ლეოპარდი, მაიმუნი, კურდღელი, ნიანგი.

**მოსახლეობა.** ვიეტნამის მოსახლეობა **92,4 მლნ** კაცს შეადგენს 2013 წლის შეფასება) და ამ მაჩვენებლით მე-14 ადგილზეა მსოფლიოში. ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: ვიეტები — 85,7%; ტაი — 1,9%; ტხაი — 1,8; ბიონგი — 1,5%; კხმერები — 1,5%; მიაო — 1,2%; ნუნგები — 1,1% და სხვ.

**დედაქალაქი — ჰანოი (7 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: ხოშიმინი (7,5 მლნ); ჰანოი; ჰაიფონი (2 მლნ.).**

**ოფიციალური ენა: ვიეტნამური.**


ყურე ხოშიმინში


ჰანოი

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ვიეტნამი რესპუბლიკაა. 1992 წელს მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის პირველი პირია პრეზიდენტი. ამჟამად ვიეტნამის პრეზიდენტია **ჩიაონგ ტან შანგი,** პრემიერმინისტრი — **ნგუენ ტან ზუნგი.** საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი ეროვნული საკრებულო, რომელიც 498 დეპუტატისგან შედგება.

ვიეტნამი დაყოფილია 58 პროვინციად და ცენტრს დაქვემდებარებულ 5 ქალაქად, აგრეთვე რაიონებად, რომლებიც პროვინციების ხელისუფლებებს ემორჩილება.

**რელიგია.** ვიეტნამელთა დიდი ნაწილი (45%) ადგილობრივი ტრადიციული რელიგიის მიმდევარია — წინაპრების კულტის. ბუდიზმს აღიარებს მოსახლეობის 16%, ქრისტიანობას (ძირითადად, კათოლიციზმს) — 8%; არიან, აგრეთვე, ინდუიზმის, ისლამის, პროტესტანტიზმის, ხაოხაოს და კაოდაის მიმდევრებიც.

## ეკონომიკა

ვიეტნამის სახელმწიფო ბიუჯეტი, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისგან მიღებული შემოსავლით ივსება, დიდია, აგრეთვე, მეთევზეობის წილიც.

საექსპორტოდ აწარმოებენ ბრინჯს, ყავას, კაუჩუკს, ბამბას, ჩაის, შაქრის ლერწამს, არაქისს, ბანანებსა და ანანასს.

ბოლო ხანს დაიწყეს ფიჭური ტელეფონების, კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის წარმოება.

მოიპოვებენ ფოსფატებს, ქვანახშირს, მარგანეცს, ბოქსიტებს, ნავთობსა და ბუნებრივაირს (ზღვის შელფზე).

ვიეტნამის მთლიანი შიგა პროდუქტი **276,6 მლრდ დოლარს** შეადგენს (42-ე), მოსახლეობის ერთ სულზე — **3100 დოლარს** (166-ე).

**ვალუტა: ვიეტნამური დონგი. 1 აშშ დოლარი უდრის 21805 ვიეტნამურ დონგს.**


თეთრი ბუდა

**ინტერნეტდომენი: vn**
**სატელეფონო კოდი: +84**
**საათობრივი სარტყელი: GMT+7**

## კულტურა

ვიეტნამური კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის აღმოსავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ სწავლებებს — ბუდიზმსა და კონფუცის მოძღვრებას, რომლებთან ერთადაც ქვეყანაში შევიდა ინდოეთისა და ჩინეთის კულტურა. მოგვიანებით კი ქვეყანამ ფრანგული კულტურის გავლენა განიცადა. ვიეტნამი განთქმულია კერამიკული ნაწარმით, საიუველირო ნაკეთობებით.

არქიტექტურა წარმოდგენილია სხვადასხვა რელიგიის ტაძრებით, რომელთა შორის გამოირჩევა XIII-XIX საუკუნეებში აგებული **ბუტ-თხაპისა** და **ტეი-ფიონგის** სამონასტრო კომპლექსები.

ვიეტნამელი მწერლებიდან აღსანიშნავია **ნგუენ ზუ** (1765-1820), რომელმაც სახელი გაითქვა ეპიკური პოემით „კიეუ“.

**ღირსშესანიშნაობები.** ჰანოიში: სამხატვრო მუზეუმი; პაგოდა (ბუდისტური ნაგებობა) ტრან-კუოკი; ხოშიმინის მავზოლეუმი; კონფუცისადმი მიძღვნილი მუზეუმი. ხოშიმინში: ტაძარი ნოტრ-დამი; ინდუისტური ტაძარი მარიამანი; ბოტანიკური ბაღი; იმპერატორ აიანამას სასახლე. მიშონში — ბო-კხატ-რე-სოას (X საუკ.) ტაძარი.

## სამზარეულო

ვიეტნამური სამზარეულოსთვის დამახასიათებელია კერძებში ბრინჯის, საწებლების, პიტნის, ქინძის გამოყენება. კერძებს ამზადებენ ძირითადად ღორის და ქათმის ხორცისგან, პოპულარულია კრევეტები.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


პაგოდა ჰანოიში



### კრევეტები მანგოთი

**ინგრედიენტები:**
- მანგო — 1 ცალი
- კანგაცლილი კრევეტები — 400 გრ
- შავი პილპილი (დაფქული) — 4 ჩ/კ
- ლიმონი — 1 ც
- ზეითუნის ზეთი — 4 ჩ/კ
- მარილი — გემოვნებით
- მზესუმზირის ზეთი — 50გრ
- მწვანე ხახვი — 2 ც

**მომზადება:**

1. მსხვილი კრევეტები გარეცხეთ ცივ წყალში, გააშრეთ და დადეთ თეფშზე. მოაყარეთ შავი პილპილი და ცოტა მარილი.
2. მოაცილეთ კანი მანგოს და დაჭერით.
3. ტაფაზე დაასხით მზესუმზირის ზეთი და ნელ ცეცხლზე დადგით, როდესაც ზეთი გაცხელდება მასში მანგოს ნაჭრები ჩააგდეთ (ბრტყელი მხარე ქვემოთ უნდა მოექცეს). შეწვით სამი წუთის განმავლობაში, შემდეგ კი თეფშზე გადაიტანეთ.
4. იმავე ტაფაზე დაყარეთ კრევეტები და 3-5 წთ-ის განმავლობაში წვით.
5. შემწვარი კრევეტები მანგოიან თეფშზე გადაიტანეთ, მოასხით ზეითუნის ზეთი და მოაყარეთ მარილი (გემოვნებით).

კერძი ლიმონის ნაჭრებითა და წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვით მორთეთ, შემდეგ კი სუფრაზე მიიტანეთ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1954 წელს ალბერტ აინშტაინი კალიფორნიის ერთ-ერთ საზღვაო ბაზაზე მეცნიერთა მცირე ჯგუფთან ერთად საიდუმლო ექსპერიმენტზე მუშაობდა. როდესაც სპეციალური დანადგარი ჩაირთო, რეიდზე მდგომი პატარა სამხედრო ხომალდი თავის ეკიპაჟთან ერთად მოულოდნელად გაქრა. გემი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ აღმოაჩინეს, 6000 კილომეტრის დაშორებით იგი მშვიდად მიაპობდა იაპონიის ზღვის ტალღებს.**



# ზოგი რამ ტელეპორტაციის შესახებ

**ტელეპორტაცია ანუ დროსა და სივრცეში გადაადგილება უხსოვარი დროიდან შეუცნობელი მოვლენაა. ამოუხსნელი მიზეზით ადამიანები უჩინარდებოდნენ, რამდენიმე ხნის შემდეგ კი სრულიად სხვა დროსა და სივრცეში ჩნდებოდნენ. ტელეპორტაცია (ბერძნ. tele — შორს, ინგლის. porteij — გადატანა) არის მატერიალური სხეულის მყისიერი გადაადგილება სივრცესა და დროში. ეს ტერმინი პირველად 1930 წელს ჩარლზ ფორტონმა გამოიყენა. მეცნიერებაში ტელეპორტაცია სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებისა და ხერხის გამოყენებით მიიღწევა. ამერიკელმა მეცნიერებმა თეორიულად ტელეპორტაციის რამდენიმე ხერხი აღმოაჩინეს – არხობრივი, შემსრუტავი და გამომაძევებელი, პრაქტიკულად კი მხოლოდ ერთი — კვანტური ტელეპორტაცია იქნა დადასტურებული.**

ინგლისის ბიოფიზიკური ცენტრის მეცნიერები ატარებდნენ ფრიად საინტერესო ექსპერიმენტებს კვანტური ტელეპორტაციის სფეროში, ანუ ბიოლოგიური ობიექტების შესახებ ინფორმაციის მყისიერი და ნებისმიერ მანძილზე გადაცემის სფეროში. ყველაფერი ეს, როგორც ივარაუდება, ჩვენი სამყაროსა და პარალელურ სამყაროებს შორის ფარული კავშირის გარკვეული გამოხატულებაა. **ჩვენთვის უცნობი ფაქტორების ზეგავლენით, სივრცის გარკვეულ მონაკვეთზე ჩნდება „ხვრელი“, რომელსაც შეუძლია, ადამიანი სულ სხვა ადგილას და სულ სხვა დროში აღმოაჩინოს.**

ჯერჯერობით ბიოლოგიური ობიექტების როლში გამოდიან ლაბორატორიის თაგვები, მაგრამ ექსპერიმენტები უკვე იძლევა დასკვნების გამოტანის საშუალებას: ის, რასაც ასი წლის წინათ წინასწარმეტყველებდა აინშტაინი, ხოლო შემდეგ მწერალი ფანტასტები, სავსებით რეალურია. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ჯერჯერობით ეს ძნელი მისაღწევია, სავსებით შეესაბამება ფიზიკის კანონებს.

**1954 წელს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, ალბერტ აინშტაინი კალიფორნიის ერთ-ერთ საზღვაო ბაზაზე მეცნიერთა მცირე ჯგუფთან ერთად საიდუმლო ექსპერიმენტზე მუშაობდა. ექსპერიმენტი ტრაგიკულად დასრულდა. როდესაც სპეციალური დანადგარი ჩაირთო, იქვე, რეიდზე მდგომი პატარა სამხედრო ხომალდი თავის ეკიპაჟთან ერთად მოულოდნელად გაქრა. ექსპერიმენტი სასწრაფოდ შეწყვიტეს და გემზე ძებნა გამოაცხადეს. გემი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ აღმოაჩინეს, იგი მშვიდად მიაპობდა იაპონიის ზღვის ტალღებს (რომელიც კალიფორნიიდან 6000 კილომეტრითაა დაშორებული), ეკიპაჟის ყველა წევრი მკვდარი იყო.**

ექსპერიმენტი აღარ გაუმეორებიათ, აინშტაინმა კი, ალბათ, იცოდა, რომ უნებურად, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ხელოვნური ტელეპორტაცია განახორციელა.

ყველაზე იდუმალი და საიდუმლოებით მოცული ექსპერიმენტი, რომელიც ტელეპორტაციას მოიცავდა, გემი „ელდრიჯის“ ისტორიაა.

1943 წელს აშშ-ის საზღვაო ძალებმა მოინდომეს, შეექმნათ საზღვაო ხომალდი, რომელიც მოწინააღმდეგეების რადარებისთვის უჩინარი იქნებოდა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ხომალდი „ელდრიჯი“, რომელსაც საფუძვლად აინშტაინის გათვლები ედო. გამომცდელებმა ხომალდზე დააყენეს სპეციალური რადარები და გადაწყვიტეს, გემზე ცდა ჩაეტარებინათ. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა — გემი გაქრა, ოღონდ არა მხოლოდ რადარებისთვის. გემი საერთოდ გაქრა, უხილავი გახდა. გარკვეული დროის შემდეგ „ელდრიჯი“ სხვა ადგილას იპოვეს ნახევრად მკვდარი და ნახევრად შეშლილი ეკიპაჟით.

თუ დღეს ამ გემის ისტორია ცნობილი და ხელმისაწვდომია, ეს ასტროფიზიკოს მორის ჯესუპის დამსახურებაა. 1956 წელს მან გამოსცა ნაშრომი დროსა და სივრცეში მოგზაურობის შესახებ. სწორედ ამ ნაშრომს გამოეხმაურა ვინმე კ. ალენდე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხომალდ „ენდრიუ ფიურესეტზე“ მსახურობდა. „ენდრიუ ფიურესეტიც“ ზემოხსენებული ექსპერიმენტის მონაწილე იყო. ამ ადამიანის მტკიცებით, მან თავისი თვალით ნახა, როგორ გაუჩინარდა „ელდრიჯი“ ნისლში, მაგრამ გაუჩინარებას არანაკლებ საინტერესო ამბები მოჰყოლია.

**„ელდრიჯი“ ისევ გაჩნდა, ხოლო გადარჩენილ ეკიპაჟს უცნაური ანომალიები დაეწყო: ჯერ იყო და ორი მეზღვაური თავისით აალდა და 18 დღე იწვოდა, ისე, რომ ვერავინ შეძლო ცეცხლის ჩაქრობა, შემდეგ ერთი მეზღვაური საკუთარი სახლის კედელში გაუჩინარდა, ოჯახის თვალწინ.** ეს ყველაფერი ჯესუპიმ მოიძია და ბოლოს თავისი აზრი ჩამოაყალიბა ამის თაობაზე: **„ექსპერიმენტი ძალიან საინტერესო და ძალიან საშიშია. დიდ ზეგავლენას ახდენს მონაწილე სუბიექტებზე. ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ მაგნიტური გენერატორები, რომლებიც მუშაობდა რეზონანსულ სიხშირეებზე და ქმნიდა საშინელ ველს ხომალდის გარშემო. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი განზომილებიდან დროებითი ამოვარდნა და შეიძლება შეფასდეს, როგორც სივრცითი გარღვევა, თუ პროცესი კონტროლს დაექვემდებარება“.**



**მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა კვანტური ტელეპორტაციის სფეროში, მეცნიერება ჯერჯერობით უძლურია, განახორციელოს რთული ნივთების, გინდაც მარტივი უჯრედების, ტელეპორტაცია**



მალე ჯესუპი მოკლული იპოვეს. სამხედრო საზღვაო ძალები კატეგორიულად უარყოფდა მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარებას, მაგრამ დროთა განმავლობაში მოწმეები გამოჩნდნენ, ასევე ცნობილი გახდა აინშტაინის მიერ შესრულებული გამოთვლების შავი ჩანაწერები, საგაზეთო სტატიები, რომლებშიც აღწერილი იყო, როგორ გადნა ეკიპაჟის ორი გადარჩენილი წევრი ყველას თვალწინ.

ეს საქმე დღესაც არ არის ბოლომდე გახსნილი და დღესაც უდიდეს ინტერესს იწვევს. ამერიკელი ინჟინერ-ელექტრიკოსი ადამ სკილინგი ყვება: „1990 წელს ჩემმა ფლორიდელმა მეგობარმა მარგარეტ სენდისმა მე და ჩვენი საერთო მეგობრები დაგვპატიჟა ექიმ კარლ ლაისლერთან, რათა განგვეხილა ექსპერიმენტის ზოგიერთი დეტალი. ლაისლერი ფიზიკოსია, რომელიც მუშაობდა 1943 წელს აღნიშნულ პროექტზე. მისი თქმით, გემზე დაყენებული გენერატორები იმ რაოდენობის ენერგიით იკვებებოდა, რამდენიც საშუალო ზომის ქალაქის განათებას სავსებით ეყოფოდა. ექსპერიმენტის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერ ელექტრომაგნიტურ ველს უნდა შეესრულებინა ეკრანის ფუნქცია რადარის ტალღებისთვის. ლაისლერი ნაპირზე იმყოფებოდა და აკონტროლებდა ექსპერიმენტის მსვლელობას. როცა მაგნერტონი ამუშავდა, ხომალდი გაქრა. გარკვეული დროის შემდეგ ისევ გაჩნდა, მაგრამ ეკიპაჟის დიდი ნაწილი გარდაცვლილი იყო. **ზოგიერთი გვამი გარდაიქმნა იმ ტიპის ლითონად, რომლისგანაც ხომალდი იყო დამზადებული.** ლაისერი და ექსპერიმენტის მონაწილე მისი კოლეგები ვარაუდობენ, რომ მათ გაგზავნეს ხომალდი სხვა დროში. ამ დროს ხომალდი დაიშალა მოლეკულებად და, როცა დაიწყო უკუპროცესი, ადამიანის ორგანული მოლეკულების ნაწილი შეიცვალა ლითონის ატომებით“.

2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ დოქტორ ერიკ დეივისს დაავალა ტელეპორტაციის მეცნიერული შესწავლა. დოქტორმა დეივისმა თავისი გამოკვლევების შედეგები წარმოადგინა 2004 წლის 1 აგვისტოს. ამ მოხსენებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სამეცნიერო წრეებში, რამეთუ თავის მოხსენებაში იგი რეკომენდაციას იძლეოდა, გაღრმავებულიყო ფსიქიკური ტელეპორტაციის შესწავლა. დეივისს ნება დართეს, გამოეყენებინა გასაიდუმლოებული დოკუმენტებიც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ტელეპორტაციას ეხებოდა. ერიკ დეივისმა ჩამოაყალიბა ტელეპორტაციის კონცეფცია და ეს კონცეფცია იმდენად საინტერესო და ყურადსაღებია, რომ მეცნიერს აშშ-ის ხელმძღვანელობამ ექსპერიმენტების გაგრძელების უფლება და საშუალება მისცა.

დოქტორმა დეივისმა თავისი გამოკვლევების დროს ტელეპორტაციის კონცეფცია ხუთ დასად დაჰყო:

**SF-ტელეპორტაცია** (SF — science-fiction (ინგ.) — სამეცნიერო ფანტასტიკა) არის „ადამიანების ან ინერტული სხეულების „უსაგნო“ გადაადგილება სივრცეში განვითარებული ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით“. მოხსენებაში, ფაქტობრივად, მეტი არაფერია ნათქვამი SF-ტელეპორტაციის შესახებ და იგი გამოკვლევის მიღმაა დარჩენილი.

**VM-ტელეპორტაცია** (VM — metric of the vacuum (ინგ.) — ვაკუუმის მეტრიკა) არის „ადამიანების ან ინერტული სხეულების „უსაგნო“ გადაადგილება სივრცეში ვაკუუმის თვისებებისა თუ სივრცე-დროის მეტრიკის (გეომეტრიის) შეცვლის გზით“. ამ ტიპის ტელეპორტაციაში გამოყენებული ხერხები ისეთ თეორიულ ცნებებს ემყარება, როგორიცაა ნულოვანი წერტილის ენერგიის გამოყენება, სივრცე-დროის სიმრუდის ადგილობრივი დეფორმაცია ჭიახვრელის შესაქმნელად და ვაკუუმის გამტარობისა და სინათლის სიჩქარის შეცვლა. მოხსენება მხარს უჭერს ამ მიმართულებით თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების წარმართვასა და გაძლიერებას.

**Q-ტელეპორტაცია** (Q — quantum (ინგ.) — კვანტი) არის „ერთი კვანტური სისტემის მდგომარეობისა და მისი კორელაციების უსაგნო გადაადგილება სივრცეში მეორე სისტემისკენ, სადაც სისტემა შეიძლება აღნიშნავდეს ნივთიერებისა თუ ენერგიის განმხოლოებულ ან დაჯგუფებულ ნებისმიერ ნაწილაკს. მოხსენების ეს ნაწილი აღწერს პროცედურას, რომელიც მოგვაგონებს სერიალ Star Trek-ში გამოყენებულ ტელეპორტაციის ხერხს: გადასაგზავნი ნივთისა თუ არსების შემადგენელი ყველა ნაწილაკის ზედმიწევნით ანალიზი, ნივთის (არსების) დემატერიალიზაცია, ნივთიერებისა და მასთან დაკავშირებული კვანტური ინფორმაციის გადაცემა და ნივთის (არსების) აღდგენა დანიშნულების წერტილში. ეს მეთოდი იყენებს კვანტურ ტელეპორტაციას კვანტური ინფორმაციის გადასაცემად კვანტური ჩახლართულობის გზით. მოხსენების დასკვნაში აღნიშნულია, რომ, **მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა კვანტური ტელეპორტაციის სფეროში, მეცნიერება ჯერჯერობით უძლურია, განახორციელოს რთული ნივთების, გინდაც მარტივი უჯრედების, ტელეპორტაცია.** მოხსენებაში წამოყენებულია წინადადება, რომ გაღრმავდეს ამ სფეროში ამჟამად წარმოებული სხვადასხვა გამოკვლევა.

**E-ტელეპორტაცია** (E — exotic (ინგ.) — ეგზოტიკური) არის „ადამიანების ან ინერტული სხეულების „უსაგნო“ გადაადგილება სივრცის სხვა განზომილებათა თუ პარალელურ სამყაროთა ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# 1960 წელს ონტარიოს შტატში, უამრავი ადამიანის თვალწინ 13 წლის ბიჭი დაიკარგა. მას ვერავინ ხედავდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ კი ბიჭი უეცრად იმავე ადგილას გაჩნდა, თითქოს არსად წასულა.

◀ გამოყენების გზით“. მოხსენების ამ ნაწილში დოქტორი დეივისი მოკლედ მიმოიხილავს განსხვავებულ თეორიებს (მრავლობითი სამყარო, სიმთა თეორია და ბრანული კოსმოლოგია...), რომლებიც ვარაუდობენ ჩვენთვის ცნობილი 4 განზომილების გარდა სხვა განზომილებების ან ჩვენი სამყაროს პარალელური სამყაროების არსებობას. **E-ტელეპორტაციის იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს განზომილებები და სამყაროები გამოყენებულ იქნეს, როგორც ერთგვარი მოკლე გზა, რომელიც მოგვცემდა ჩვენი ფიზიკური სამყაროს ორ უკიდურესად დაშორებულ წერტილს შორის სწრაფი მოგზაურობის საშუალებას.** მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ეს თეორიები, მიუხედავად მათი მომხიბვლელობისა, იმდენად ნედლი და უმწიფარია სადღეისოდ, რომ ძალიან ადრეა მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე ფიქრი.

**P-ტელეპორტაცია** (p — parapsychologic (ინგ.) — პარაფსიქოლოგიური) არის „ადამიანების ან უსულო საგნების გადაადგილება პარანორმალურ საშუალებათა გამოყენებით“. დეივისის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად გასულ საუკუნეში ამ მოვლენის ირგვლივ დადასტურებული მრავალი თაღლითობისა, სამხედრო და სამოქალაქო მკვლევართა მიერ ბოლო ხანებში მოპოვებულ იქნა დამაფიქრებელი შედეგები და რომ ამ სფეროში საჭიროა კვლევების გაგრძელება.

ხელოვნური ტელეპორტაციის სფეროში მეცნიერებს გარკვეული წარმატებები უკვე აქვთ. **გასულ წელს ჰოლანდიელმა მეცნიერებმა კვანტური ტელეპორტაციის საკითხში მიაღწიეს შედეგს, რომელსაც შეუძლია, დაამტკიცოს, რომ აინშტაინი ცდებოდა კვანტური გადახლართვის საკითხში, როცა მას „მოჩვენებითი დისტანციური ქმედება“ უწოდა.**

დელფტის უნივერსიტეტის ნანომეცნიერების დეპარტამენტის ფიზიკოსები ირწმუნებიან, რომ მოახერხეს კვანტური ინფორმაციის გადაგზავნა ალმასის ორ სხვადასხვა ნაჭერს შორის, რომლებსაც ერთმანეთისგან 3 მეტრი აშორებდა.

კვლევის ერთ-ერთი ავტორის, პროფესორ რონალდ ჰანსონის თქმით, შესაძლებელია, ვარსკვლავური გზის (Star Trek) სტილის ტრანსპორტერი მომავალში რეალობად იქცეს.

„რის ტელეპორტირებასაც ვახდენთ, არის ნაწილაკის მდგომარეობა, — აღნიშნა პროფესორმა ჰანსონმა, — თუკი ჩათვლით, რომ ჩვენ სხვა არაფერი ვართ, თუ არა სპეციფიკურად თავმოყრილი ატომების კოლექცია, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს ჩვენი ტელეპორტაცია ერთი ადგილიდან მეორეზე. პრაქტიკაში ამის შანსი დაბალია, თუმცა მისი გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან არ არსებობს ფიზიკის ფუნდამენტური კანონი, რომელიც ამას ხელს შეუშლის“.

**კვანტური ინფორმაციის ზუსტი ტელეპორტაცია წინ გადადგმული ნაბიჯია კვანტური ქსელების ასაგებად, რომლებიც უფრო ძლიერი და დაცულები იქნება, ვიდრე ამჟამინდელი სუპერკომპიუტერები.**

„კვანტური ტელეპორტაციის მთავარი გამოყენება იქნება ინტერნეტის კვანტური ვერსია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გავრცელდება და მისი დახმარებით კვანტურ ინფორმაციას გავგზავნით, — ამბობს პროფესორი ჰანსონი, — ნაწილაკების გადახლართვას ვიყენებთ, როგორც საკომუნიკაციო არხს. ინფორმაცია გადაიგზავნება მეორე მხარეს და არ არსებობს გზა, რომლითაც ვინმე შეძლებს ამ ინფორმაციის ხელში ჩაგდებას“.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულად საკითხი ბოლომდე ვერ დაზუსტდა და ხელოვნურად ტელეპორტაციის პროცესი დიდი დანაკარგებისა და დიდი კითხვის ნიშნების გარეშე ვერა და ვერ განახორციელეს, ტელეპორტაციის არაერთი მაგალითი ადასტურებს, რომ მსგავსი რამ ნამდვილად რეალობაა.

**1960 წელს ონტარიოს შტატში, უამრავი ადამიანის თვალწინ 13 წლის ბიჭი დაიკარგა. მას ვერავინ ხედავდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ კი ბიჭი უეცრად იმავე ადგილას გაჩნდა, თითქოს არსად წასულა.**

ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი ტელეპორტაციის შესახებ ესპანურ არქივებში გვხვდება და ის 1593 წლის ოქტომბერში მექსიკაში მომხდარ შემთხვევას აღწერს. ესპანური არმიის მაიორმა რიგით ჯარისკაცებში უცნაური ადამიანი შეამჩნია, რომლის ჩაცმულობა და ეკიპირება სხვა ჯარისკაცებისგან სრულიად განსხვავებული იყო. როდესაც მაიორმა ჯარისკაცს შენიშვნა მისცა, ეს უკანასკნელი ესპანურად ალაპარაკდა: „მე ჟილ პერესი მქვია. გამაგზავნეს გუბერნატორის სასახლის დასაცავად, მაგრამ სასახლემდე ვერ მივაღწიე. ვხვდები, რომ ვიმყოფები სულ სხვა ადგილას, უცნობ ადამიანებში, თუმცა მეც ესპანელი გახლავარ“. მაიორის შეკითხვაზე, რომელი გუბერნატორის სასახლეს იცავდა, ჯარისკაცმა უპასუხა, ფილიპინებზე ესპანური კოლონიების გუბერნატორის სასახლესო. ჯარისკაცი ამის გამო კინარამ ინკვიზიციის მსხვერპლი გახდა, რადგან სასულიერო პირებს იგი ეშმაკი ეგონათ, არადა, იგი მართლაც ფილიპინებიდან, ესპანური კოლონიიდან აღმოჩნდა. ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ სწორედ ფილიპინებზე მსახურობდა, ის სახეზე იცნო.

**მისგან განსხვავებით, გაუმართლა იაპონელ სამურაის. 1862 წელს აშშ-ში, ნიუ იორკში, სამურაი, რომელმაც გამვლელების ყურადღება თავისი ჩაცმულობითა და დაბნეულობით მიიქცია, დააპატიმრეს. გაირკვა, რომ იგი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა, გზაზე მიმავალმა მოულოდნელად გონება დაკარგა და აზრზე მოსვლის შემდეგ უკვე XIX საუკუნეში აშშ-ში აღმოჩნდა.**

სხვათა შორის, ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ცნობილი გრაფი სენ-ჟერმენი დაპატიმრების შემდეგ ბასტილიის ციხიდან სწორედ ტელეპორტაციის გამოყენებით გაიქცა. მან სარკე მოითხოვა, მცველებმა მიუტანეს. მეორე დღეს სენ-ჟერმენის საკანში მხოლოდ გატეხილი სარკე ნახეს, თავად გრაფი კი არსად იყო.



**მისგან განსხვავებით, გაუმართლა იაპონელ სამურაის. 1862 წელს აშშ-ში, ნიუ იორკში, სამურაი, რომელმაც გამვლელების ყურადღება თავისი ჩაცმულობითა და დაბნეულობით მიიქცია, დააპატიმრეს. გაირკვა, რომ იგი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა, გზაზე მიმავალმა მოულოდნელად გონება დაკარგა და აზრზე მოსვლის შემდეგ უკვე XIX საუკუნეში აშშ-ში აღმოჩნდა**






1943 წელს აშშ-ში სამხედრო-საზღვაო ძალებში მეცნიერების მიერ ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის დროსაც გაქრა ნაღმოსანი გემი „ელდრიჯი“, მასზე 181 ადამიანი იმყოფებოდა. გემი ასეულობით კილომეტრის დაშორებით გამოჩნდა. ეს ფაქტი გასაიდუმლოებული იყო და ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ XX საუკუნის დასასრულს გახდა.

კენიაში, რუდოლფის ტბაზე, არის კუნძული ენვაიტენტი (**ენვაიტენტი** ადგილობრივი ტომის, ელმოლოს ენაზე **მოუსავლეთს** ნიშნავს). კუნძული სიგრძესა და სიგანეში სულ რამდენიმე კილომეტრია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას დაწყევლილ ადგილად თვლიან და ახლოს არ ეკარებიან.

1935 წელს კენიაში მუშაობდა ინგლისელების ექსპედიცია ვივიან ფუშის ხელმძღვანელობით. ორი კოლეგა – მარტინ შელფისი და ბილ დაისონი უცნობ კუნძულზე გაემართნენ. გავიდა თხუთმეტი დღე. მეცნიერები აღარ დაბრუნებულან. შეშფოთებულმა ხელმძღვანელმა კუნძულზე მაშველთა რაზმი გაგზავნა. მათ მეგობრების კვალს ვერ მიაგნეს. კუნძულზე მხოლოდ აბორიგენების მიერ მიტოვებული სოფელი აღმოაჩინეს. გამოიძახეს თვითმფრინავი, რომელიც ორი დღის განმავლობაში დაფრინავდა კუნძულის თავზე, მაგრამ ვერავის და ვერაფერს მიაგნო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ფუშს უამბეს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, კუნძული ოდესღაც დასახლებული ყოფილა. ხალხი იჭერდა თევზს, ნადირობდა, ვაჭრობდა მატერიკზე მცხოვრებ თანამემამულეებთან, მაგრამ გავიდა დრო და ისინი სანაპიროზე აღარ ჩნდებოდნენ. მაშინ კენიელებმა ზღვისპირა სოფელ ლოინგლანიდან კუნძულის დასაზვერად ტივი გააგზავნეს. კუნძულზე გადამსხდარი ხალხი განცვიფრებული შესცქეროდა მიტოვებულ სახლებს, ხელუხლებლად დარჩენილ ნივთებს და უკვე დამპალ თევზებს. ადამიანები არსად ჩანდნენ. დაზვერვაზე მისულები სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას. მას შემდეგ კუნძულზე მისვლის სურვილი არავის გასჩენია.

მრავალი ზეპირი გადმოცემის თანახმად, ადამიანების იდუმალებით აღსავსე გაუჩინარება ზოგჯერ მოწმეების თვალწინ მომხდარა. 1915 წლის 23 აგვისტოს კონსტანტინოპოლის ახლოს განლაგებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებმა იხილეს უცნაურ ღრუბელში გახვეული მეტოქის სამხედრო ნაწილები, რომლებიც სწრაფად გაუჩინარდნენ. ანალოგიური შემთხვევა მოხდა 1943 წელს. ანომალიური მოვლენების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის — ჩარლზ ბერლიცის მონაცემებით, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალები ატარებდნენ ექსპერიმენტს, რომლის დროსაც ფილადელფიის დოკიდან გაქრა სამხედრო ხომალდი, რომელიც სულ რამდენიმე წუთში გამოჩნდა ნორფოლა-ნიუპორტის დოკში, პორტსმოტის რაიონში. ეს ორი დოკი ერთმანეთისგან რამდენიმე ასეული მილით არის დაშორებული. ცოტა ხანში ხომალდი კვლავ გაქრა და ისევ ფილადელფიაში გამოჩნდა. ეკიპაჟი, რომელიც ამ დროის განმავლობაში ხომალდზე იმყოფებოდა, ვერაფრით ხსნიდა ამ მოვლენას: ოფიცრებისა და მეზღვაურების ნახევარი ჭკუიდან შეიშალა, ნახევარი კი — მოკვდა.

საბჭოთა მწერალს ევგენი პეტროვს („12 სკამის“ თანაავტორი) ერთი ძალიან უჩვეულო ჰობი ჰქონია: მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგროვებდა კონვერტებს, რომლებშიც თავისივე წერილები ეწყო.

**თურმე პეტროვი წერილს რომელიმე ქვეყანაში გზავნიდა და კონვერტზე, სახელმწიფოს გარდა, სხვა დანარჩენი — ქალაქი, ქუჩა, სახლის მისამართი, ადრესატის სახელი, გამოგონილი იყო. შესაბამისად, რამდენიმე თვეში არარსებულ მისამართზე გაგზავნილი ბარათები უკან უბრუნდებოდა.**

მწერლის ასეთი უჩვეულო გართობა კარგა ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და 1939 წელს პეტროვმა ახალი ზელანდია აირჩია. მან მოიფიქრა ქალაქი ჰაიდბერდვილი, ქუჩა'რაიტბიჩი, სახლი №7 და ადრესატი მერილ ოჯეინ უეიზლი. ქაღალდზე კი ექსცენტრიულმა მწერალმა ინგლისურ ენაზე ასეთი ტექსტი დაწერა:

„ძვირფასო მერილ, ვიზიარებ შენს მწუხარებას ბიძია პიტის გარდაცვალების გამო. გამაგრდი, მეგობარო! მაპატიე, ამდენ ხანს რომ ვერ გწერდი. იმედი მაქვს, ინგრიდი კარგადაა. ალბათ, უკვე ძალიან გაიზარდა. ყველას აკოცე. შენი ევგენი“.

გავიდა ორ თვეზე მეტი, მაგრამ წერილი უკან არ ბრუნდებოდა. პეტროვმა იფიქრა, ალბათ, გზაში თუ დაიკარგაო, მაგრამ ბარათის გაგზავნიდან მესამე თვეს მან პასუხი მიიღო... მერილ ოჯეინ უეიზლისგან, რომლის კონვერტზეც ზუსტად ასე ეწერა: ახალი ზელანდია, ჰაიდბერდვილი, რაიტბიჩი, სახლი №7.

„ძვირფასო ევგენი, მადლობა თანაგრძნობისთვის. ბიძია პიტის უეცარმა სიკვდილმა სამყაროს წელიწად-ნახევრით მოგვწყვიტა და იმედი გვაქვს, გვაპატიებ დაგვიანებულ პასუხს. მე და ინგრიდი ხშირად ვიხსენებთ შენი სტუმრობის ამბებს და კიდევ ვინახავთ რუსეთიდან გამოგზავნილ საჩუქრებს“, — ეწერა წერილში.

პეტროვის შეშფოთება უფრო გამძაფრდა, როცა ნახა, რომ წერილში მასთან ერთად გადაღებული 1938 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული ფოტოც იყო ჩადებული — ის ხომ ახალ ზელანდიაში წარსულში არასოდეს ყოფილა. მით უმეტეს, რომ ზუსტად 1938 წლის 9 ოქტომბერს მოხვდა საავადმყოფოში, სადაც მკურნალობის ხანგრძლივი და რთული კურსიც გაიარა და ექიმებმა სიცოცხლე ძლივს შეუნარჩუნეს.

სიტუაციის გასარკვევად მწერალმა მეორე წერილიც გაგზავნა, თუმცა პასუხის მიღებას ველარ მოესწრო, რადგან სულ მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ის ფრონტზე სამხედრო კორესპონდენტად წავიდა.

1942 წელს თვითმფრინავი, რომელშიც ევგენი პეტროვი იჯდა, საბრძოლო მოქმედებების თავზე მტერმა ჩამოაგდო, მალე კი მწერლის მისამართზე მივიდა მერილ უეიზლის წერილი, რომელშიც ეწერა:

„აღფრთოვანებული ვარ საბჭოთა ჯარისკაცების სიმამაცითა და პირადად შენით, ჩემო ევგენი. ისე, როცა ტბაში საბანაოდ შეხვედი, ძალიან შევშინდი, რადგან წყალი ცივი იყო, თუმცა მითხარი, რომ დახრჩობა არ გემუქრებოდა, რადგან თვითმფრინავით ფრენისას უნდა დაღუპულიყავი. ძალიან გთხოვ, შეეცადე, ცოტა იფრინო“.

რა მოხდა, როგორ და რანაირად, უცნობია, რადგან ეს საოცარი საიდუმლო ევგენი პეტროვის ტრაგიკულად დაღუპვასთან ერთად დასამარდა.

**ჩინეთში ტელეპორტაცია სათვალთვალო კამერამ აღბეჭდა. უცნობმა ქალბატონმა ველოსიპედით მოძრავი ადამიანი გადაარჩინა. ეს ვიდეო ინტერნეტსივრცეში ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე გამოჩნდა, თუმცა მასზე ასახული მოვლენის ჭეშმარიტებაზე კამათი დღემდე არ წყდება.**

ვიდეოზე ჩანს სატვირთო მანქანა, რომელიც ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მოძრაობს. სწორედ ამ დროს კვეთს ქუჩას ველოსიპედისტიც. გარდაუვალი ტრაგედიისგან სასიკვდილოდ განწირულ მამაკაცს ინციდენტის ადგილას უეცრად აღმოჩენილი უცნობი ქალბატონი იხსნის. მომენტალურად ორივე (ველოსიპედისტიც და მისი გადამრჩენიც) უსაფრთხო მხარეს აღმოჩნდება. შეშინებული მძღოლი მსხვერპლს ამაოდ ეძებს. ველოსიპედისტი ცოცხალი და უვნებელია, ხოლო უცნობი ქალბატონი ინციდენტის ადგილიდან მიდის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახსნისა და არგუმენტების წარდგენის შემდეგ, დიდია ალბათობა, რომ ბავშვმა გკითხოთ: თუ ასე ცუდია მოწევა, მაშინ რატომ ეწევიან უფროსები? უთხარით, რომ მოწევა ისეთი სერიოზული პრობლემაა, მოზრდილ ადამიანს უკვე უჭირს გადაჩვევა, ამიტომ მისი აღმოფხვრა დასაწყისშივეა საჭირო.



# თუ ბავშვი ეწევა

**როდესაც ბავშვი სიგარეტს ეწევა, ეს ძალიან უსიამოვნო ფაქტია და ნებისმიერ მშობელს საგონებელში აგდებს. ხშირად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შვილი ეწევა, მშობლებს სტრესულ სიტუაციაშიც აყენებს და ხშირად მათი რეაქცია თუ ქმედებები საპირისპირო შედეგებსაც იძლევა.**

თუ მდგომარეობის გამოსწორება გსურთ და არა მხოლოდ დაგროვილი ბოღმის გადმონთხევა, პირველ რიგში, მოგიწევთ, საუბრით დაარწმუნოთ თქვენი შვილი, რომ მოწევა მართლაც მავნებელია და არა ისტერიკებით, მით უმეტეს — ჩხუბით და ფიზიკური ძალადობით. ეს უკურეაქციას გამოიწვევს.

**არ იცრუოთ.** ესაუბრეთ მშვიდად და დამაჯერებლად. თუ მოხდა ისე, რომ ტონს აუწიეთ, ბავშვი უბრალოდ აღარ მოგისმენთ. ეს მისი თავდაცვითი რეაქციაა ემოციურ წნეხზე.

შეეცადეთ, გაარკვიოთ, რის შემდეგ გადაწყვიტა, აეღო ხელში სიგარეტი. თუ გითხრა, რომ ეს მოდაშია და მის კლასში ყველა ეწევა, აუხსენით, რომ ახლა გაცილებით აქტუალურია ჯანმრთელი ცხოვრების წესი და დრო, როდესაც სიგარეტის მოწევა მოდაში იყო, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა.

შეიძლება მოისმინოთ კიდევ სხვა არგუმენტებიც, მაგრამ ყველა მათგანს გონივრული და რაციონალური კონტრარგუმენტი უნდა დაახვედროთ, ოღონდ თქვენი მცდელობები არ უნდა მოიცავდეს რეალობის გაზვიადებას და ტყუილებს.

**ხშირად ამბობენ, მოწევა დამშვიდებასა და კონცენტრაციაში ეხმარებათ და აზრი არ აქვს მტკიცებას, რომ ეს ასე არ არის. მაგრამ ბავშვმა აუცილებლად უნდა გაიგოს, რომ დამშვიდება ამ შემთხვევაში გამოწვეულია სიგარეტის მავნე და მომწამვლელი ნივთიერებების ნერვულ სისტემაზე მოქმედების შედეგად და, თუ ასე გააგრძელებს, მალე ის ვერ შეძლებს დამშვიდებას სიგარეტის გარეშე, რადგან მასზე იქნება დამოკიდებული.** თუ ბავშვი დარწმუნებულია, რომ სიგარეტს შეუძლია დაიცვას ჭარბი წონისგან, აუხსენით, თუ რის ხარჯზე შეიძლება მოხდეს ეს. ფაქტია, რომ სიგარეტი თრგუნავს შიმშილის განცდას, სამაგიეროდ, შეიძლება კუჭის წყლულით ან გასტრიტით დაავადდეს.

ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება მოიყვანოს ის, რომ ქუჩაში შესცივდა და გადაწყვიტა სიგარეტის მოწევა. აუხსენით, რომ სიგარეტის შხამი მოქმედებს ორგანიზმზე. ამ დროს იმატებს პულსის სიხშირე და არტერიული წნევა. ადამიანი რაღაც პერიოდში მართლა თბება, მაგრამ ასეთი ცვლილებები ორგანიზმში იწვევს სხვადასხვა დაავადებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხშირად ეწევა სიცივეში.

ახსნისა და არგუმენტების წარდგენის შემდეგ, დიდია ალბათობა, რომ ბავშვმა გკითხოთ: თუ ასე ცუდია მოწევა, მაშინ რატომ ეწევიან უფროსები? უთხარით, რომ მოწევა ისეთი სერიოზული პრობლემაა, მოზრდილ ადამიანს უკვე უჭირს გადაჩვევა, ამიტომ მისი აღმოფხვრა დასაწყისშივეა საჭირო.

# კორჩაკის 10 მცნება მშობლებს

**იანუშ კორჩაკი იყო ცნობილი პოლონელი პედაგოგი, მწერალი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი ცხოვრება ბავშვებს მიუძღვნა და მათ სიყვარულსვე შეეწირა. ვარშავის გეტოში მას მოწყობილი ჰქონდა ობოლთა თავშესაფარი, სადაც 200 აღსაზრდელი ჰყავდა და მათ მზრუნველობას არ აკლებდა. 1942 წლის ზაფხულში პოლონელმა პარტიზანებმა შესთავაზეს იქიდან საიდუმლოდ გამოსვლა, ფაშისტებს მისთვის რამე რომ არ დაეშავებინათ. მაგრამ იანუშმა უარი თქვა თავისი აღსაზრდელების გარეშე იქიდან გასვლაზე. მას არ სჯეროდა, რომ გაზის კამერებში სიკვდილი ელოდათ. „ბავშვებს ხელს არ ახლებენ“, — ამბობდა კორჩაკი. ბავშვებს ხელი ახლეს... იანუში თავის აღსაზრდელებთან ერთად გაზის კამერაში გაგუდეს... იანუშის ათი მცნება მშობლებისთვის ბევრს დაეხმარება შვილებთან ურთიერთობისას პრობლემების გადაჭრაში:**



1. ნუ ელოდები, რომ შენი შვილი იქნება შენნაირი ან ისეთი, როგორიც შენ გსურს, რომ იყოს. დაეხმარე, იყოს ის, ვინც მას სურს;

**2. ნუ დააყვედრი ყველაფერს, რასაც უკეთებ. შენ მას სიცოცხლე აჩუქე, როგორ გადაგიხდის ამას? ის თავის შვილს გადასცემს სიცოცხლეს, ის შვილი — თავის შვილს და ეს არის ბუნებრივი მადლიერების კანონზომიერება;**

3. ნუ გადმოანთხევ შვილზე შენს წყენას, თუ არ გინდა, სიბერეში შავი პური ჭამო. გახსოვდეს, რასაც დასთეს, იმას მოიმკი;

**4. ნუ უყურებ მის პრობლემებს ზერელედ და ქედმაღლურად. ცხოვრება ყველასთვის თანაბრად რთულია და დარწმუნებული იყავი, მისთვის ის არანაკლებ რთულია, ვიდრე შენთვის, შეიძლება, მეტადაც კი, რადგან მას გამოცდილება არ აქვს;**

5. ნუ დაამცირებ!

**6. ნუ დაგავიწყდება, რომ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები ბავშვებთან შეხვედრებია. მეტი ყურადღება მიაქციე მათ — არასდროს იცი ზუსტად, ვის ხვდები ამ ბავშვის სახით.**

7. ნუ იტანჯავ თავს, თუ არ შეგიძლია რაღაცის გაკეთება შენი შვილისთვის, უბრალოდ, გახსოვდეს: ბავშვისთვის არ არის საკმარისი გაკეთებული, თუ არ არის გაკეთებული ყველაფერი, რაც შესაძლებელია;

**8. ბავშვი ტირანი არ არის, რომელიც მთელ შენს ცხოვრებას ეუფლება, არ არის მხოლოდ ხორცისა და სისხლის ნაყოფი. ეს ის ძვირფასი ფიალაა, რომელიც ცხოვრებამ მოგცა დასაცავად და მასში შემოქმედებითი ცეცხლის განსავითარებლად. ეს დედისა და მამის უანგარო სიყვარულია, რომელთაც უნდა გაზარდონ არა „ჩვენი“, „საკუთარი“ შვილი, არამედ დროებით მოსავლელად მობარებული სული;**

9. გქონდეს უნარი სხვისი შვილის სიყვარულის. არასდროს გაუკეთო სხვის შვილს ის, რაც არ გინდა, რომ შენსას გაუკეთონ;

**10. გიყვარდეს შენი შვილი, როგორიც უნდა იყოს ის — უნიჭო, უიღბლო. მასთან ურთიერთობა ყოველთვის უნდა გიხაროდეს, რადგან ბავშვი ეს დღესასწაულია, რომელიც მხოლოდ გარკვეულ დრომდეა შენთან.**

# ყველაზე «ლოთი» პროფესიები



**მეცნიერებმა გამოიკვლიეს, თუ რომელ სფეროში დასაქმებული ადამიანები ეტანებიან ყველაზე ხშირად ალკოჰოლს.** კვლევა აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტრომ სოციალურ სამსახურთან ერთად ჩაატარა და დაადგინა, რომ ყველაზე ხშირად ალკოჰოლის გადაკვრა მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე დასაქმებულ ადამიანებს სჩვევიათ.

ასეთები მშენებლები და მაღაროს მუშაკები აღმოჩნდნენ. უფრო ზუსტად, პირველ ადგილზე 17,5 პროცენტით მაღაროელები მოხვდნენ, უმნიშვნელო სხვაობით — 16,5 პროცენტით მეორე ადგილი მშენებლებმა დაიკავეს.

მესამე ადგილზე სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში დასაქმებული ადამიანები აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, ისინი პირველ ადგილს იკავებენ ნარკოტიკებით გატაცებული პროფესიების სიაში.

მენეჯერებიც ხშირად არიან ნარკოტიკებით გატაცებულნი, თუმცა სპირტიანი სასმელების მომხმარებელთა რეიტინგში მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავეს.

მე-5 ადგილზე განათლებისა და ჯანდაცვის მუშაკები არიან. ყველაზე მცირე რაოდენობით კი ალკოჰოლს ჩინოვნიკები მოიხმარენ.

# რამდენ წამში შეიძლება შეყვარება

**იმისათვის, რომ ადამიანი შეგიყვარდეს, წამის მეხუთედია საჭირო. ასე დაადგინეს Syracuse Universityის მეცნიერებმა. ამასთან, სიყვარულის ზემოქმედება კოკაინის ზემოქმედებას ჰგავს.**



**სიყვარულის პირველი ტალღა ტვინის 12 განსხვავებულ უბანს ააქტიურებს. ამასთან, სისხლი გამოყოფს ისეთ ნივთიერებებს, როგორიც არის ოქსიტოცინი, დოპამინი, ადრენალინი და ვაზოპრესინი. საინტერესოა, რომ ამავე ჰორმონების გამომუშავების სტიმულირება კოკაინის გამოყენების დროსაც ხდება.**

„სიყვარულს მეცნიერული ახსნა აქვს, თუმცა აქამდე კვლავ გაურკვეველია, ადამიანს გონებით უყვარდება თუ გულით. მე ვიტყოდი, რომ უფრო მეტად მაინც გონებით“, — აღნიშნა გამოკვლევის ერთმა ავტორმა პროფესორმა სტეფანი ორტიგომ.

გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ სიყვარულის სხვადასხვა სახეობაზე ტვინის სხვადასხვა უბანია პასუხისმგებელი. მაგალითად, დედაშვილურ სიყვარულზე პასუხისმგებლობას ტვინის შუა ნაწილი იღებს, ხოლო ვნებიან სიყვარულზე — ტვინის კოგნიტური ნაწილი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## წვერი ჯანმრთელობისთვის საშიშია



**მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ წვერიანი მამაკაცები უფრო მეტ მიკრობებს ატარებენ, ვიდრე უწვეროები.** მკვლევარებმა განაცხადეს, რომ წვერში უფრო მეტი მიკრობი და ბაქტერიაა, ვიდრე საზოგადოებრივ ტუალეტებში. ასევე, წვერიან ხალხს კანის დაავადებები ემუქრებათ. მიკრობიოლოგმა ჯონ გოლობიკმა ერთ-ერთი დაკვირვებისას აღმოაჩინა, რომ წვერში ისეთი მიკრობები ბუდობდნენ, რომლებიც მუცლის ღრუში ჩნდებიან. **„თავი რომ დავანებოთ იმ ბაქტერიებს, რომელთაც წვერი თავისით იზიდავს, წარმოიდგინეთ, რამდენი რამ გროვდება წვერში საკვების მიღების, დაცემინების, ხველების დროს“,** — აცხადებს მიკრობიოლოგი.



## ბედნიერების საიდუმლო

**ბრიტანელი მეცნიერების აზრით, ადამიანის ბედნიერების საიდუმლო ბუნებასთან სიახლოვეშია. ეკსეტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გრძელვადიანი კვლევა ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ადამიანი ბედნიერი და ოპტიმისტი მხოლოდ ბუნების წიაღში ხდება.**

სპეციალისტები სოფლიდან ქალაქებში გადასახლებულ 5 000 დაოჯახებულ და 10 000 მარტოხელა ადამიანს დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ. პროექტის ყველა მონაწილემ დაადასტურა, რომ, როდესაც ისინი ბუნებასთან ახლოს ცხოვრობდნენ, გაცილებით ბედნიერები იყვნენ და სხვადასხვა ფობიები არ აწუხებდათ.

მეცნიერების დასკვნით, ბუნებასთან ახლოს მყოფი ადამიანის მდგომარეობა შეყვარებულთა ეიფორიას უტოლდება.

## რა სიმაღლის გაიზრდება თქვენი შვილი




**ადამიანის სიმაღლეს, გენეტიკური ფაქტორის გარდა, კიდევ არაერთი მაჩვენებელი განსაზღვრავს. ამის მიუხედავად, მშობლები ხშირად მარჩიელობენ, დედას დაემსგავსება ბავშვი სიმაღლით თუ მამას. ბავშვობაში თანატოლების ფონზე გამორჩეული სიმაღლე ან სიდაბლე სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენი შვილი მოზრდილობაშიც იმავე პოზიციებზე დარჩება.**

იმის გამოსათვლელად, თუ რა სიმაღლის გაიზრდება ბავშვი, მედიკოსები საინტერესო ფორმულას გვთავაზობენ: დედის სიმაღლეს უნდა დაუმატოთ მამის სიმაღლე და გაყოთ ორზე. მიღებული მაჩვენებელი არის საბაზო სიმაღლე. თუ გოგონა გყავთ, ის, სავარაუდოდ, საბაზო სიმაღლეზე ხუთი სანტიმეტრით დაბალი იქნება, ხოლო ვაჟი — ხუთი სანტიმეტრით მაღალი.

## სასტუმრო, რომელიც ფორმებს იცვლის





**სამგანზომილებიანი იმიჯების სასწაულებრივი ეფექტის მეშვეობით, ესპანელმა ფოტოგრაფმა და პიანისტმა ვიქტორ ერნიხმა გერმანიაში, კერძოდ კი, მიუნხენში მდგარი სასტუმრო NH Deutscher Kaiser საოცარი ქორეოგრაფიით აცეკვა და ფორმები შეუცვალა. ფოტოგრაფმა სასტუმროს გადაღების შემდეგ გამაოგნებელი შედეგები მიიღო.**

## მეცნიერებმა უჩინმაჩინის მოსასხამი გამოიგონეს



**გერმანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს მოსასხამი, რომელსაც შეუძლია უცხო თვალისგან ადამიანის დაცვა.** აღსანიშნავია, რომ თავიდან მეცნიერებმა ააწყვეს ყუთი, რომელსაც მცირე ზომის ობიექტების გაუჩინარება შეეძლო. უხილავობის ეფექტს იძლევა ყუთის ზედაპირი, რომელიც დაფარულია შუქის განმდევნი საღებავით.

მოგვიანებით მეცნიერებმა შექმნეს უჩინარი მოსასხამიც. გამომგონებლების თქმით, სამოსის ეფექტურობის ხილვა ჯერ მხოლოდ სუსტი განათების მქონე ფარნითაა შესაძლებელი ისეთ ოთახში, რომელშიც კაშკაშა შუქი არაა.

## ზედმეტი ინფორმაცია მავნებელია

**ნიუსების კითხვა და მოსმენა შიშსა და აგრესიას აჩენს, ხელს უშლის შემოქმედებით პოტენციალს და სიღრმისეულ აზროვნებას აფერხებს. ახალი ამბები იგივეა, რაც შაქარი ორგანიზმისთვის — იოლად შეითვისება. მასმედია მუდმივად გვკვებავს ფაქტებით, რომლებიც სინამდვილეში ჩვენ არ გვეხება და ყურადღებასაც არ იმსახურებს, ამიტომაც არ გვრჩება კმაყოფილების განცდა. გამოდის, რომ ყოველდღიურად ფუჭი ისტორიების უზარმაზარ ულუფებს ვყლაპავთ.**




ნიუსები გამუდმებით მოქმედესნ თავის ტვინის იმ ნაწილზე, რომელიც შინაგან ორგანოებს, ინსტიქტურ ქმედებებს, ემოციებს, მეხსიერებასა და ძილს აკონტროლებს. მათი მუდმივი ზემოქმედებით ადამიანი ქრონიკული სტრესის ქვეშაა. ძლიერდება შიში, აგრესია და იწყება მგრძნობელობის შესუსტება. აზროვნება ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს, კონცენტრირებას კი უწყვეტი დრო სჭირდება. საინფორმაციო გამოშვებები ისეა დაგეგმილი, რომ მუდმივად გაწყვეტინებთ დაწყებულ საქმეს. ახალი ამბები ვირუსებივითაა, რომლებიც თქვენს ყურადღებას საკუთარი მიზნებისთვის მოიხმარენ. ნიუსები განუხრელად ამცირებს მოფიქრალი ადამიანების რიცხვს, აქვეითებს მეხსიერებას, კონცენტრაციის დარღვევის გამო კი აღქმის უნარიც სუსტდება.

როცა რაიმე მოვლენის შესახებ გვესმის, გვინდა, მისი გაგრძელება ან დასასრულიც შევიტყოთ. ეს სურვილი თანდათან ლტოლვად იქცევა. ამით სტიმულს ვაძლევთ თავის ტვინში არსებულ ნეირონების ჯაჭვს, რომელიც ზედაპირულ, გაცნობით ამოცანებზეა პასუხისმგებელი, ხოლო ვთრგუნავთ კითხვასა და ორიენტირებულ აზროვნებაზე პასუხისმგებელ ნეირონებს.

საინფორმაციო გამოშვებების მომხმარებელთა უმრავლესობამ, მათ შორის თავგამოდებულმა მკითხველებმაც კი, დაკარგეს დიდი მოცულობის წიგნებისა და სტატიების კითხვის უნარი. 4-5 გვერდის წაკითხვა ღლით, კონცენტრაცია უქრებათ და მოუსვენრობა იპყრობთ. ეს ასაკის ან მოუცლელობის ბრალი არ არის, უბრალოდ, ტვინის სტრუქტურა შეიცვალა.

ყოველდღიურად მოსმენა ისტორიებისა, რომლებშიც ვერაფერს ცვლი, სისტემატურად განცდა იმისა, რომ ბევრი მოვლენის წინაშე უძლური ხარ, პასიურს ხდის ადამიანს. საბოლოოდ პესიმისტურ, სარკასტულ და ფატალურ მსოფლმხედველობამდე მივდივართ.

და ბოლოს, ცოდნა ზღვარს უდებს შემოქმედებით პოტენციალს. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომლის გამოც მათემატიკოსები, მწერლები, კომპოზიტორები და მწარმოებლები თავიანთ საუკეთესო ნამუშევრებს ახალგაზრდობაში ქმნიან. ძნელად იპოვით შემოქმედებით ადამიანს, რომელიც საინფორმაციო გამოშვებებისადმი დიდი ინტერესით გამოირჩეოდეს. სამაგიეროდ, უამრავი გაავებული ადამიანი ინფორმაციას ნარკოტიკივით მოიხმარს.

გაერთეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები



## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) —ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9) და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 8 | | | 2 | | |
| | | 1 | | 9 | | | | 8 |
| | | 7 | 4 | 2 | | | 3 | |
| | 2 | 9 | | | | | | |
| | 5 | | | 6 | | | 2 | |
| | | | | | | 9 | 6 | |
| | 8 | | | 7 | 6 | 1 | | |
| 1 | | | | 5 | | 6 | | |
| | | 2 | | | 3 | | 4 | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 4 | | 3 | | | | |
| 3 | 2 | | | 7 | | 8 | | |
| | 8 | | | | 4 | | | 9 |
| | 3 | 2 | | 1 | | | | 7 |
| | | | | | | | | |
| 4 | | | | 5 | | 6 | 3 | |
| 6 | | | 2 | | | | 9 | |
| | | 1 | | 4 | | | 8 | 3 |
| | | | | 9 | | 4 | | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 8 | 2 | | | 7 | |
| | 1 | | | 9 | 5 | | 4 | |
| | | | | | | | | 9 |
| 6 | 2 | 1 | | | | | | 7 |
| | | | | | | | | |
| 7 | | | | | | 8 | 2 | 1 |
| 3 | | | | | | | | |
| | 9 | | 1 | 7 | | | 8 | |
| | 4 | | | 3 | 8 | | 6 | |

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე

**ამ პერიოდში აქტუალური იქნება ბიზნესის საკითხების მოგვარება, შემოქმედებით სფეროში მომუშავეებს კი გაუჩნდებათ ახალ პროექტებში ჩართვისა და დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი. კარგი პერიოდია ტყუპისა და სასწორის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**27 მაისი - 2 ივნ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

მშვიდი პერიოდია. მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოვლენები მოსალოდნელი არ არის, თუმცა შესაძლოა, მოშურნეებმა თქვენი რეპუტაცია შელახონ, ამიტომ არ ღირს კამათსა და დაპირისპირებაში ჩართვა.

საყვარელ ადამიანთან, შესაძლოა, გაგიჩნდეთ მოულოდნელი პრობლემები, მაგრამ მათ წინდახედული მოქმედებით მოაგვარებთ.

ყურადღება მიაქციეთ კანს, რადგან დიდია ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა.

მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

რთული პერიოდია. შეიძლება დაიწყოთ ბუზისგან სპილოს შექმნა, რაც თქვენთვის ცუდად დასრულდება. სამსახურში მოგიწევთ დიდი ძალისხმევის გამოჩენა თქვენი ინტერესების დასაცავად. შეეცადეთ, არ დაუპირისპირდეთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობას.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია უთანხმოება, რომელიც, თუ ემოციებს არ მოთოკავთ, კონფლიქტში გადაიზრდება.

მარტოხელა კუროები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომლის მიმართაც სიმპათია გაუჩნდებათ, მაგრამ გამორიცხული არა არის, ეს ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდეს.

ამ პერიოდში მაღალია ფარისებრი ჯირკვლების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 31 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

საუკეთესო პერიოდია დასახული გეგმების სარეალიზაციოდ. მზად იქნებით ნებისმიერი საკითხის დამოუკიდებლად გადასაწყვეტად. შეიძლება, შემოგთავაზონ ახალ პროექტში მონაწილეობა, რომელიც თქვენს ბიუჯეტს საკმაოდ გაამდიდრებს.

შეეცადეთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გულწრფელი იყოთ და მასთან ყველა პრობლემაზე იმსჯელოთ.

კარგი იქნება, თუ თავს დაიცავთ გაციებისგან, რადგან მაღალია სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

გაგიჩნდებათ წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა, რომელიც დადებით გავლენას იქონიებს თქვენს მომავალზე.

კირჩხიბის ნიშნის წარმომადგენელთა პირად ცხოვრებაში შეიძლება დაიწყოს მნიშვნელოვანი ცვლილებები და, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ, დანის პირზე გავლა მოუწევთ.

არ აჩქარდეთ და შეეცადეთ, გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოთ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, ნუ მიიღებთ ალკოჰოლურ სასმელს და ფიზიკურად დაიტვირთეთ!

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივნისი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

ნუ გამოედევნებით ორ კურდღელს — არ ღირს ენერგიის განაწილება სხვადასხვა მიმართულებით. წარმატებას მეთოდური მუშაობითა და კოლეგების მხარდაჭერით მიაღწევთ. თქვენს ნებისმიერ ინიციატივას ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს. თავდადებით მუშაობა კი თქვენს შემოსავლებზე სასიკეთოდ აისახება.

დაოჯახებულ ლომებს მოუწევთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება. ოჯახის წევრებთან იდილიური ურთიერთობების შესანარჩუნებლად კარგი იქნება, თუ სადმე ერთად გაემგზავრებით და ცოტა ხნით მაინც დაისვენებთ.

შეიძლება გაგიჩნდეთ საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემა, ამიტომ დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 31 მაისი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

ბევრ საინტერესო წინადადებას მიიღებთ — შეიძლება შემოგთავაზონ ახალი ხელშეკრულებები, თუმცა გადაწყვეტილებები მხოლოდ ერთგული თანამშრომლების ან ახლობლების თვალსაზრისის გათვალისწინებით მიიღეთ.

თქვენი უნარის წყალობით, იზრუნოთ ახლობელი ადამიანების კეთილდღეობაზე, ოჯახის წევრების ყველა პრობლემას მოაგვარებთ, თუმცა მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილებს.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას დაიცავით უსაფრთხოების წესები და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

ენერგიით აღსავსე ხართ და გარემოებებიც ხელს შეგიწყობთ დასახული მიზნების მიღწევაში. რაც მეტ კეთილგანწყობას გამოავლენთ კოლეგებისა და ახლობლების მიმართ, მით უკეთესი. იაქტიურეთ, სრულად გამოავლინეთ შესაძლებლობები და თქვენ წინაშე ნებისმიერი კარი გაიღება.

საყვარელ ადამიანთან იყავით გულწრფელი, უამბეთ მას თქვენი პრობლემების შესახებ და მისი თვალსაზრისი გაითვალისწინეთ.

ამ პერიოდში შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში და გააკეთოთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 2 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

სამსახურში თუ პრობლემების წინაშე აღმოჩნდებით, ოპტიმისტური განწყობა შეინარჩუნეთ, რადგან ყველაფერი თქვენს ჩაურევლად მოგვარდება. მზად უნდა იყოთ ხელმძღვანელობის მხრიდან თქვენი საქმიანობის შემოწმებისთვის, ამიტომ ყველა დოკუმენტი მოაწესრიგეთ.

მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ და, ამასთანავე, მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის ხანდაზმულ წევრებს.

ემოციური დაძაბულობა თქვენს ნერვულ სისტემაზე ცუდ გავლენას იქონიებს, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ და სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდეთ.

**დადებითი დღე: 30 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

სამსახურში მოსალოდნელია ურთიერთობის გამწვავება ხელმძღვანელობასთან; შესაძლოა, მოჭარბებულმა ამბიციებმა კონფლიქტამდეც მიგიყვანოთ, ამიტომ გამოავლინეთ თავშეკავება და დაიცავით დისციპლინა.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება. თქვენ მასში დააფასებთ ისეთ თვისებებს, როგორიც არის რომანტიკულობა, ერთგულება, აგრეთვე, თქვენი სურვილების ამოცნობის უნარი.

ახლა დიდია თირკმელების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და სითხის დიდი რაოდენობით მიღებას.

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 31 მაისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

სამსახურში შეიძლება მოგიწიოთ მშვიდობის მტრედის როლის შესრულება, რადგან მაღალია კოლეგებს შორის დაპირისპირების ალბათობა.

გაგიჩნდებათ დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი.

თუ გსურთ, საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ, თავი დაანებეთ ეჭვიანობას და შეეცადეთ, მისი მოთხოვნებიც გაითვალისწინოთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ბავშვების მიმართ.

თქვენს ემოციურ მდგომარეობაზე კარგად იმოქმედებს ფიზიკური დატვირთვა. გადით ბუნების წიაღში და გააკეთეთ სასუნთქი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 29 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

თუ ავანტიურაში ჩაერთვებით, შედეგები ძალიან უსიამოვნო იქნება. წარმატება ელით იმ მერწყულებს, რომლებიც შემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებულნი, თუმცა ბევრი მუშაობა მოუწევთ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ნუ ელით მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას, რადგან საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი თქვენი ინფანტილური დამოკიდებულების გამო კამათი და კონფლიქტებიც კი იშვიათი შემთხვევა არ იქნება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, თუმცა ფიზიკური დატვირთვა არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 1 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 27 მაისი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

დაძაბული პერიოდია. უნდა გააკონტროლოთ ემოციები და თითოეული სიტყვა, რადგან შესაძლოა, იმ ადამიანთანაც კი შეგექმნათ კონფლიქტი, რომელთანაც შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ, ამიტომ ყოველი სიტყვა აწონდაწონეთ და გადაწყვეტილებები ცივი გონებით მიიღეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ემოციებს ნუ აჰყვებით და მის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. ახლა წყენისა და გაბუტვის დრო არ არის, რადგან ახლობლების მხარდაჭერა დაგჭირდებათ.

შფოთვამ და სტრესულმა სიტუაციებმა შეიძლება ფარისებრი ჯირკვლები დაგიავადოთ, ამიტომ დამშვიდდით და ექიმს პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩასატარებლად ესტუმრეთ.

**დადებითი დღე: 2 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 28 მაისი.**

# ლადო ანდრონიკაშვილი — მარადიულობასთან წილნაყარი კაცის გახსენება

**დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, სახელოვანი დასტაქარი ლადო ანდრონიკაშვილი ჩვენ შორის აღარ არის; ყველა გულისტკივილით იხსენებს — ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, მადლიერი პაციენტები და, რაღა თქმა უნდა, ოჯახის წევრები. იხსენებენ კაცს, რომელიც ცხოვრების განვლილი გზით შრომისა და კაცთმოყვარეობის მაგალითია; ამასთანავე, მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ, ამიტომ არის განსაკუთრებით გაუსაძლისი მის გარეშე ცხოვრება ოჯახისთვის.**



ყველა პროფესია დასაფასებელია, მაგრამ მეან-გინეკოლოგობა — გამორჩეულად. წარმოიდგინეთ, როცა თქვენი ხელით იბადება ახალი სიცოცხლე, როგორ არის დიდი სიხარული და უდიდესი პასუხისმგებლობა ერთმანეთში გადაჯაჭვული. აქ მცირე შეცდომაც კი დაუშვებელია.

ამ დიდი პასუხისმგებლობითა და ბევრი უძილო ღამით, პროფესიისადმი დიდი ერთგულებითა და გარშემო მყოფთა უანგარო სიყვარულით, მართალი კაცის პრინციპით იცხოვრა ლადო ანდრონიკაშვილმა.

ახლაც იგონებენ კოლეგები: ბატონი ლადო, ღამენათევი, დაღლილი, დაქანცული, მაგრამ ახალი სიცოცხლის მოვლენით გახარებული, ისე არ გავიდოდა კაბინეტიდან, რომ ყველას არ მოფერებოდა. ყველას იმედიანი განწყობით დაემშვიდობებოდა და გაუყვებოდა გზას შინისკენ. ლადო ექიმი, ალბათ, აუცილებლად გრძნობდა, რომ სიყვარულით სავსე თვალები მიაცილებდა მას იქამდე, ვიდრე თვალს მიეფარებოდა. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს ადამიანისთვის, მით უფრო — ექიმისთვის!

საქართველოს თითქმის ყველა კუთხე შემოიარა; იყო ყველგან — თბილისში, სოხუმში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში და ა.შ., სადაც მისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი სჭირდებოდათ.

ლადო ექიმმა, როგორც ეძახდნენ პაციენტები და კოლეგები, მთელი ცხოვრება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს შეალია, ერთი საყვედურიც არ დასცდენია იმ რთული პირობების გამო, რომელშიც ხშირად უხდებოდა საქმიანობა. ამას ჰქვია არჩეული პროფესიისადმი სიყვარულიც და ერთგულებაც, რომლის გარეშე შეუძლებელია იმ სიმაღლემდე ასვლა, რომელსაც თავისი გამოცდილებით, ლამაზი წუთებით, ზოგჯერ შესაძლოა, ტკივილითაც და, რაც მთავარია, ამაღლებული სულიერებით მიაღწია მეან-გინეკოლოგმა.

26 მაისს დაბადებულა, იქნებ სიმბოლურად უკავშირდება ლადო ანდრონიკაშვილის დაბადება გამარჯვების დიდ დღესასწაულს, რადგან მისი სიცოცხლის თითოეული დღე ახალი სიცოცხლის გაჩენასთან იყო დაკავშირებული. წლეულს 85 წელი შეუსრულდებოდა. აქედან 50 წელი ადამიანების სამსახურს შეალია, რომლებიც წლების გასვლის შემდეგაც კი მიეფერებიან ლადო ანდრონიკაშვილს გულიდან ამოსული სტრიქონებით:

**„შენს მოდგმას<br>
ამკობს პატიოსნება,<br>
ნიჭიერების ადგას ნათელი,<br>
მე შენს საფლავზე<br>
მუხლმოდრეკილმა,<br>
მინდა, დაგინთო<br>
წმინდა სანთელი,<br>
და ერთხელ კიდევ<br>
დაბადების დღეს<br>
ვნახავთ შენს ქუჩას,<br>
საყვარელ ალაგს,<br>
დავესესხები მეგობარ<br>
პოეტს, —<br>
ბატონი ლადო<br>
დააკლდა ქალაქს“.**

კეთილ ნერგზე კეთილი ხე აღმოცენდებაო, — ნათქვამია. მამის პროფესია აირჩიეს და ექიმები გახდნენ მისი ქალიშვილები ანი და ნინო ანდრონიკაშვილები, სახელოვანი ვაჟკაცები გაიზრდებიან შვილიშვილებიც: გიორგი, ლადო, გურამი. მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ლამარა, უცრემლოდ ვერ იხსენებს ბატონი ლადოს სახელს და თავიანთ ლეგენდადქცეულ სიყვარულს.

ლადო ანდრონიკაშვილის სახელს რომ დავიწყება არ უწერია, ამის საფუძველს მისი ერთ-ერთი პაციენტის ბედნიერი დედის გულიდან ამოხეთქილი სიტყვებიც გვაძლევს:

„კი არ ვჩურჩულებ, მთელი არსებით ვყვირი:

მე თქვენ მიყვარხართ სიგიჟემდე, ბატონო ლადო!“

ასეა, მარადიულობასთან წილნაყარობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

**მეგობრები და კოლეგები**

## 30-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ფოტოებზე: ილია ჭავჭავაძე; სვეტიცხოველი; გაბრიელ გარსია მარკესი. 1. ოლღა; 2. პოლ; 3. იკარუსი; 4. პო; 5. კილიმანჯარო; 6. პი; 7. სანტანა; 8. რამ; 9. რა; 10. იაპ; 11. ია; 12. არტალა; 13. ოდა; 14. იო; 15. სია; 16. ორაგული; 17. დარი; 18. ადიდასი; 19. წუარე; 20. ბელა; 21. ჭადარი; 22. სანამ; 23. კაპური; 24. არ; 25. გო; 26. არგო; 27. აგული; 28. ატილა; 29. მაისი; 30. მისისიპი; 31. დევი; 32. აგორა; 33. დასი; 34. ეტა; 35. მარსელი; 36. მეი; 37. იხვი; 38. ირაო; 39. პირს; 40. ლახტი; 41. ლიე; 42. აი; 43 გაი; 44. სიმი; 45. მარაკანა; 46. ივ; 47. ცომი; 48. აბო; 49. იტალია; 50. სელტა; 51. ციცაბო; 52. სარი; 53. ონი; 54. იან; 55. ორმაგი; 56. ნესვი; 57. ლატი; 58. ლესოთო; 59. სკაი; 60. მანკი; 61. მაგელანი; 62. იკერ; 63. რიგა; 64. ანა; 65. იროკეზი; 66. ენიო; 67. იდა; 68. ოპელი; 69. დაკოტა; 70. პაი; 71. სი; 72. საიბი; 73. ასი; 74. აბი; 75. რაპირა; 76. იალქანი; 77. ოტო; 78. დრო.**

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 8 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 5 | 3 | 6 |
| 6 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 4 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 2 | 9 | 6 | 7 |
| 4 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 | 1 | 9 | 3 |
| 1 | 7 | 3 | 9 | 5 | 4 | 6 | 8 | 2 |
| 9 | 6 | 2 | 1 | 8 | 3 | 7 | 4 | 5 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 | 7 | 6 |
| 3 | 2 | 6 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 8 | 3 | 2 | 9 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 8 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 5 | 8 | 6 | 3 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 |
| 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 7 | 2 | 8 | 3 |
| 2 | 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 4 | 6 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 7 | 6 |
| 2 | 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 4 | 8 |
| 8 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 6 | 2 | 1 | 5 | 8 | 4 | 9 | 3 | 7 |
| 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 3 | 7 | 8 | 4 | 5 | 6 | 1 | 9 | 2 |
| 5 | 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 4 | 8 | 3 |
| 1 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 | 6 | 5 |

### ჟერარ დეპარდიე:

# მზად ვარ, რუსეთისთვის სიცოცხლე გავწირო!

**სახელგანთქმულმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ განაცხადა, რომ თავს არასოდეს მიიჩნევდა ფრანგად, რუსეთისთვის კი მზად არის, სიცოცხლე გაწიროს, რადგან იქ ძლიერი ადამიანები ცხოვრობენ.**



„ჟერარ დეპარდიემ განაცხადა, რომ მზად არის, რუსეთისთვის მოკვდეს, — წერს ფრანგული გამოცემა Voici, უფრო მეტიც — ჟურნალ Vamity Fair-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ თავს არასოდეს მიიჩნევდა ფრანგად.

გადასახადების გადახდაზე უარის თქმის გამო საფრანგეთიდან გაქცევის შემდეგ მსახიობი ხშირად ამბობს, რომ უყვარს რუსეთი და „პუტინის ქვეყანაში“ ცხოვრება კარგია.

„მზად ვარ, მოვკვდე რუსეთისთვის იმიტომ, რომ აქ ძლიერი ადამიანები ცხოვრობენ, და სულაც არ მსურს, სულელივით ჩავძაღლდე ამჟამინდელ საფრანგეთში!“ — მოჰყავს Voici-ს ჟერარ დეპარდიეს ციტატა ინტერვიუდან.



# ნატოელი გენერალი შიშობს, რომ რუსეთმა, შეიძლება, ატომური იარაღი გამოიყენოს

**ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ჰანს-ლოთარ დომრეზემ გერმანული გამოცემა Focus-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, — შიშობს, რომ რუსეთი ატომურ იარაღს გამოიყენებს.**

„რუსეთის ლიდერი აზარტული მოთამაშეა, თუმცა შესანიშნავად შეუძლია ვითარების გაანალიზება და სვლების გათვლა. ის შეშლილი არ არის, მაგრამ მოთამაშეა და სწორედ ეს არის სახიფათო — რუსები არ გამორიცხავენ ატომური იარაღის გამოყენებას, როგორც ომის წარმოების საშუალებას. ნატოს ომი არ სურს, მაგრამ ალიანსში შემავალ ქვეყნებს აუცილებლად დაიცავს“, — განაცხადა დომრეზემ.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894